საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№25 (449)
11 - 17 ივლისი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მორიგი განხეთქილება ნატო-ევროკავშირში

23 ფული ჩვენ თვითონ ვაკეთოთ, რაღა ამერიკელებს მივცეთ, — ასე მსჯელობენ ევროდეპუტატები

4




## «მაპ-ზე უკეთესი» — 2018-ე სერია

## 16 ივლისის მოლოდინში: რაზე შეიძლება შეთანხმდნენ პუტინი და ტრამპი და რატომ ახლა და არა აქამდე?

3

6

## «დაპირებები, რომლებსაც ნატოს სამიტზე გვაძლევენ, არის იაფფასიანი სატყუარა... წაიკითხონ, რას წერენ ნატოს სტრატეგები»

## «ალალი ჯაფარას» სექტა

8



## თუ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაშინ რისთვისაა საჭირო მუდმივად მაღალპროცენტიანი საგარეო ვალის აღება?!



ეს მწარე რეალობაა, რომელსაც არც წინა ხელისუფლება უსწორებდა თვალს და არც ეს ხედავს

10

## რა პრინციპით შეირჩნენ «ვასიას» ტელევიზიაში კომენტატორები

15

«გამორჩა ქვეყანას რუსთაველის იუბილე და ლადო ასათიანის 100 წლისთავი. არადა, როგორი მუხტი შეიძლება შექმნილიყო ამ თარიღების ღირსეულად აღნიშვნით! გაღვივდებოდა ახალგაზრდების ინტერესი ჭეშმარიტი ღირებულებებისადმი»

16



## XIX საუკუნეში «ადამიანების ზოოპარკები» ევროპასა და ამერიკაში

20

## «ადამიანებს აღარ რცხვენიათ მათხოვრობის, სირცხვილის განცდა დავკარგეთ...»

9

## «C ჰეპატიტის მკურნალობა არც ერთ შემთხვევაში კიბოს არ იწვევს»

14

## რაში მდგომარეობს პოლიტიკური მონობის ტრაგიზმი?

18

კვირის ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ — ᲐᲮᲛᲔᲓ ᲓᲐᲕᲣᲗᲝᲦᲚᲣᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲓᲝᲦᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ.**




## ორი ე. წ. წამყვანი ოპოზიციური პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატების ვინაობა გაირკვა

**კულუარული ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ „ევროპული საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე იქნება. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ენ-დი-აის ბოლო კვლევებმა მის „შთამბეჭდავ“ რეიტინგს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი. პარტია დავით ბაქრაძის კანდიდატურას 21 ივლისს წარადგენს.**

პრეზიდენტობის კანდიდატი შეარჩიეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმაც და ის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი — გრიგოლ ვაშაძე იქნება.

რაც შეეხება მმართველ გუნდს, ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი მათი საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა.

„ქართულ ოცნებაში“ კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს.

სავარაუდო კანდიდატებად სოზარ სუბარი, სალომე ზურაბიშვილი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი — დავით ბაქრაძე განიხილებიან.




## რაც — სიმამრი, ის — სიძე

**6 ივლისს, ღამის 2 საათზე, რესპუბლიკურ საავადმყოფოში პრეზიდენტის სიძე, მინდია გოგოჭური, ავტომანქანით დაჭრილი მიიყვანეს. გოგოჭური მანქანიდან თავისი ფეხით გადმოვიდა და შენობაში შევიდა, მძღოლი კი იქაურობას გაეცალა.**

მინდია გოგოჭურის საავადმყოფოში მიყვანის ფაქტი სათვალთვალო კამერებმა აღბეჭდეს. სავარაუდოდ, ავტომანქანის საჭესთან მისი მეგობარი იჯდა, რომელიც მანქანიდან არ გადმოსულა. პაციენტს ცეცხლნასროლი ჭრილობები ჰქონდა ორივე ბარძაყისა და წვივის არეში. გოგოჭურს ოპერაცია გაუკეთეს.

მინდია გოგოჭური მაკა ჩიჩუას შვილის, მაშო ჩიჩუას, მეუღლეა. ის გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ მთაწმინდაზე, კორპუსთან ახლოს თავს დაესხნენ, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობას გასროლის ხმა არ გაუგონია. ერთ-ერთი ვერსიით, მას თავისივე მანქანაში ესროლეს.

გოგოჭურის დაჭრის დეტალები ამ დრომდე ბურუსით არის მოცული — ბრალდებული ჯერ არ დაუკავებიათ, არც ის არის ცნობილი, რატომ ესროლეს ოთხი ტყვია პრეზიდენტის სიძეს.

ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც გოგოჭურის სახელი ფიგურირებს, საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. საქმე ეხება 2011 წლის ოქტომბერში რუსთაველის გამზირზე შეიარაღებული პირების მიერ 23 წლის ზურა ტარყაშვილისთვის 11 ჭრილობის მიყენებას. ტარყაშვილი დედისა და დის თვალწინ გარდაიცვალა. მართალია, გოგოჭურს ამ საქმისგან თავი შორს უჭირავს, მაგრამ მოკლულის დედა — თამილა კოჭლამაზაშვილი, წლებია, ხელს სწორედ გოგოჭურისკენ და მისი მეგობრებისკენ იშვერს და მათ დასჯას მოითხოვს, მაგრამ ამაოდ. მისი აზრით, თორნიკე კაჭარავასა და მინდია გოგოჭურს ზემოდან მფარველობენ, მაგრამ ვინ არის ეს მფარველი, არ „ამხელენ“. იქნებ მარგველაშვილმა გაგვანდოს ამ იდუმალი კეთილისმყოფელის ვინაობა...

# ვინ არის «რუხი მგელი» სერქან ქურტულუში, რომელმაც რუსი მფრინავი დაცხრილა?

## თურქეთი მის გადაცემას მოითხოვს

**29 ივნისს საქართველოს პოლიციამ თბილისში ინტერპოლით ძებნილი სერქან ქურტულუში დააკავა. იგი ამჟამად რუსთავის საპატიმროში იმყოფება, თურქული მხარე კი მის გადაცემას მოითხოვს.**



თურქული სააგენტო Hurriyet-ის ცნობით, ქურტულუში თურქეთის მოქალაქეა და მას ბრალად ედება თურქეთის რამდენიმე პროვინციაში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზება, თუმცა თურქული სააგენტოები მას რუსი მფრინავის, ოლეგ პეშკოვის, მკვლელობაში ეჭვმიტანილ 18 პირს შორის ასახელებენ.

2015 წლის ნოემბერში თურქულმა ავიაგამანადგურებელმა სირიის საზღვართან ჩამოაგდო რუსული ბომბდამშენი სუ-24. ერთი პილოტი დაიღუპა, მეორემ კატაპულტირება შეძლო, მაგრამ, მიწას რომ მიუახლოვდა, დაშვება არ აცალეს, ქურტულუშმა და მისმა ბანდამ, სახელად „რუხმა მგლებმა“, ის ჰაერშივე დაცხრილეს. ამ ფაქტმა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კინაღამ სამხედრო შეტაკებამდე მიიყვანა.

თურქული მედიის ცნობით, 2016 წლის ივლისში ცნობილი გახდა, რომ თურქეთში დააკავეს ის ორი მფრინავი, რომლებმაც რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, თუმცა მათ ბრალად დასდეს არა სუ-24-ის ჩამოგდება, არამედ კავშირი თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობასთან. აღსანიშნავია, რომ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების გადაწყვეტილებას მიაწერდნენ თურქეთის მაშინდელ პრემიერმინისტრს — ახმედ დავუთოღლუს, რომელიც ამ ინციდენტის შემდეგ ერდოღანმა მალევე გადააყენა და თურქეთის პოლიტიკურ არენაზე ჯერჯერობით არ ჩანს.

აღნიშნულ საქმეზე ქურტულუში 2017 წლის მაისში გაასამართლეს და იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯეს, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, ის თურქეთში დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნაში იყო ეჭვმიტანილი, რომელიც სტამბოლში, ანკარაში, ბურსასა და იზმირში მოქმედებდა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს.ქ.-ს საექსტრადიციო პატიმრობა აქვს შეფარდებული.

„თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების თხოვნის საფუძველზე, 2018 წლის 27 ივნისს ქალაქ ბათუმში თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის მიზნით დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს.ქ. 2018 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ხსენებულ პირს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით.

თურქული მხარის მიერ მოწოდებული მასალების თანახმად, ს.ქ.-ს ბრალად ედება უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული კრიმინალური ორგანიზაციის შექმნა და ხელმძღვანელობა. მითითებული კრიმინალური ორგანიზაციის წევრების მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა შეიარაღებული თავდასხმები სხვადასხვა პირზე ეკონომიკური სარგებელის მიღების მიზნით (განხორციელდა 26 შეიარაღებული თავდასხმა), ხდებოდა მუქარით ფულის გამოძალვა, დაშინება, ადამიანების გატაცება, აგრეთვე მათი ორგანიზაციის წევრების ან ორგანიზაციასთან დაახლოებული პირების სასარგებლოდ შეიარაღებული თავდასხმის ორგანიზება და ფიზიკური ანგარიშსწორება“, — ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უწყების ცნობით, თურქული მხარის მიერ მოწოდებულ საექსტრადიციო დოკუმენტებში არ ფიგურირებს ეპიზოდი, რომელიც მასობრივი საhინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა და ეხება ს.ქ.-ს მიერ 2015 წლის ნოემბერში რუსი სამხედრო მფრინავის შესაძლო მკვლელობას. შესაბამისად, ქართული მხარე საექსტრადიციო პროცედურებს აწარმოებს მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლისთვისაც ს.ქ.-ს ექსტრადიცია მოეთხოვება თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ.

დაჯგუფება **„რუხი მგლები“** 1960-იანი წლების დასაწყისში, თურქეთის ულტრამემარჯვენე პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ ქარიზმატული ლიდერის, პოლკოვნიკ **ალფარსლან თურქეშის** დაარსებულია, რომელიც ჰიტლერის დიდი თაყვანისმცემელი და ფაშისტური იდეების გამტარებელი იყო. მალე მათ „რუხი მგლები“ (თურქულად — „ბოზკურტლარი“) დაირქვეს.

„მგლების“ ოცნება სეკულარული თურქეთის იმპერიის დაარსება იყო, რომელიც თურქებთან მონათესავე ხალხებს მუსლიმური რწმენით გაართიანებდა. ამ იდეამ მათ წევრებად უამრავი ადამიანი აქცია, რომლებიც ირანში, ჩრდილოეთ კორეასა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში უმცირესობაში ცხოვრობდნენ. „ბოზკურტლარი“ აცხადებდა, რომ ათათურქის იდეებისთვის იბრძოდნენ და თავიანთ თავს „იდეალისტებს“ უწოდებდნენ. მათ რიგებში ერთიანდებოდნენ ახალგაზრდა უმუშევრები და სტუდენტები, რომელთაც სპეციალურ ბანაკებში წვრთნიდნენ და რომლებიც მზად იყვნენ, თავიანთი ქვეყნისთვის თავი გაეწირათ. **ორგანიზაციაში ათიათასობით წევრი ირიცხებოდა, თუმცა მის რიგებში გაჩნდნენ აგენტებიც, რომლებიც ამერიკის სპეცსამსახურებისთვის მუშაობდნენ.**

**„მგლების“ იდეოლოგიისთვის ამერიკაც ისევე მიუღებელი იყო მაშინდელი თურქეთისთვის, როგორც საბჭოთა კავშირი, რომელიც მისთვის ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.**

ისე, რომ თავადაც ვერ ხვდებოდნენ, „რუხი მგლები“ რეჟიმის სასარგებლოდ მოქმედებდნენ. კერძოდ, მემარჯვენე და ლიბერალ აქტივისტებს კლავდნენ, ასევე არ ინდობდნენ ინტელექტუალებს, პროფკავშირის ლიდერებს, ეთნიკურ ქურთებს, გავლენიან ჟურნალისტებსა და მაღალჩინოსნებს. მათ სინდისზეა სასტიკი ხოცვა მარაშში, რა დროსაც ასობით ალავიტი დაიღუპა, ასევე, პირველი მაისის დემონსტრაციები ტაქსიმის მოედანზე 1977 წელს, რომელსაც 42 ადამიანი შეეწირა...

„რუხი მგლების“ სახელს უკავშირდება 1981 წელს რომში, წმინდა პეტრეს მოედანზე იოანე პავლე II-ზე თავდასხმა, რომელიც მათმა ერთ-ერთმა წევრმა მეჰმედ ალი აღჯამ ჩაიდინა — იმხანად ის ციხიდან იყო გამოქცეული. მას შემდეგ, რაც პაპს ესროლა, გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, შემდეგ კი თურქეთში გაუკეთეს დეპორტაცია.

წლების განმავლობაში დაჯგუფებამ არაერთი ლიდერი გამოიცვალა და მსოფლიოს ბევრი „საქმით“ გააცნო თავი, ბოლო წლებში ევროპაშიც გააქტიურდნენ. საქმე ის არის, რომ, თუ ევროპაში ისინი თურქების დიასპორის უფლებებისთვის იბრძოდნენ, სირიაში პირიქით — ცდილობდნენ, მათი დიასპორის განათლება მაქსიმალურად შეეზღუდათ. „რუხი მგლების“ წევრები სირიაში ახლაც არიან.

თურქული მედიის ცნობით, ამ ხნის განმავლობაში თურქეთის ყველა ხელისუფლება ამ ორგანიზაციას პირდაპირ თუ ირიბად ყოველთვის თავისი საქმისთვის იყენებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

## ეს ჭურში ზის?

**გიორგი კანდელაკი ისევ „მაპ“-ს მისტირის.**

„ევროპული საქართველოს“ წევრის — გიორგი კანდელაკის აზრით ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის, მთავრობის ხშირმა ცვლილებამ, შეიძლება მაპის მიღების პროცესი შეაფერხოს. ამის შესახებ კანდელაკმა ნატოს ბრიუსელის სამიტთან დაკავშირებულ მოლოდინებზე საუბრისას განაცხადა.



**კიდევ და კიდევ და მერამდენედ, ჩვენს, ქართულ რეალობას დავუბრუნდეთ და ჯერ საკუთარ თავს და მერე მთავრობას ვკითხოთ: თქვენ რომელ მხარეს, ვის მხარეს ხართ, ბატონებო?**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 16 ივლისის მოლოდინში: რაზე შეიძლება შეთანხმდნენ პუტინი და ტრამპი და რატომ ახლა და არა აქამდე?

**ტრამპისა და პუტინის შეხვედრაზე საუბარი ტრამპის პრეზიდენტად არჩევისთანავე დაიწყო, მაგრამ შეხვედრა ორი წელი გაჭიანურდა. ამას ჰქონდა თავისი მიზეზები.**

დღეს შეიძლება ითქვას, ტრამპი იმდენად მოძლიერდა, რომ უკვე შეუძლია მართოს შიდა პროცესები და ამდენად, შეასრულოს დადებული საერთაშორისო შეთანხმებები, რასაც აქამდე ვერ ვიტყოდით დარწმუნებით. ამის გარეშე მასთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, რადგან ცალსახა არ იყო მისი შესაძლებლობები.

არჩევის შემდეგ ტრამპი მოსალოდნელ და ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებაში. მის მთავარ მტერს წარმოადგენდა და ჯერ ისევ წარმოადგენს „სიღრმისეული სახელმწიფო“, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი გახლდათ ჰილარი კლინტონი და რომელსაც ტრამპმა არჩევნები მოუგო. „სიღრმისეულ სახელმწიფო“-ს აშშ-ში უწოდებენ სახელმწიფოს საშუალო და ქვედა რგოლის ბიუროკრატულ აპარატს და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდნენ კლინტონის და მამა-შვილი ბუშების პრეზიდენტობის პერიოდში და მანამდეც, და რომლებიც ფინანსურად, იდეოლოგიურად და მენტალიტეტით შეზრდილნი არიან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, უპირველეს ყოვლისა, ტრანსნაციონალური ბანკების ლიბერალურ გლობალისტურ სისტემასთან. ეს სისტემა მიდიოდა გლობალისტური ტრანსნაციონალური ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლებიც თავისი არსით, საერთაშორისო თანამშრომლობის კი არა, საერთაშორისო დაკაბალების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ) გაძლიერების გზით ეროვნული სახელმწიფოების და მათ შორის — ამერიკის დაკნინება-გაჩანაგების ხარჯზე. ტრამპმა თავისი გამარჯვებით ამ სისტემას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და სისტემაც გააფთრებული შეეწინააღმდეგა მას. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოვლინებები იყო ე.წ. „რუსული კვალი“ ტრამპის არჩევნებში, სპეცპროკურორ მიულერის დანიშვნა ტრამპის რუსეთთან „კავშირის“ გამოსაძიებლად და ა.შ.

მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ტრამპმა შეძლო, ბოლოს და ბოლოს, მოწინააღმდეგეები წელში გაეტეხა. გასულ კვირას აშშ-ის კონგრესში კენჭისყრაზე დადგა რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვდნენ, იუსტიციის სამინისტროს ზედა ეშელონის მიერ დანიშნულიყო სპეცპროკურორი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამოსაძიებლად და ჰილარი კლინტონის დაუყოვნებლივ დასაპატიმრებლად, როგორც „სიღრმისეული სახელმწიფოს“ საბოტაჟის მოთავის. რეზოლუციას კენჭი ეყარა და ის გავიდა (აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და ქართულ მედიას ამ მართლაც რევოლუციურ რეზოლუციაზე კრინტი არ დაუძრავთ, განსხვავებით რამდენიმე მარგინალი და მოსყიდული კონგრესმენის მყვირალა და არაფრისმომცემი რეზოლუციებისგან). მსოფლიო მედიამ, რომელიც ძირითადად ლიბერალური გლობალისტური ძალების ხელშია, ეს რეზოლუცია სანახევროდ და ცალყბადაც კი მოიხსენია, მაგრამ ჰ. კლინტონის დაპატიმრების მოთხოვნაზე მათაც არ დასცდენიათ კრინტი.

რეზოლუციის მიღებას წინ უძღოდა კონგრესში გფბ-ს დირექტორისა და იუსტიციის მინისტრის მოადგილე როდ როზენშტეინის (რომელიც ზედამხედველობას უწევდა სპეცპროკურორ მიულერის გამოძიებას) გამოძახება. ორივე მათგანს გამოწვლილვითი დაკითხვა მოუწყვეს, რა დროსაც ამხილეს კომის (გფბ-ს დირექტორი ტრამპი-კლინტონის არჩევნებისას) და პროკურორ მიულერის თაღლითური და შეთქმულებითი საქმიანობის მფარველობაში, მათი მამხილებელი დოკუმენტების გადამალვაში, კონგრესის შეურაცხყოფასა და ცრუმოწმეობაში.

კონგრესმა ხსენებული რეზოლუციით დაადასტურა ყველა აღნიშნული ბრალდება და დაადგინა გამოძიების გაგრძელება კლინტონი-კომი-მიულერისა და სხვათა მიმართ.

ამ რეზოლუციით ტრამპმა ჰ. კლინტონი და მის უკან მდგომი დაჯგუფება კუთხეში მიიმწყვდია, კლინტონი და მისი ამფსონები ნებისმიერ წამს შეიძლება დააპატიმრონ. ყოველივე აღნიშნული მოწმობს, რომ ტრამპი შინაურ მტრებთან ბრძოლაში გამარჯვების გზაზე დადგა, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც.

თუ რატომ ხვდებიან ტრამპი და პუტინი ახლა და არა აქამდე, შეძლებისდაგვარად ავხსენით.

ახლა ვნახოთ, რაზე შეიძლება ილაპარაკონ და რაზე შეთანხმდნენ.

რა თქმა უნდა, ილაპარაკებენ უკრაინაზეც, სირიაზეც და ჩრდილოეთ კორეაზეც. უნდა გვესმოდეს, რომ სამივე ამ ქვეყანაში კონფლიქტი შექმნეს იმ მსოფლიო ძალებმა, რომლებიც მტრობენ როგორც რუსეთს, ისე ტრამპის ამერიკას. უკრაინაში კონფლიქტის გაჩაღებით შეეცადნენ, რუსეთის დასავლეთ საზღვარზე შეექმნათ რუსეთისადმი მტრული პლაცდარმი, ე.წ. „არაბული გაზაფხულით“ და სირიაში სამოქალაქო ომის გაჩაღებით შეეცადნენ ყოველივე ტრადიციულის და პირველ რიგში მართლმადიდებლობის მტერი ისლამური ხალიფატის კონტროლქვეშ (თურქეთის პატრონაჟით) მოექციათ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის და ახლო აღმოსავლეთის ისლამური სახელმწიფოები (ხალიფატის ქვეშ ისლამური სამყაროს გაერთიანების შემდეგ მთელი ეს შავი ურდო უნდა წამოსულიყო შეტევაზე სამხრეთ კავკასიის მიმართულებით და თუ რა ბედი გველოდა ქართველებს, ამის ნათელი ილუსტრაციაა სირიის ქალაქი მაალულა, რომელშიც მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ, დაახლოებით 30 ათასი კაცი. ეს ქალაქი ხალიფატის ბოევიკებმა რომ დაიპყრეს, მისი ყველა მცხოვრები ქუჩებში ცხვრებივით დაკლეს, სისხლი დალიეს და რაც ვერ დალიეს, ბოთლებში ჩაასხეს და ბაზრებში გაყიდეს); ჩრდილოეთ კორეასთან კონფლიქტის ინსპირირებით ქმნიდნენ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში და ჩინეთში ინტერვენციის საფუძველს. რუსეთის კონფლიქტებით გარშემორტყმის მცდელობა იყო 2008 წელს სააკაშვილის წაქეზებაც აგვისტოს ომზე. ტრამპამდელი კოლექტიური დასავლეთის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო რუსეთის და შემდეგ ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური იზოლაციისკენ, რომლის დასკვნით ეტაპზე მზადდებოდა სრულმასშტაბიანი ომი რუსეთსა და ჩინეთთან. ეს ომი უნდა ეწარმოებინა ამერიკას და ისიც განწირული ჰყავდათ ომის მოსურნეებს, ვინაიდან, როგორც არ უნდა განვითარებულიყო საბრძოლო მოქმედებები, საპასუხო დარტყმები ამერიკისგან ბევრს არაფერს არ დატოვებდა.



**ხალიფატის ქვეშ ისლამური სამყაროს გაერთიანების შემდეგ მთელი ეს შავი ურდო უნდა წამოსულიყო შეტევაზე სამხრეთ კავკასიის მიმართულებით და, თუ რა ბედი გველოდა ქართველებს, ამის ნათელი ილუსტრაციაა სირიის ქალაქი მაალულა, რომელშიც მართლმადიდებელი ქრისტიანები ცხოვრობდნენ, დაახლოებით 30 ათასი კაცი. ეს ქალაქი ხალიფატის ბოევიკებმა რომ დაიპყრეს, მისი ყველა მცხოვრები ქუჩებში ცხვრებივით დაკლეს, სისხლი დალიეს და რაც ვერ დალიეს, ბოთლებში ჩაასხეს და ბაზრებში გაყიდეს**

**ტრამპამდელი კოლექტიური დასავლეთის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო რუსეთის და შემდეგ ჩინეთის სამხედრო-პოლიტიკური იზოლაციისკენ, რომლის დასკვნით ეტაპზე მზადდებოდა სრულმასშტაბიანი ომი რუსეთსა და ჩინეთთან. ეს ომი უნდა ეწარმოებინა ამერიკას და ისიც განწირული ჰყავდათ ომის მოსურნეებს, ვინაიდან როგორც არ უნდა განვითარებულიყო საბრძოლო მოქმედებები, საპასუხო დარტყმები ამერიკისგან ბევრს არაფერს არ დატოვებდა**

დღეს ტრამპის ამოცანაა, დახუროს მისი წინამორბედების შექმნილი ეს კონფლიქტური ზონები და ამაში პუტინი მას, რა თქმა უნდა, მხარს დაუჭერს.

მაგრამ, როგორც ზემოთნათქვამიდან ჩანს, ტრამპისა და პუტინის და საერთოდ, მსოფლიოს მთავარი პრობლემა ის სტრუქტურაა, რომელმაც ეს კონფლიქტები შექმნა და რომელსაც „სიღრმისეულ სახელმწიფოს“ უწოდებენ, ეს „სიღრმისეული სახელმწიფო“ და მისი კაცთმოძულე გლობალური მსოფლიო პროექტი. ამ კაცთმოძულე პროექტის ფარგლებში ცდილობენ სწორედ მავანნი ადამიანის გადაქცევას უსახურ ბიოლოგიურ არსებად, რისი მაგალითებიც უკვე მრავლად გვაქვს.

**ამის საპირისპიროდ ტრამპის წინასაარჩევნო ლოზუნგი-პროექტი „კვლავ ვაქციოთ ამერიკა დიდებულ ქვეყნად“ სწორედ თავისუფალი და განვითარებული ადამიანის არსებობას გულისხმობს, რადგან უსახურ მონას დიდებული ქვეყნის შექმნა არ შეუძლია. იმავეს ცდილობს რუსეთში ვლადიმერ პუტინი, იმავეს აკეთებს ჩინეთში სი ძინპინი. ამ გაგებით სამივე ერთმანეთის ორგანული მოკავშირეა და ისინი ყველაფერზე შეთანხმდებიან და მოილაპარაკებენ.**

**ამიტომ ტრამპისა და პუტინის მთავარი შეთანხმება ამ არაადამიანური, სატანისტური გლობალისტური ლიბერალური პროექტის საბოლოო ლიკვიდაციის გეგმა იქნება.**

**კიდევ და კიდევ და მერამდენედ, ჩვენს, ქართულ რეალობას დავუბრუნდეთ და ჯერ საკუთარ თავს და მერე მთავრობას ვკითხოთ: თქვენ რომელ მხარეს, ვის მხარეს ხართ, ბატონებო?**

**ტრამპის წინასაარჩევნო ლოზუნგი—პროექტი «კვლავ ვაქციოთ ამერიკა დიდებულ ქვეყნად» სწორედ თავისუფალი და განვითარებული ადამიანის არსებობას გულისხმობს, რადგან უსახურ მონას დიდებული ქვეყნის შექმნა არ შეუძლია. იმავეს ცდილობს რუსეთში ვლადიმერ პუტინი, იმავეს აკეთებს ჩინეთში სი ძინპინი. ამ გაგებით სამივე ერთმანეთის ორგანული მოკავშირეა და ყველაფერზე შეთანხმდებიან და მოილაპარაკებენ. ამიტომ ტრამპისა და პუტინის მთავარი შეთანხმება ამ არაადამიანური, სატანისტური გლობალისტური ლიბერალური პროექტის საბოლოო ლიკვიდაციის გეგმა იქნება**

მომზადებულია სააგენტო iarex.ru-ს მიხედვით

პოლიტიკური პროგნოზი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც სამიტი სრულდება და ცხადი ხდება, რომ ქვეყანამ არათუ წევრობა, არამედ მაპ-იც კი ვერ მიიღო, ხელისუფლება ცდილობს, ნებისმიერი ახალი ფორმულირება დიდ გამარჯვებად წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის თუ უსაფრთხოებისთვის არაფერი იცვლება იმით — ასპირანტ ქვეყანას უწოდებენ საქართველოს, მეცნიერებათა კანდიდატს თუ ასოცირებულ პროფესორს. 2012 წლის ნატოს ჩიკაგოს სამიტი ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენდა.**

# «მაპ-ზე უკეთესი» — 2018-ე სერია




**დღეს ბრიუსელში ნატოს სამიტი გაიხსნა. ხელისუფლების წარმომადგენლები მასზე ოპტიმისტური ენთუზიაზმით საუბრობენ, ხოლო სკეპტიკოსები თვლიან, რომ ის საქართველოს არაფერს მოუტანს. საინტერესოა მივიღებთ თუ არა ამჯერად რაიმე ახალს — „მაპ-ზე უკეთესს".**

2002 წელს ნატოს პრაღის სამიტზე საქართველოს ხელისუფლებამ პირველად გააჟღერა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის სურვილი, 2008-ში კი ბუქარესტში მიღებულ დეკლარაციაში აღინიშნა, რომ საქართველო „აუცილებლად გახდება ნატოს წევრი". ამავე სამიტზე ალიანსმა მხარი დაუჭირა საქართველოსთან პოლიტიკური დიალოგის დაწყებას, რათა ის „წევრობის სამოქმედო გეგმის" (მაპ-ის) მიღებას მიუახლოვდეს.

არაერთი ავტორი დღემდე სვამს კითხვას: მიიღებდა თუ არა საქართველო მაპ-ს, იმავე წლის აგვისტოში ომი რომ არ დაწყებულიყო? უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ძველი ევროპის" ქვეყნები, რუსეთის მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო, ამ ნაბიჯისგან თავს შეიკავებდნენ, ხოლო უმცროსი ბუშის ადმინისტრაცია მათ დარწმუნებას ვერ მოახერხებდა, თუმცა არის ალტერნატიული მოსაზრებაც. დისკუსიის თითქმის ყველა მონაწილე აღიარებს, რომ ბუქარესტის დეკლარაციამ ძალიან გააღიზიანა რუსეთი და უბიძგა მას საქართველოს მიმართ ხისტი პოლიტიკა გაატაროს. იმავე წელს (ომის შემდეგ) ნატო-საქართველოს კომისია დაფუძნდა, ხოლო „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა" („აიპაპი"; ამ ფორმატში ნატო და საქართველო 2004 წლიდან თანამშრომლობდნენ) „წლიურმა ეროვნულმა პროგრამამ" შეცვალა.

**ალიანსის 2009 წლის საიუბილეო სამიტზე საქართველოსთვის განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ხოლო 2010 წლის ლისაბონის სამიტის შემდეგ საქართველოში გაიხსნა ალიანსის სამეკავშირეო ოფისი. იმავე წელს შემუშავდა სამხედრო თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა. 2011-ში, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ, მიღებულ დოკუმენტში საქართველო ყოფილი იუგოსლავიის სამ რესპუბლიკასთან ერთად პირველად მოიხსენიეს, როგორც „ასპირანტი ქვეყანა" და ის ნატოს მომდევნო, 2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე ამ სტატუსით წარდგა.**

უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე ნატოს წევრობის გადაჭარბებულ მოლოდინებს ქმნიდა. ომის შემდეგაც მიანიშნებდა, რომ ეს შეიძლება ძალიან მალე, რამდენიმე წელიწადში, შეიძლება მოხდეს. სავარაუდოდ, სწორედ ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა უცნაური ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც საქართველოს პროდასავლურ წრეებში სამიტის წინ ილუზიების მოზღვავებას იწვევს, ხოლო მისი დასრულების შემდეგ — იმედგაცრუებას. ამას ხელს, უპირველესად, ხელისუფლების წარმომადგენლები უწყობენ, ძველის თუ ახლის, მნიშვნელობა არ აქვს. ისინი ცდილობენ, შექმნან პროგრესული განვითარების, წინსვლის შთაბეჭდილება, რათა არავინ დაადანაშაულოს იმაში, რომ მათმა საგარეო კურსმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

**როდესაც სამიტი სრულდება და ცხადი ხდება, რომ ქვეყანამ არათუ წევრობა, არამედ მაპ-იც კი ვერ მიიღო, ხელისუფლება ცდილობს, ნებისმიერი ახალი ფორმულირება დიდ გამარჯვებად წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თუ უსაფრთხოების მხრივ არაფერი იცვლება იმით — საქართველოს ასპირანტ ქვეყანას უწოდებენ, მეცნიერებათა კანდიდატს თუ ასოცირებულ პროფესორს. 2012 წლის ნატოს ჩიკაგოს სამიტი ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენდა.** საბოლოო ჯამში, საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობის შედეგად შექმნილი სიტუაცია სააკაშვილის მმართველობის დასკვნით პერიოდში (აგვისტოს ომის შემდეგ), ალბათ, შეიძლება აღიწეროს, როგორც ერთი დიდი პაუზა.

უელსის 2014 წლის სამიტი დასავლეთსა და რუსეთს შორის „ახალი ცივი ომის" დაწყების ფონზე ჩატარდა. ეს იყო პირველი სამიტი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, რომელსაც, ერთი მხრივ, აღებული ჰქონდა კურსი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე და, მეორე მხრივ, ნატოში ინტეგრაციის გაგრძელებაზე. ის არ იწუხებდა თავს იმაზე ფიქრით, რომ ეს ორი ვექტორი ერთმანეთთან გადაულახავ წინააღმდეგობაში შედიოდა. ამ **სამიტზე საქართველომ მიიღო „არსებითი შესაძლებლობების პაკეტი", რომლის მთავარ მიზანს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება წარმოადგენს. ის 13 სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს (საჰაერო თავდაცვა, ავიაცია, ლოგისტიკა და ა.შ). მის ფარგლებში შეიქმნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი კრწანისში. უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, საქართველო შევიდა „გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში" იმ ქვეყნებთან ერთად (ავსტრალია, იორდანია, ფინეთი, შვედეთი), რომელთაც ნატოს ოპერაციებში (ავღანეთი და ა.შ) დიდი წვლილი შეაქვთ.**

2016 წლის ვარშავის სამიტზე განსაკუთრებულ გარღვევას ადგილი არ ჰქონია, თუ ასეთად არ ჩავთვლით ტრადიციულ დეკლარაციას იმის თაობაზე, რომ ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე გაკეთებული განცხადება ისევ ძალაშია. აგრეთვე, 2016-ში გაფართოვდა „არსებითი შესაძლებლობების პაკეტი", ჩატარდა ნატო-საქართველოს მრავალეროვნული (11 წევრი და 2 პარტნიორი ქვეყანა) სიმულაციური სწავლება ბრიგადის დონეზე და გაიხსნა „თავდაცვის ინსტიტუციური ამაღლების სკოლა".

**სიახლე, რომელსაც ბრიუსელის სამიტზე ვიხილავთ, იქნება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებთან.** „ეს არის პირველი შემთხვევა ნატოსა და საქართველოს ურთიერთობაში, როცა საქართველო აღნიშნულ ფორმატებს ესწრება. ამ შეხვედრას ასევე დაესწრება ნატოს წევრი ყველა ქვეყანა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობა გადავიდა ახალ ეტაპზე", — განაცხადა ახალმა პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც ბრიუსელის სამიტისთვის მზადებას მიეძღვნა. პრემიერს არ დაუზუსტებია, არსებითად რას შეცვლის ეს სიმბოლური შეხვედრა საქართველოსთვის. საერთოდ, **გიორგი მარგველაშვილისა და პეტრე პოროშენკოს შანსი, რომ ბრიუსელში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, მინიმალურია, რადგან კომენტატორების უმრავლესობა სამიტზე დასავლელ მოკავშირეებს შორის დაახლოებით ისეთივე მასშტაბის დაპირისპირებას ელოდება, როგორიც იყო „დიდი შვიდეულის" შეხვედრაზე.**

**სიახლე, რომელსაც ბრიუსელის სამიტზე ვიხილავთ, იქნება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებთან... გიორგი მარგველაშვილისა და პეტრე პოროშენკოს შანსი, რომ ბრიუსელში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ, მინიმალურია, რადგან კომენტატორების უმრავლესობა სამიტზე დასავლელ მოკავშირეებს შორის დაახლოებით ისეთივე მასშტაბის დაპირისპირებას ელოდება, როგორიც იყო «დიდი შვიდეულის» შეხვედრაზე**

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მაიკ პომპეო** აცხადებს, რომ „აშშ-ის პრეზიდენტს სურს, ბოლოს და ბოლოს ციფრები იხილოს (საუბარია ევროპელი მოკავშირეების მიერ თავდაცვითი ხარჯების გაზრდაზე)".

**პანევროპული თავდაცვითი სტრუქტურების გაძლიერების მცდელობა, მათ შორის საფრანგეთისა და გერმანიის ინიციატივები ევროკავშირის უშიშროების საბჭოს, სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის თაობაზე და ა.შ. მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს რეაქციას ვაშინგტონის მიდგომის გამკაცრებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელში ხელი მოეწერება ნატო-ევროკავშირის დეკლარაციას და სამიტის მონაწილეები, სავარაუდოდ, კონსენსუსს მიაღწევენ ევროპის ტერიტორიაზე სამხედროებისა და ტექნიკის ტრანზიტის პროტოკოლის თაობაზე (ამან ძალების გადასროლა უფრო სწრაფი უნდა გახადოს), ეს ყველა წინააღმდეგობას არ მოხსნის. ცალკე პრობლემაა ურთიერთობა თურქეთთან, რომელსაც 2016 წლის გადატრიალების მცდელობის ჩახშობის შემდეგ გაურთულდა ურთიერთობა როგორც აშშ-თან, ისე ევროპელ პარტნიორებთან, რამაც ნატოს ფარგლებში თანამშრომლობის ხარისხი შეამცირა.**

ვაშინგტონმა პოზიცია ძალიან მკაფიოდ გამოხატა. თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის — **ჰოგან გიდლის** აზრით, „ამერიკა აღარ აპირებს მთელი მსოფლიოს ყულაბა იყოს". „ნიუ-იორკ თაიმსის" ცნობით, ტრამპმა ნატოს წევრი სახელმწიფების (ბელგიის, კანადის, ნორვეგიისა და გერმანიის) მეთაურებს წერილები მისწერა და მკაცრად მოსთხოვა თავდაცვითი ხარჯების გაზრდა. საუბარია იმაზე, რომ ალიანსის თითოეულმა წევრმა მშპ-ს 2 პროცენტზე არანაკლები დახარჯოს. ამაზე ნატოს წევრი სახელმწიფოები ჯერ კიდევ 2014 წელს შეთანხმდნენ, მაგრამ ვალდებულება მხოლოდ ექვსმა შეასრულა.

4 ივლისს ბერლინში, კონრად ადენაუერის ფონდში „საქართველო-გერმანიის სტრატეგიული ფორუმი" გაიმართა. მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, მიუნხენის ბუნდესვერის უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტიკის პროფესორმა **კარლო მასალამ** საქართველოს ნატოს წევრად შესვლაზე განაცხადა, რომ წევრობის კრიტერიუმების კუთხით საქართველომ უფრო დიდ პროგრესს მიაღწია, ვიდრე ალიანსის ზოგიერთმა სხვა წევრმა, მაგალითად, რუმინეთმა და ბულგარეთმა. მაგრამ ის მიიჩნევს, რომ „საქართველო საკუთარი გეოსტრატეგიული მდგომარეობის მძევალი გახდა". მისი თქმით, **რუსეთმა გასაგებად მიანიშნა, რომ ის არ შეეგუება საქართველოს შესვლას ნატოში. მან აღწერა ორი სცენარი, რომელიც შეიძლება ალიანსში წევრად შესვლას დაუკავშირდეს — ერთ-ერთის თანახმად, მოსკოვი თბილისის წინააღმდეგ ჰიბრიდულ ომს დაიწყებს, რაც საქართველოს დესტაბილიზაციას გამოიწვევს. მეორის თანახმად, რუსეთი უფრო აგრესიული გახდება ნატოს ქვეყნების მიმართ.** „ნატოში არავინ არის მზად, საქართველოსთვის სიცოცხლე გაწიროს, — განაცხადა პროფესორმა, — ჩვენ არ გვსურს კონფრონტაცია ბირთვულ სახელმწიფოსთან, რომელიც თავისუფლად შეიძლება გადაიზარდოს ბირთვულ ომში" („დოიჩე ველე").

მიუხედავად იმისა, რომ ფორუმის ქართველმა მონაწილემ, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ვასილ სიხარულიძემ სცადა, დაერწმუნებინა თანამოსაუბრე, რომ **მთავარ პრობლემას სწორედ ნატოს გაუბედაობა ქმნის.** უნდა აღინიშნოს, რომ კარლო მასალას პოზიცია საკმაოდ ახლოს დგას „ძველი ევროპის" პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების უმრავლესობის პოზიციასთან. **ისინი მზად არ არიან, საქართველოს ნატოს კარი გაუღონ, მაგრამ ამის აღიარება საქართველოს ხელისუფლებას საგარეო-პოლიტიკური კურსის კორექტირების აუცილებლობის წინაშე დააყენებს, რისთვისაც არც ის არის მზად; შესაბამისად, კიდევ ერთხელ შეეცდება, დაგვიმტკიცოს, რომ ნატოს მიმართულებით დიდ პროგრესს მიაღწია.**

ახლა, ალბათ, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, ჩამოგვიტანს თუ არა გიორგი მარგველაშვილი ბრიუსელიდან „მაპ-ზე უკეთესს".

**«ნატოში არავინ არის მზად, საქართველოსთვის სიცოცხლე გაწიროს, ჩვენ არ გვსურს კონფრონტაცია ბირთვულ სახელმწიფოსთან, რომელიც თავისუფლად შეიძლება გადაიზარდოს ბირთვულ ომში» («დოიჩე ველე»)**

**ლუკა ნემსაძე**

**იქნება კი მომავალი სამიტი იმ მხრივაც ისტორიული, რომ, ნიქსონ-ბრეჟნევის რანდევუს მსგავსად, ახლაც მოხდება აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობებში ისეთი გარღვევა, რომელიც შედარებით უსაფრთხოს გახდის მსოფლიოს, რომელიც დენთის კასრზე ზის? კომპრომისებისთვის რომ მზად არის დონალდ ტრამპი, ამას ის მოწმობს, რომ დიდი შვიდეულის სამიტზე განაცხადა — ყირიმი რუსეთია და საერთოდ ვერ გამიგია, რატომ უჭერთ მხარს უკრაინას, ამ ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოსო?!**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატოში რომც მიგვიღონ, მერე რა, როო?!

**გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ დედამიწის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა (გონიერი ნაწილი) დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის დაძაბულ მოლოდინშია, რომელიც 16 ივლისს გაიმართება ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში. დაძაბულ, რადგან პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანი ხვდება, რომ ეს არ იქნება შეხვედრა შეხვედრისთვის, ამ მართლაც ისტორიულ სამიტზე მიღებული თუ მიუღებელი გადაწყვეტილებები არა მხოლოდ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობებზე იქონიებს გავლენას უახლოესი მომავლის თვალსაწიერზე, არამედ ხილულად თუ უხილავად გლობალური მასშტაბით მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ცხოვრებაზე აისახება; მათ შორის — საქართველოზეც.**



**ნატოს წევრობა აპრიორი არ ნიშნავს, რომ, რუსეთის აგრესიის შემთხვევაში, ავტომატურად ამუშავდება ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა მთლიანად ნატოზე თავდასხმად განიხილება და ნატო ომს დაუწყებს რუსეთს**

1962 წლის ე.წ. კარიბის კრიზისის შემდეგ, როდესაც სსრკ-ისა და აშშ-ის (შევთანხმდეთ, რომ ქვემოთ, სადაც სსრკ-ს ვახსენებ, რუსეთი იგულისხმეთ და პირიქით) პირველმა პირებმა — ნიკიტა ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ერთობლივი ძალისხმევით შეძლეს მსოფლიოსთვის ბირთვული აპოკალიპსის არიდება.

1966 წელს მაშინდელ სსრკ-ს ხანგრძლივი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის ლეგენდარული პრეზიდენტი — შარლ დე-გოლი ეწვია, რომელმაც, ლეონიდ ბრეჟნევის წინააღმდეგობის მიუხედავად (აქაოდა, სტალინის კულტი ახალი დაგმობილი გვაქვსო), დაჟინებით მოითხოვა ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი აქტორის, იოსებ სტალინის, საფლავის მონახულება.

სტუმართან მასპინძლებს უარი არ გაუვიდათ და, მართალია, ტელეკამერებისა და პრესის გარეშე, მაგრამ მაინც დიდმა ფრანგმა, სამხედრო სალმით სმენაზე გაჭიმულმა, პატივი მიაგო გენერალისიმუსის ხსოვნას! შემდეგ მაღალი სტუმარი ბაიკონურის კოსმოდრომზე წაიყვანეს, სადაც მას რელიეფურ რუკაზე პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებზე დამიზნებული საბჭოთა ბირთვული რაკეტები აჩვენეს. ამის შემხედვარემ, დე გოლმა სამშობლოში დაბრუნებისას საფრანგეთი ნატოს სამხედრო სტრუქტურებიდან გამოიყვანა და პარიზი მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური პოლიტიკური ალიანსის არასამხედრო წევრად დარჩა.

1972 წელს სსრკ-ს აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ეწვია. აშშ-ვიეტნამის (წაიკითხე, აშშ-სსრკ) ომი დასასრულს უახლოვდებოდა, ომი, რომელშიც ამერიკა სამარცხვინოდ დამარცხდა. ბრეჟნევმა და ნიქსონმა მსოფლიო გავლენის სფეროებად გადაინაწილეს, კოსმოსში ერთობლივად ამერიკულ-რუსული ხომალდები — „სოიუზი“ და „აპოლონი“ გაუშვეს და ე.წ. რაზრიადკა დაიწყო, რომელსაც მოჰყვა 1975 წელს ჰელსინკში გაფორმებული ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, „ჰელსინკის პაქტად“ ცნობილი, და რომელსაც სსრ კავშირიც აწერდა ხელს.

ერთი სიტყვით, ნიქსონის ვიზიტი მართლაც ისტორიული გამოდგა, რადგანაც ორ სუპერ სახელმწიფოს შორის დაიწყო მშვიდობიანი თანაარსებობის (დღეს რომ კოაბიტაცია ჰქვია) პროცესი და მსოფლიომ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც, შვებით ამოისუნთქა — ბირთვული ომის ალბათობა მინიმუმამდე შემცირდა(?!).

რა მოხდება 16 ივლისს ჰელსინკში, აშშ-რუსეთის უმაღლესი დონის სამიტზე, რომელიც უკვე არის ისტორიული იმ გაგებით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთი დაძაბული ვითარება, როგორიც დღესაა აშშ-სა და რუსეთს შორის, არასდროს ყოფილა. კონგრეს-სენატში დომინანტი „ქორები“ და მსოფლიო ნეოლიბერასტული ძალები არნახულ ზეწოლას ახდენდნენ აშშ-ის პრეზიდენტზე, პუტინისა და ტრამპის შეხვედრა რომ არ შემდგარიყო. დონალდ ტრამპმა გაპრეზიდენტების თითქმის ორი წლისთავზე ძლივს მოახერხა საკუთარი წინასაარჩევნო დანაპირების შესასრულებლად (რომ იგი რუსეთთან ურთიერთობებს დაალაგებდა) პირველი ნაბიჯის გადადგმა. თუ სასწაული არ მოხდა, ტრამპისა და პუტინის შეხვედრა აუცილებლად შედგება.

**გახდება კი მომავალი სამიტი იმ მხრივაც ისტორიული, რომ, ნიქსონ-ბრეჟნევის რანდევუს მსგავსად, ახლაც მოხდება აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობებში ისეთი გარღვევა, რომელიც შედარებით უსაფრთხოს გახდის მსოფლიოს, რომელიც დენთის კასრზე ზის?**

კომპრომისებისთვის რომ მზად არის დონალდ ტრამპი, ამას ის მოწმობს, რომ დიდი შვიდეულის სამიტზე განაცხადა — ყირიმი რუსეთია და საერთოდ ვერ გამიგია, რატომ უჭერთ მხარს უკრაინას, ამ ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოსო?! ტრამპის ამ განცხადებამ შოკში ჩააგდო, ერთი მხრივ, G-7 (დიდი შვიდეული) და მეორე მხრივ — ევროკავშირი და უკრაინა, რადგან ეს, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების დე ფაქტო აღიარებას ნიშნავს და, ალბათ, აქედან გამომდინარეობდა ტრამპისთვის მოგვიანებით დასმული შეკითხვაც აშშ-ის მიერ ყირიმის უკვე დე იურე ცნობის ალბათობაზე, რაზეც, „ვნახოთო“, ბრძანა მისტერ ტრამპმა, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტი გახდა ლოზუნგით, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: დიადი ამერიკისთვის, ანუ ამერიკის ინტერესები, უპირველეს ყოვლისა. პირველ რიგში, ზემოთ ხსენებული ლოზუნგის შინაარსიდან გამომდინარე, განაცხადა ტრამპმა ის, რაც განაცხადა, რადგანაც მოცემულ დროსა და სივრცეში უკრაინა ამერიკისთვის უსარგებლო, პოლიტიკური შაკიკი, ანუ თავის ტკივილია მხოლოდ...

პუტინი-ტრამპის შეხვედრის მოწინააღმდეგენი სამიტის ჩატარების ადგილსაც წუნობენ. აქაოდა, ფინეთი რომანოვების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და მეტიც, ის სასახლე, რომელშიც სამიტი უნდა ჩატარდეს, თავის დროზე რუსეთის იმპერატორთა რეზიდენცია იყო და ამდენად, ვლადიმერ პუტინი გარკვეულ წილად საკუთარ მოედანზე შეხვდება ამერიკელ კოლეგასო, რაც ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს რუსეთის პრეზიდენტსო.

ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ გასულ კვირას მოსკოვში ჩამოვიდა აშშ-ის კონგრესის სოლიდური დელეგაცია, ხოლო მანამდე პუტინს სტუმრობდა დონალდ ტრამპის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი, სხვათა შორის, რუსეთის მიმართ უკიდურესად აგრესიული განწყობის მქონე.

ერთი სიტყვით, მომავალი სამიტის მომზადების მიზნით მოსკოვს ის ხალხი სტუმრობდა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთს „ბენზოკალონკას“ ეძახდა, ხოლო ვლადიმერ პუტინს — მთავარ „ზაპრავშიკს“...

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, **ცხადია, რომ ჰელსინკში, აშშ-ის „სტრატეგიულ მოკავშირე“ საქართველოზე, საუბარი კი არა, უბრალოდ ხსენებაც კი არ იქნება!**

ჰელსინკის ისტორიულ სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, 11-12 ივლისს ბრიუსელში გაიმართება ნატოს მორიგი სამიტი, რომელსაც დონალდ ტრამპიც დაესწრება ერთადერთი მიზნით: აიძულოს ნატოს წევრი ქვეყნები, რომ ნაციონალური შიდა პროდუქტის 2% გადაიხადონ ნატოს ბიუჯეტში, რადგან, მისივე ხატოვანი თქმით, აშშ აღარ აპირებს ევროპისთვის ფულის ყულაბად ყოფნას.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, როგორც ბიზნესმენი, ისე უდგება ამ საკითხს: **თუ გინდათ, ამერიკამ დაგიცვათ — ფული გადაიხადეთ!**

ჰელსინკისგან განსხვავებით, ნატოს სამიტზე საქართველოს არა თუ მხოლოდ ახსენებენ, არამედ, როგორც ალიანსის არაწევრ ქვეყანათა შორის უდიდეს კონტრიბუტორს (პატარა საქართველოდან ათასობით ჯარისკაცი მონაწილეობს მსოფლიოს ცხელ წერტილებში ნატოს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში), მადლობასაც გადაგვიხდიან; მეტიც, კიდევ ერთხელ იტყვიან, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და, აშშ-ის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი ორპარტიული რეზოლუციისა არ იყოს, ახლა საქართველოსთვის ნატოს განცხადების ისტორიულ მნიშვნელობაზე აღნავლდება ქოც-ნაცთა ხელისუფლება და აი, როგორც იქნა, მივადექით მთავარ სათქმელს:

**ერთადერთი, რის თქმასაც ოპოზიციური ძალები ბედავენ, არის ის, რომ ნატო იმიტომ არ გვინდა, რადგან იქ მაინც არ მიგვიღებენ, ანუ არც მწვადს წვავენ და არც შამფურს — საქართველოში არ არსებობს ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომელიც გაბედავს და ხმამაღლა დასვამს კითხვას: რომც მიგვიღონ ნატოში, მერე რა, როო?!**

არადა, **ნატოს წევრობა აპრიორი არ ნიშნავს, რომ, რუსეთის აგრესიის შემთხვევაში (ჩვენში ხომ მხოლოდ რუსული საფრთხე განიხილება), ჩვენისთანა პატარა ქვეყნის მიმართ, ავტომატურად ამუშავდება ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რომლის მიხედვით ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა მთლიანად ნატოზე თავდასხმად განიხილება და ამიტომ ნატო ომს დაუწყებს რუსეთს.**

ეს რომ ასეა, ამის დასტური ამ ორი წლის წინათ სირიაში რუსეთ-თურქეთს შორის მომხდარი სამხედრო ინციდენტია, როცა ნატოს წევრმა თურქეთმა რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდო. ამისთვის რუსეთის ავიაკოსმოსურმა ძალებმა თურქეთის ის ტერიტორია, რომელზეც პარაშუტით დაშვებისას რუსი პილოტი ჰაერშივე დახვრიტეს, ნაცარტუტად აქციეს.

რუსეთის კიდევ უფრო მასშტაბური შურისძიების მოლოდინით შეშინებული თურქეთის პრეზიდენტი ნატოს შტაბბინაში მივარდა, სადაც მას არაორაზროვნად მიუთითეს, რომ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში ნატოს წევრ თურქეთს ნატო ვერაფრით დაეხმარებოდა და გაწბილებული რეჯეპ თაიფ ერდოღანი, რომ იტყვიან, მოსკოვში ეახლა ვლადიმერ პუტინს და დაჩოქილმა პატიება სთხოვა. **უზარმაზარ თურქეთს უთხრა უარი ნატომ და, აბა, პატარა საქართველო რაღა სახსენებელია?! საქართველო, რომელსაც „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ აგვისტოს ომის დროს მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებით, პამპერსებითა და მტკნარი წყლით დატვირთული კრეისერებით „დაეხმარა“...**

ზემოთ თქმულს კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **ჰელსინკის სამიტზე, დიდი ალბათობით, აშშ და რუსეთი მსოფლიოს გადაინაწილებენ და ამ გადანაწილებაში, ყირიმთან ერთად, რუსეთისთვის კავკასიის თემაც დახურულია!**

ქოც-ნაცების ხელისუფლება ამას წინათ სომხეთში მიმდინარე მოვლენებს იმედის თვალით შეჰყურებდა — არიქა, ნიკოლ ფაშინიანის სახით სომხეთშიც ჩვენისთანა ლიბერასტები მოდიან ხელისუფლებაშიო, მაგრამ ამაოდ. სომხეთის პრემიერად დანიშვნის შემდეგ უკვალოდ გაქრა ნიკოლ ფაშინიანის რევოლუციური რიტორიკა, რომ დისტანცირებას მოახდენდა რუსეთთან, ევრაზიული კავშირიდან და ე.წ. ოდეკაბედანაც (რუსეთის ეგიდით კოლექტიური უსაფრთხოების სამხედრო ალიანსი) გამოვიდოდა და დასავლეთისკენ აიღებდა კურსს. რევოლუციის გზით გაპრემიერებული ფაშინიანის პირველი ვიზიტი სოჭში ვლადიმერ პუტინთან შედგა და მის წინაშე ერთგულების ფიცი დადო. აბა, რას იზამდა გიუმრიში უდიდესი რუსული სამხედრო ბაზის მფლობელი რუსეთის პრეზიდენტის მიმართ?!

იმავეს თქმა აზერბაიჯანზეც შეიძლება, რომლის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ყარაბაღის ფაქტორით „დაბმული“ რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ რჩება რეგიონში.

**ასე რომ, ამიერკავკასიაში სამიდან ორი რესპუბლიკა რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირეებად განიხილება და საქართველოს აარევინებს პოლიტიკურ პასიანსს რუსეთი?!**

ზემოთ თქმულის მიუხედავად, რუსეთი არავის დაუთმობს კავკასიას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ 2 საუკუნის განმავლობაში რუსი ჯარისკაცების ზღვა სისხლი დაიღვარა აქ და აშშ-ის საბოლოოდ აბარგება რეგიონის ცენტრ საქართველოდან დროის ამბავია მხოლოდ...

ლოგიკური იქნება, რომ საქართველომ ნატო-ევროკავშირის ქიმერის დევნაზე უარი თქვას და პოლიტიკურ-ეკონომიკური გეზი ერთმორწმუნე რუსეთისკენ აიღოს, რადგან სხვა შემთხვევაში საქართველოს დაღუპვა ელის.

**დავით მხეიძე**

**P.S. ტოტალური რუსოფობიით მოცულ საქართველოში უეჭველად აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც წინამდებარე წერილს რუსოფილიად, რუსეთუმეობად ჩამითვლიან. არადა, წინამდებარე სტატიის შექმნის საფუძველი ისტორიული მეხსიერება, ცხოვრებისეული გამოცდილება და საღი აზრია მხოლოდ.**

?????

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, ის არაკომპეტენტურობის, უცოდინარობისა და უმეცრების ნაზავია... ამ პოლიტიკურ ელიტას არც ესმის, რა პროცესები მიდის და, რაზეც მე ვლაპარაკობ, მათთვის ჩინურია. მათ არ სურთ, საქართველო სუვერენული სახელმწიფო იყოს, ურჩევნიათ, რაღაც გარეძალის დაქვემდებარებაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები იყვნენ და რეალურად ასეცაა. ერთი შეხედვით, ეს არის ჩახლართული, მაგრამ ძალიან მარტივი რეალობა — ჩვენ ვერ შევდექით, როგორც სუვერენული სახელმწიფო და, როგორც ჩანს, არც არის ეს ჩვენს ხასიათში...**



### გულბაათ რცხილაძე:

# ის დაპირებები, რომლებსაც ნატოს სამიტზე გვაძლევენ, არის იაფფასიანი სატყუარა

**რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ჩრდილოელი მეზობლის მიმართ უაღრესად პრაგმატულ და ადეკვატურ პოლიტიკას ახორციელებს. მისი თქმით, ამ მიდგომების შედეგად ხელისუფლებამ ბოლო დროს საშინაო სტაბილურობის მაღალ სტანდარტებს მიაღწია და დღეს მას ასეთივე სტანდარტების შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი რეგიონშიც შეაქვს: „ვახორციელებთ პრაგმატულ პოლიტიკას, რომლის მეშვეობით საშინაო სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაცილებით მაღალ დონეს მივაღწიეთ და ახლა ჩვენი წვლილი შეგვაქვს რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში. ესაა ის როლი, რომელსაც საქართველო რეგიონში ასრულებს"... იმავე შეხვედრაზე კობახიძემ ყურადღება ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ ორიენტირებზეც გაამახვილა და დასძინა, რომ, მიუხედავად პრაგმატული პოლიტიკისა ჩრდილოელ მეზობელთან, არსებობს წითელი ხაზები, რომლებიც საქართველოს დასავლურ ორიენტაციასა და დაკარგულ ტერიტორიებს უკავშირდება... რამდენად პრაგმატულია დღეს რეალურად საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ და რამდენად უზრუნველყოფს ეს ყველაფერი საშინაო სტაბილურობას, „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის" ხელმძღვანელი — გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს თუ დავუჯერებთ, საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ უაღრესად პრაგმატულია. როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?**

— მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მუდმივად ცდილობს, ხალხი ილუზიებში აცხოვროს და დაარწმუნოს თავისი მმართველობის ეფექტიანობაში, ფაქტი ერთია: **ჩვენი შიდაპოლიტიკური და, გნებავთ, ეკონომიკური რეალობა სტაბილურობისგან ძალიან შორსაა.** პირიქით, ბოლო დროს ძალიან ჭარბობს ქაოსური ელემენტები და ამაზე არაერთი ფაქტი თუ მოვლენა მეტყველებს. მაგალითად, გაირკვა, რომ თურმე წინა მთავრობის წევრთა ნახევარზე მეტი კორუმპირებული იყო და ახლა პრემიერი თითქოს რაღაცის დალაგებას ცდილობს. რა გამოუვა ან როგორ, მომავლის საკითხია, მაგრამ ჯამში ეს ყველაფერი ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

რაც შეეხება ამ ყმაწვილის განცხადებას, კობახიძეს ვგულისხმობ, სიმართლე გითხრათ, მას სერიოზულად არც განვიხილავ, მაგრამ, **თუ ის პრაგმატულობაში გულისხმობდა რუსეთის მისამართით აგრესიული და შეურაცხმყოფელი რიტორიკის შერბილებას, რაც სააკაშვილის პერიოდში ჩვეულებრივი პოლიტიკური პრაქტიკა იყო, ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა მოლოდინი იმისა, რომ, თუ საქართველოს პრეზიდენტი ან სხვა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი ვლადიმერ პუტინს უდიერად შეურაცხმყოფელად არ მოიხსენიებს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მაშინვე დარეგულირებისკენ წავა, ცხადია, არ უნდა გვქონდეს.** ეს არ არის პოლიტიკა და არც სტრატეგია. ეს არის ელემენტარული ეთიკის ნორმები, რომლებიც დიპლომატიაში ყველამ უნდა დაიცვას. ისე, რუსეთიც არ არის დღეს ჩვენით განსაკუთრებულად დაინტერესებული და ამას მოწმობს ის განცხადებები, რომლებიც ნატოსთან საქართველოს დაახლოებას შეეხება. მოსკოვში ჩვეულებრივ სტანდარტულ შეფასებებს აკეთებენ, რომ ალიანსისკენ საქართველოს სწრაფვა მიუღებელია, არამეგობრულია და ა.შ., მაგრამ მათი მხრიდან განსაკუთრებულ შეშფოთებას ან განგაშის ნიშნებს იმის გამო, რომ კობახიძე ან მარგველაშვილი ალიანსს საქართველოს ერთადერთ ხსნად მიიჩნევს, ვერ ვხედავთ...

**— თქვენ თქვით, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობისგან შორს ვართ. დავაკონკრეტოთ, რაში გამოიხატება ეს ყველაფერი?**

— **საზოგადოებაში არის სერიოზული შიში და გაურკვევლობა იმ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ნაწილობრივაც ვერ გადაჭრა.** მაგალითად, როცა საუბარია ეკონომიკურ სტაბილურობაზე და პრემიერი ამაყად ამბობს, ძალიან დიდი ეკონომიკური ზრდა გვაქვსო, მაგრამ ვინმე ამბობს, რა ეშველება კატასტროფულად მაღალ მიგრაციას ან მასობრივ უმუშევრობას, სიღარიბეს, უმძიმეს სოციალურ ფონს, რომელიც თანდათან კიდევ უფრო უარესდება? მიგრაციის საკითხი მათ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც ეშინიათ, ევროპამ მოზღვავებული არალეგალების გამო ყური არ აუწიოს; და, თუ ასეთი მეგობარია ეს ევროკავშირი საქართველოსი, დაუშვან გარკვეული კვოტა, რომ აქედან ჩასულმა მოქალაქეებმა იქ ლეგალურად მუშაობა შეძლონ. რამდენი ქართველი კია დღეს ევროპაში?! დავიჯეროთ, ასე შევაწუხებთ?! კრიმინალებსა და დამნაშავეებს, კი ბატონო, ებრძოლონ, მაგრამ ის გაჭირვებული ქართველები რატომ უნდა დაიჩაგრონ, რომლებსაც პატიოსნად მუშაობა უნდათ?! აი, ამაზე უნდა ზრუნავდეს დღეს მთავრობა და არა იმაზე — არიქა, ევროპარლამენტი არ გაგვინაწყენდესო. ხოლო პოლიტიკური ზღაპრები ეკონომიკურ ზრდასა და აღმავლობაზე ხალხს ყელში ამოუვიდა. ისე გვიყვებიან ამ ზღაპრებს, თითქოს მთვარეზე ვცხოვრობდეთ და სინამდვილეში რა მდგომარეობაა, ვერ ვხედავთ ან საკუთარ თავზე ვერ ვგრძნობთ...

**— ხელისუფლების ბოლოდროინდელი რიტორიკა ნატოს მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ რა ფასადაც უნდა დაგვიჯდეს, საქართველო ალიანსის წევრი უნდა გახდეს. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს ეს ფორმულირება?**

— მარტივად და ყველასთვის გასაგებ ენაზე **ეს ნიშნავს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების გააზრებაზე უარის თქმას.** ეს პრაქტიკულად იმის აღიარებაა, რომ **საქართველო არ არის სახელმწიფო და რეალურად ექვემდებარება რაღაც პოლიტიკურ კონიუქტურას, რომელიც არანაირად არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს.**

**რაც შეეხება რუსეთის რეაქციას, ფაქტია, რომ რამდენიმე წელიწადია, ის არ ცვლის თავის სტრატეგიას და პრაქტიკულად არც ერთი მიმართულებით ძვრა არ არის ორი ქვეყნის ურთიერთობაში. აი, ეს არის ის სამწუხარო რეალობა და მოცემულობა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ პერსპექტივას, ასეც და ისეც, ნათელს ჰფენს — მუდმივად ვიქნებით დაპირებებში, რომ ნატო დაგვიცავს, მაგრამ რეალურად ვერც ამ მხარდაჭერას ვეღირსებით და ვერც ალიანსის წევრობას.** საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა დღეს იმაზე გაცილებით რბილია, ვიდრე მათ რეალურად ბერკეტები გააჩნიათ. არ ვიცი, ახლა არ იყენებენ თუ ვერ იყენებენ ისინი ამ ბერკეტებს, მაგრამ ფაქტია, რუსეთი დღეს უფრო სხვა პრობლემებით და საკითხებითაა დაკავებული.

**— ვთქვათ, მოხდა სასწაული და ალიანსმა საქართველოს მიღების საკითხი რეალურად დააყენა, რა ნაბიჯები შეიძლება კრემლმა გადადგას?**

— ამ შემთხვევაში, ალბათ, მოსალოდნელი არ არის რამე მყისიერი მოქმედება, ომს ვგულისხმობ, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვება შესაბამისი რეაქცია. უწინარესად, ჩვენ ეს კიდევ უფრო დაგვაშორებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, იმიტომ, რომ ალიანსთან დაახლოების კვალდაკვალ ავტომატურად მოხდება ამ რეგიონების ინტეგრაცია რუსეთთან; და მეორე: დიდი ალბათობით, გაწყდება ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნაწილობრივ აღდგა. თქვენ იცით, რომ დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას ყველაზე მეტად სწორედ რუსეთში მოიხმარენ. ახლა ევროპა თუ ჩაანაცვლებს მას, არ ვიცი. ვფიქრობ, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ალბათ, აქამდეც ჩაანაცვლებდნენ. სხვა რა გითხრათ, **ომი და შეიარაღებული დაპირისპირება, არ მგონია, რუსეთის ინტერესში შედიოდეს, თუმცა რაიმე ავანტიურაზე წასვლა საქართველოს მხრიდან იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც აპატურაი და მსგავსი ფიგურები ბოლო დროს აკეთებენ, ნამდვილად იქნება საბედისწერო შეცდომა.** სხვათა შორის, დაცვას და ნატოს მხარდაჭერას რაც შეეხება, რუსული საფრთხის გამო ბოლო დროს ლიტვის პრეზიდენტი აღმოჩნდა „ისტერიკაში"; აცხადებს, რომ ლიტვას შესაძლო რუსული აგრესიისგან თავდასაცავად სჭირდება წყალქვეშა ხომალდები, რაკეტები „პეტრიოტი" და სატანკო ბრიგადები. სხვა შემთხვევაში, მას თავისი ქვეყანა დაცულად არ მიაჩნია და თვლის, რომ რუსეთმა ნებისმიერ დროს შეიძლება მასზე აგრესია განახორციელოს. ახლა ეს რამდენად რეალურია, სხვა საკითხია, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება ერთ რამეს: რამდენი წელია, ლიტვა ალიანსის წევრია და, მიუხედავად ამისა, თავს დაცულად ვერ გრძნობს. მე ვსვამ შეკითხვას: **თუ კი ნატოში შესვლა ასეთი სანუკვარია და უსაფრთხოების გარანტიების მომცემი, რატომ აქვთ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ასეთი დაუცველობის განცდა და ისტერიული ტონი?!** ესე იგი ამ ორგანიზაციის წევრობა უსაფრთხოების ვერანაირ გარანტიებს ვერ იძლევა. და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ: **თუ ლიტვა და მთლიანად ბალტიისპირა სახელმწიფოები დაუცველია, საქართველოს შემთხვევაში რა დაცვასა და უსაფრთხოებაზე შეიძლება საუბარი?!** ჩვენი პოლიტიკური ელიტა საერთოდ აცდენილია რეალობას. წაიკითხონ, რას წერენ ჩვენზე ნატოს სტრატეგოსები...

> **თუ კი ნატოში შესვლა ასეთი სანუკვარია და უსაფრთხოების გარანტიების მომცემი, რატომ აქვთ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ასეთი დაუცველობის განცდა და ისტერიული ტონი?! ესე იგი ამ ორგანიზაციის წევრობა უსაფრთხოების ვერანაირ გარანტიებს ვერ იძლევა. და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ: თუ ლიტვა და მთლიანად ბალტიისპირა სახელმწიფოები დაუცველია, საქართველოს შემთხვევაში რა დაცვასა და უსაფრთხოებაზე შეიძლება საუბარი?! ჩვენი პოლიტიკური ელიტა საერთოდ აცდენილია რეალობას. წაიკითხონ, რას წერენ ჩვენზე ნატოს სტრატეგოსები...**

**— რას წერენ?**

— რომ საქართველო გეოგრაფიულად მოწყვეტილია ევროპას და მასთან მისადგომები არ არსებობს, თურქეთის გარდა. ეს კი ნიშნავს, რომ **ნატოდან აქ თუ ვინმე შეიძლება განლაგდეს, უპირველესად, ეს იქნება თურქეთის შეიარაღებული ძალები, თუმცა იმ პირობით და იმ შემთხვევაში, თუ ისინი რუსებს არ დაუპირისპირდებიან.**

დავუბრუნდეთ ისევ ბალტიისპირეთის მაგალითს. ის, რომ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დაცვა ნატოსთვის პრობლემურია, ავტომატურად ნიშნავს ათ იმდენ თავისტკივილს საქართველოს შემთხვევაში, რომელიც კავკასიაში მდებარეობს. კავკასია კი, მოსწონს ვინმეს თუ არა, არ არის ევროპა. გამომდინარე აქედან, **ის დაპირებები, რომლებსაც ნატოს სამიტებზე გვაძლევენ, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მიგვიღებენ და ა.შ., არის ჩვეულებრივი იაფფასიანი სატყუარა. რეალურად კი ნატოს საქართველო სჭირდება იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, პოლიტიკურად ვიყოთ დასავლეთის ორბიტაზე და, მეორე მხრივ, მუდმივად დაძაბულობა გვქონდეს რუსეთთან.** საერთოდ ამერიკელები დღეს კავკასიაში განიხილავენ ორ დიდ კონფლიქტს. ეს არის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი და მეორე ქართულ-რუსული. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის შემთხვევაში სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ეს კონფლიქტი უნდა შერბილდეს, ხოლო ქართულ-რუსული კონფლიქტი პირიქით — მუდმივად უნდა გამწვავდეს და შეძლებისამებრ უნდა გაღრმავდეს კიდეც. ამაზე თვით ამერიკელი ექსპერტები საუბრობენ კულუარებში.

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, ის არაკომპეტენტურობის, უცოდინარობისა და უმეცრების ნაზავია. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური აღზრდის მომენტიც. ამ პოლიტიკურ ელიტას არც ესმის, რა პროცესები მიდის და, რაზეც მე ვლაპარაკობ, მათთვის ჩინურია. მათ არ სურთ, საქართველო სუვერენული სახელმწიფო იყოს, ურჩევნიათ, რაღაც გარეძალის დაქვემდებარებაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები იყვნენ და ფაქტობრივად ასეცაა. ერთი შეხედვით, ეს არის ჩახლართული, მაგრამ რეალურად ძალიან მარტივი რეალობა. ჩვენ ვერ შევდექით, როგორც სუვერენული სახელმწიფო და, როგორც ჩანს, არც არის ეს ჩვენს ხასიათში...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**საკმაოდ ბევრ ამომრჩეველს სურს, იხილოს „გაერთიანებული ოპოზიცია“ „მეოცნებეებისა“ და „ნაციონალების“ გარეშე, მაგრამ დავით უსუფაშვილს აქვს სერიოზული პრობლემა — კონსერვატორების უმრავლესობა მას ერთ-ერთ გამორჩეულ ლიბერალად აღიქვამს და, შესაბამისად, არ ენდობა. გიორგი მარგველაშვილს შეუძლია დაეხმაროს მას, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან კონსერვატიული საზოგადოება დიდად არც მას სწყალობს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მწიფდება დაუშვებელი...»

## უსუფაშვილი სთავაზობს «ასამდე ქართველ პატრიოტსა და ევროპული ყაიდის პროფესიონალს», გვერდზე გადადონ ძველი უთანხმოება და ამბიციები, რათა ახალი ცენტრისტული პოლიტიკური ძალა შეიქმნას

**გასულ კვირას, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, დავით უსუფაშვილი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამის მიზეზი ის ღია წერილი აღმოჩნდა, რომლითაც მან პრეზიდენტ მარგველაშვილს მიმართა. საინტერესოა, რატომ შესთავაზა უსუფაშვილმა მარგველაშვილს ალიანსი სწორედ ახლა და თანაც ამ ფორმით.**

უსუფაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი შეგვიძლია პირობითად სამ ნაწილად დავყოთ: მოძრაობა „შენების“ ლიდერი ერთობ მელოდრამატულად აღწერს შექმნილ სიტუაციას: „ქვეყანა თავზე გვექცევა“ და ა.შ. არავინ უარყოფს, რომ საქართველო უმძიმეს მდგომარეობაშია, მაგრამ, ვინაიდან უსუფაშვილს აზრის სტილისტურად უნაკლო შეფუთვა ყოველთვის უჭირდა, ზოგიერთი მონაკვეთის სერიოზული აღქმა რთულია. მაგალითად, „ქოც-ნაცურ-პრორუსული“ მტრობით, ფლირტითა და სპარინგ-პარტნიორობით დომინირებული პოლიტიკური პროცესი ცალკეულ პოზიტიურ მოვლენებსაც და უკეთესი მომავლის პერსპექტივასაც უკვალოდ შთანთქავს“. 90-იანებშიც დაახლოებით ასე წერდა (და საუბრობდა), როდესაც ცდილობდა, პათოსისა და „ჭკვიანი სიტყვების“ გამოყენების ხარჯზე თავი გამორჩენილ მოაზროვნედ წარმოეჩინა და პროვინციელის კომპლექსი დაეძლია.

ასე რომ, მთელი ამ უვერტიურის ციტირება, რომელიც სრულდება ჰამლეტისეული რეპლიკით „მწიფდება დაუშვებელი...“, ალბათ, მაინც არ ღირს. ყოველივე საინტერესო და (ფარდობითად) ღირებული იწყება ფრაზიდან „გამოსავალი არსებობს“. **უსუფაშვილი სთავაზობს „ასამდე ქართველ პატრიოტს და ევროპული ყაიდის პროფესიონალს“, გვერდზე გადადონ ძველი უთანხმოება და ამბიციები, რათა ახალი ცენტრისტული პოლიტიკური ძალა შეიქმნას.** ზოგმა შეიძლება იკითხოს: რატომ 100 და არა 300 (როგორც სპარტელი) ან 26 (როგორც ბაქოელი კომისარი)? მაგრამ ეს არითმეტიკული წვრილმანებია. მთავარია ის, რასაც უსუფაშვილი შემდეგ წერს: **„ვიმარჯვებთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და ქვეყანა გადაგვყავს თავისუფლების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ევროპული სტადარტების შეუქცევად გზაზე, სადაც კანონთან პირნათელი ყოველი ქართველისთვის იქნება ღირსეული ადგილი და თანაბარი შესაძლებლობა“.**

როგორც ამბობდა „ბეჭდების მბრძანებლის“ ერთ-ერთი გმირი ბორომირი: „არ შეიძლება ასე უბრალოდ ადგე და შეხვიდე მორდორში“. დავუშვათ, „ასამდე საქართველოს პატრიოტი“ მართლა შეწყვეტს „ემოციურ მოთქმა-გოდებასაც, ღრმა ფილოსოფიურ წიაღსვლებსაც, ვიწრო პერსონალურ მეწყინა-მეტკინასაც, უშედეგო ინდივიდუალურ გმირობებსაც“, რაც თავისთავად წარმოუდგენელია, მაგრამ არჩევნების მოსაგებად საკმარისი არაა, ამიტომ უსუფაშვილი იქვე აზუსტებს: „ეს არ არის ოცნება. ეს არის პოლიტიკური გეგმა, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ კომპონენტებს, რესურსებს და ეტაპებს“, მაგრამ შემდეგ ისევ არითმეტიკას, ლამის კაბალისტურ ნუმეროლოგიას უბრუნდება: **„1. საქმის დასაწყებად საჭირო ათამდე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფიგურა არსებობს, თუმცა ჯერ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული პოლიტიკური კვანძის გახსნას ელის; 2. საქმის გასაძღოლად საჭირო ასამდე კვალიფიციური და წესიერი თანალიდერი არსებობს, თუმცა ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ემზადებიან პოლიტიკური აქტიურობისთვის და ელიან საქმის სათანადოდ დაწყებას; 3. საქმის საკეთებლად საჭირო ათასობით მაღალი ზნეობისა და კვალიფიკაციის პროფესიონალი აქტივისტი არსებობს, თუმცა დღეს ჩრდილშია, პასივშია, უმოქმედოა, გაქცეულია საჯარო ცხოვრებიდან და ელის საქმის სათანადოდ გაძღოლას; 4. საქმის გასამარჯვებლად საჭირო ასიათასობით დამშვიდების, გამთლიანების, სამართლიანობისა და ზნეობრიობის მსურველი მოქალაქე არსებობს და ელის სათანადო საარჩევნო შეთავაზებას, რათა მას მხარი დაუჭიროს. ამ გეგმაში...“** აქ, ალბათ, უნდა შევჩერდეთ, რათა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმულას „10-100-1000-10 000“ და თანმდევ ტექსტს გეგმასთან საერთო არაფერი აქვს. თუმცა გამორიცხული არაა, რომ უსუფაშვილმა ეს მონაკვეთი ბუნდოვნად განგებ ჩამოაყალიბა — გეგმის მეტნაკლებად დეტალური გაწერით ის პოტენციურ პარტნიორთან ურთიერთობაში საკუთარ თავს გარკვეულ ჩარჩოებს დაუწესებდა.

შემდეგ მოდის პირველი ფრაზა, რომელიც საკამათო არ არის: „საპრეზიდენტო არჩევნების ფინიში საპარლამენტოს სტარტია“. **უსუფაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ შესაძლებელია წლევანდელი წინასაარჩევნო პერიოდის გამოყენება ახალი პოლიტიკური ძალის გასაძლიერებლად.** ,,ამ მიდგომითა და ხედვით გადავწყვიტე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და ამავე მიდგომებსა და ხედვებს დაექვემდებარება ჩემი შემდგომი გადაწყვეტილებებიც, მათ შორის სხვა კანდიდატისთვის შესაძლო მხარდაჭერის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის თაობაზე“, — წერს დავით უსუფაშვილი და გიორგი მარგველაშვილს თანამშრომლობას სთავაზობს.

კომენტატორები ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ალიანსები კულუარული მოლაპარაკებებით იქმნება და მარგველაშვილის (ჟარგონულად რომ ვთქვათ) „ვინუჟდენში ჩაგდების“ საჯარო მცდელობა ერთობ უადგილოდ გამოიყურება. მაგრამ საქმე ისაა, რომ **საუბარი მარგველაშვილის მონაწილეობაზე საპრეზიდენტო არჩევნებში და მის მიერ ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნის მცდელობაზე არა თუ თვეების, არამედ წლების განმავლობაში მიმდინარეობს.** ამ პერიოდში ფიგურანტისგან არც ერთი მეტნაკლებად მკაფიო გზავნილი არ წამოსულა. მისი გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ პრეზიდენტობა მარგველაშვილს ამ მხრივ ზღუდავდა, თუმცა არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ის, მერყევი ხასიათიდან გამომდინარე, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ყოყმანობდა, დაახლოებულ პირებთან ერთად სხვადასხვა ვარიანტს განიხილავდა და, საბოლოო ჯამში, დინებას მიჰყვებოდა. შესაძლოა, უსუფაშვილი მიანიშნებს კიდეც ამაზე თავისი წერილის ბოლო აბზაცში: **„ვიცი, რომ ათასი მიზეზი გაქვს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკიდან წასასვლელად, მითუმეტეს, რომ არც მოსვლა იყო შენი ოცნება. ისიც ვიცი, რაც ძალიან ცოტამ იცის...“.** ასეთ ვითარებაში დასწრებაზე თამაში და ინიციატივის ხელში აღება პოლიტიკაში სავსებით ბუნებრივი რამ არის, მითუმეტეს მაშინ, როდესაც პოტენციური პარტნიორი პასიურობს.

**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ბევრი მძიმე შეცდომა დაუშვა, ვითარებას ადეკვატურად აფასებს. ოპოზიციის კრიზისმა შექმნა მოთხოვნა ახალი პოლიტიკური ძალის, რომელიც „ქოც-ნაცურ“, თითქოს ბიპოლარულ სისტემასთან დაკავშირებული არ იქნება. ფაქტია, არსებობს მისი ფორმირებისთვის აუცილებელი „სამშენებლო მასალაც“ — აქტივისტები, რომლებიც ოპოზიციის „დიდი ჩამოშლის“ შემდეგ იმედგაცრუებული და უმოქმედო არიან.**

ივანიშვილს, სავარაუდოდ, არ სურს, ანგარიშგასაწევი ელექტორალური რესურსი „უპატრონოდ დარჩეს“ და, ადრე თუ გვიან, საშიში მოწინააღმდეგეების ხელში გადავიდეს, ამიტომ სცენარი, რომლის ფარგლებში მის ნაწილს ორი სუსტი პოლიტიკოსი აითვისებს, მისთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს. ამავე დროს, მის გეგმებში, სავარაუდოდ, არ შედის „თავისუფალი ელექტორატის“ სრული კონსოლიდაცია, რადგან ის გარკვეულ საფრთხეს შეუქმნის.

**რაც უფრო საშიშია ოპოზიციური პარტია ხელისუფლების თვალში, მით უფრო რთულია მისთვის სერიოზული ფინანსების მოზიდვა. თუ მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში (რომლის მოგების შანსი მარგველაშვილსა და უსუფაშვილს არც ერთად, არც ცალ-ცალკე არ აქვთ) შედარებით შეზღუდული ბიუჯეტითაც შეიძლება, პარტიული აღმშენებლობა 2018-20 წლების პერიოდში და საპარლამენტო არჩევნებში კარგი შედეგის მიღწევა გაცილებით სერიოზულ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს. საქართველოში თითქმის შეუძლებელია იპოვო მდიდარი ადამიანი, რომელიც მისცემს ფულს ოპოზიციურ პარტიას, თუ ეცოდინება (ან თუნდაც ივარაუდებს), რომ ბიძინა ივანიშვილი ამის წინააღმდეგია.**

საკმაოდ ბევრ ამომრჩეველს სურს, იხილოს „გაერთიანებული ოპოზიცია“ „მეოცნებეებისა“ და „ნაციონალების“ გარეშე, მაგრამ **დავით უსუფაშვილს აქვს სერიოზული პრობლემა — კონსერვატორების უმრავლესობა მას ერთ-ერთ გამორჩეულ ლიბერალად აღიქვამს და, შესაბამისად, არ ენდობა. გიორგი მარგველაშვილს შეუძლია დაეხმაროს მას, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან კონსერვატიული საზოგადოება დიდად არც მას სწყალობს.** ერთად-ერთი ფიგურა პირობითი „მესამე ბანაკიდან“, რომელსაც მისასვლელი პირი როგორც კონსერვატორებთან, ისე ლიბერალებთან აქვს, **ალეკო ელისაშვილია** და ეს შარშან თბილისის მერის არჩევნების პერიოდში ძალიან დაეხმარა, თუმცა უსუფაშვილს მისთვის ალიანსი არ შეუთავაზებია, ალბათ, იმიტომ, რომ ამ ეტაპზე მისი შექმნის ალბათობა ძალზე დაბალია.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ მოცემულობაში სტაბილური პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელიც 5-7% მიიღებს (8-10 იყოს, ჩვენი რა მიდის, თუმცა ეს ალბათ მაინც უტოპიაა), სავსებით შესაძლებელია. განხილულ შემთხვევაში **მთავარი პრობლემა მხოლოდ ფინანსები როდია — ორივე ფიგურანტი სუსტია, ამომრჩეველთა ფართო მასების მოხიბვლა უჭირთ და ისიც გაუგებარია, რამდენად შეძლებენ ისინი ადეკვატური გადაწყვეტილებების სწრაფ მიღებას დუუმვირატის ფორმატში. ის ლიდერების მიერ ერთმანეთის დაბლოკვის საფრთხეს ქმნის. ეს საფრთხე იარსებებს ჰიპოთეტური პარტიის მაღალ და საშუალო რგოლშიც, თუ იქ მარგველაშვილისა და უსუფაშვილის კადრები თანაბრად იქნებიან წარმოდგენილნი.** ზოგმა შეიძლება ივარაუდოს, რომ დავით უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი იოლად შეძლებენ კოლეგის წინააღმდეგობის დაძლევას, თუმცა მათ, ალბათ, არ იციან, რომ მარგველაშვილმა სანიმუშო გაჯიუტება იცის, თანაც, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ სიტუაციებში. შესაძლოა, ამ პარტიას დასჭირდება კიდევ ერთი ელემენტი — მესამე... მეხუთე... ციფრებით თამაში, ჯობია, ისევ უსუფაშვილს დავუთმოთ.

**დავით უსუფაშვილი და გიორგი მარგველაშვილი კონსულტაციებს ამ თემაზე მას შემდეგ გამართავენ, რაც პრეზიდენტი ნატოს სამიტიდან დაბრუნდება და მალევე შევიტყობთ, შეძლებენ თუ არა ისინი, გარკვეული დინამიკა შესძინონ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც ბოლო დროს არა მხოლოდ ძალზე მოსაწყენი გახდა, არამედ იმაზეც მიანიშნებს, რომ „დაუშვებელი“ მართლა მწიფდება.**




**ზოგმა შეიძლება იკითხოს: რატომ 100 და არა 300 (როგორც სპარტელი) ან 26 (როგორც ბაქოელი კომისარი)? მაგრამ ეს არითმეტიკული წვრილმანებია. მთავარია ის, რასაც უსუფაშვილი შემდეგ წერს: «ვიმარჯვებთ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და ქვეყანა გადაგვყავს თავისუფლების, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების ევროპული სტადარტების შეუქცევად გზაზე»**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„პლანი“, ანუ კანაფი, ანუ მარიხუანა რომ არის ახალგაზრდა „ჯაფარისტების“ მიზიდულობის ძირითადი ცენტრი, ამას ზედმეტი მტკიცებაც არ სჭირდება, თუმცა, მოგეხსენებათ, არსებობს კიდევ ერთი არანაკლებ მაცდუნებელი „გირჩობა“ — სამშობლოსათვის ჯარში სამსახურისგან თავის არიდება! აი, ამ ძალიან „ვაჟკაცური“ დაპირებით, „გირჩი“ უამრავ ყმაწვილს იზიდავს თავის რიგებში და მერე „უფასო პლანის“ ზეგავლენით ათასგვარ სულელურ აზრს უნერგავს თავში.

# «ალალი ჯაფარას» სექტა

## «გირჩის» თავკაცები, როგორც ტელეეთერით, ისე სოციალური ქსელებით ახალგაზრდა თაობას ტვინს უწამლავენ

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტატიის ძირითადი თემა სულ სხვა იყო, მაინც ვახსენე ზურაბ ჯაფარიძე და მისი „გირჩი“, ამიტომ ერთგულ მკითხველს შეიძლება გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს ჩემი ყურადღება ამ ორგანიზაციისა და მისი ლიდერისადმი. შევეცდები, ეს შეხედულება გაგიქარწყლოთ და ნათლად დაგანახვოთ, რამდენად საშიშია ეს ორგანიზაცია ქართველი საზოგადოებისა და, აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოსთვის.**

შეამჩნევდით, რომ „გირჩი“ მოვიხსენიე, უბრალოდ, ორგანიზაციად და არ დამიკონკრეტებია, ეს ორგანიზაცია „პოლიტიკურია“, „საზოგადოებრივი“ თუ სხვაგვარი. ამის მიზეზი ისაა, რომ რეალურად „გირჩს“, გამომდინარე მისი წევრების მიერ გაწეული დანაშაულებრივი პროპაგანდიდან, არ შეიძლება ეწოდოს ან პოლიტიკური, ან საზოგადოებრივი და ან, საერთოდ, ორგანიზაცია. თავისი შინაარსითა და ხასიათით ეს არის, ფაქტობრივად, სექტა; დიახ, რელიგიური სექტა, რომელსაც უკვე საკუთარი ეპისკოპოსებიც კი ჰყავს, ვითომ ხუმრობითა და „ლადაობით“, მაგრამ რეალურად მათი გავლენა ახალგაზრდებზე უკვე რელიგიურ ფანატიზმამდე მივიდა. რაც მთავარია, როგორც არაერთ რელიგიურ სექტას ახასიათებს, მათ საკულტო ნარკოტიკული მცენარეც აქვთ. ეს არის კანაფი, რომლითაც ვითომ „პარტიულ ყრილობაზეც“ კი უმასპინძლდებიან დელეგატებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს.

**გაინტერესებთ მიზეზი, თუ რატომ დავუთმე „გირჩს“ ამდენი ყურადღება? რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ ეს არის ერთი ვერშემდგარი, სულელური, სრულიად უაზრო და საზოგადოებაში ნულოვანი მხარდაჭერის მქონე ორგანიზაცია და მასზე ამხელა ყურადღების გამახვილება არც ღირს. მინდა, გითხრათ, რომ ცდებით, ბატონებო! ჩვენს სინამდვილეში უკვე რიხით, პრეტენზიითა და საარჩევნო ხმის უფლებით შემოაბოტა იმ თაობამ, რომელსაც ის ავადსახსნებელი 9 წელი საკუთარ ზურგზე არ უწვნევია და მხოლოდ და მხოლოდ გადმოცემით იცის. როგორ ფიქრობთ, ვინ იქცევს ყველაზე მეტად ამ თაობის ყურადღებას და, რაც მთავარია, რით?**

აქედან იხსნება ის კვანძიც, რის გამოც „გირჩი“ და ზურაბ ჯაფარიძე გაზეთის უკვე მეორე ნომერში ჩემი ყურადღების ცენტრში არიან. პირდაპირ ვიტყვი: **ის, რასაც „გირჩი“, როგორც ტელეეთერით, ისე სოციალური ქსელებით აკეთებს, არის ახალგაზრდა თაობის ტვინის მოწამვლა სრულიად უკადრისი მეთოდებითა და ამაზრზენი ტყუილებით.**

**ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ახალგაზრდობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მართლა ტყუვდება და შტერდება „გირჩის“ გაიძვერა და, ჩემი აზრით, დამნაშავე ლიდერის სწორად გათვლილი, მაგრამ იაფფასიანი „მარკეტინგული“ სვლებით.**

დიახ, სწორედ ეს არის ამ სტატიის დაწერის მიზეზი. საქმე ისე მიდის, სულაც არ იქნება მოულოდნელი, „გირჩი“ 2020 წელს საქართველოს პარლამენტში ვიხილოთ საკმაოდ სოლიდური პროცენტით! უფრო ზუსტად, ეს ნამდვილად მოულოდნელი იქნება საზოგადოების იმ უდიდესი ნაწილისთვის, რომელმაც არ იცის, რა ხდება „ღრმად“ და „გირჩს“ ირონიულად, ცალყბად უყურებს, ხოლო იმ მცირე ნაწილისთვის, რომელსაც წილად გვხვდა „ბედნიერება“, უფრო ახლოდან გავცნობოდით „გირჩის“ დახურულ ჯგუფს სოციალურ ქსელებში და გვესაუბრა სტუდენტების იმ საკმაოდ სოლიდურ ნაწილთან, რომელიც „ჯაფარას სექტის“ უფრო და უფრო „ზომბირებული“ წევრი ხდება, ასეთი შედეგი სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელია.

„პლანი“, ანუ კანაფი, ანუ მარიხუანა რომ არის ახალგაზრდა „ჯაფარისტების“ მიზიდულობის ძირითადი ცენტრი, ამას ზედმეტი მტკიცებაც არ სჭირდება, თუმცა, მოგეხსენებათ, **არსებობს კიდევ ერთი არანაკლებ მაცდუნებელი „გირჩობა“ — სამშობლოსათვის ჯარში სამსახურისგან თავის არიდება!**

**აი, ამ ძალიან „ვაჟკაცური“ დაპირებით, „გირჩი“ უამრავ ყმაწვილს იზიდავს თავის რიგებში და მერე „უფასო პლანის“ ზეგავლენით ათასგვარ სულელურ აზრს უნერგავს თავში.**

ჯარში წასვლისთვის თავის არიდება რომ ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში დანაშაულებრივი ქმედებაა, ამას დიდი განხილვა და მტკიცება არ სჭირდება. თუმცა „გირჩელებს“ საოცარი „გაპრავება“ აქვთ მათი ამ დანაშაულებრივი ქმედებისა — „ჩვენ ვაპროტესტებთ იმას, რომ ახალგაზრდა ბიჭები მიჰყავთ და საპატიმრო ადგილებში ეგრეთ წოდებულ ვიშკებზე აყენებენ, ეს ხომ რეალურად ჯარი და არმია არ არის!“ ამ აზრს ავრცელებენ „გირჩის“ ლიდერები და ათასნაირად ცდილობენ, ირონიულ ტონებში დახატონ ქართულ ჯარში სამსახური. ახალგაზრდებიც, ალტყინებული ხბოებივით კვერს უკრავენ და მიდის საყოველთაო ხალისი იმაზე, რაც რეალურად სახელმწიფოს არსებობის საფუძველთა საფუძველია!

თურმე ეს „ვაჟკაცი“ ტიპები მხოლოდ იმიტომ არ მიდიან ჯარში, რომ „ვიშკებზე დგომა“ არ უნდიათ, თორემ „ნამდვილ ჯარში“ სულ სირბილ-სირბილით წავიდოდნენ



**კლასიკური გაიძვერას, სახელმწიფოს დანგრევის მოსურნის, სისხლის სამართლის დამნაშავე ლიდერის — «ჯაფარას» სექტა და ამ სექტაში მოხვდერილი, პლანისგან ტვინდაბოლილი, თვალებგაბრწყინებული, ვითომ «თავისუფალი», ყველაფერზე აგდებულად და ირონიული ტონით მოსაუბრე ბავშვები...**

და ვერავინ დააკავებდა. ჯერ ერთი, არავის საქმე არ არის, ჯარისკაცს უფროსობა „ვიშკაზე“ დააყენებს თუ სანგარში ჩააწვენს. შენს სამშობლოს როგორც სჭირდება და როგორც იმ კონკრეტულ მომენტში არის საჭირო, ისე უნდა ემსახურო! და მეორეც: თუ, დავუშვათ, ჯარში სამსახურის არსებული სისტემა შესაცვლელია, ამას, „დაბოლებითა“ და ჯარისგან დამალვით კი არა, კანონიერ ფარგლებში და შესაბამისი სამართლებრივი მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ.

მაგრამ ეს მაშინ, როდესაც მართლაც რამე არ მოგვწონს და რაღაცის შეცვლა გვინდა. **„გირჩის“ რეალური მიზანი კი, უბრალოდ, პარლამენტში მოხვედრაა, თორემ სინამდვილეში სულ ფეხებზე ჰკიდიათ ქართული ჯარიც, ქართული ეკონომიკაც და მთელი საქართველოც!**

პარლამენტში მოხვედრის გზით გარკვეული ბერკეტების ხელში ჩაგდება და ამით საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის შექმნა სულაც არ არის ზურაბ ჯაფარიძისთვის „ახალი ხილი“, მან ეს ნაციონალების დროს უკვე გააკეთა და ახლა ამის გამეორება სურს.

აკი, ამბობს კიდევაც ღიად და დაუფარავად. „მიშას დროს ხმას იმიტომ არ ვიღებდი არაფერზე, სიტყვა რომ მეთქვა, დედას მიტირებდნენ, უკანალში ჯოხს გამირჭობდნენ. რა, თქვენ გგონიათ, მომერიდება ამის აღიარება და ვერ ვიტყვი ღიად?“ — წერს დახურულ ჯგუფში ჯაფარიძე და ხბოსავით ალტყინებული ახალგაზრდები გამეტებით უკრავენ ტაშს: „რა კაი ტიპია, ჯაფარა, ზოგიერთივით თავის მართლებას კი არ იწყებს, პირდაპირ ამბობს ყველაფერსო!“

„ჯაფარა“ იმასაც ამბობს, რომ მიშას დროს, „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, არც ერთი სხვა პარტია არ იყო ფინანსურად გამართული და იმიტომაც „შეეტენა“ მათ, რომ მატერიალური სარგებელი მიეღო და, ასე ვთქვათ, „პურის ფული“ ჰქონოდა. აი, ამასაც ღიად და ალალად ამბობს ჯაფარა და ხბოსავით ალტყინებული სტუდენტები ისევ და ისევ მოხიბლული არიან ამ გამოცხადებული და თვითაღიარებული ყვარყვარეთი!

მართლაც და, რა ხდება? მსოფლმხედველობა დაუმახინჯეს ამ ბავშვებს და ტვინი ამოუტრიალეს თუ რას ნიშნავს ის, როდესაც ახალგაზრდა ბიჭს ან გოგოს ხიბლავს, როდესაც ადამიანი ღიად აცხადებს ყვარყვარე ვარ, ნაძირალა ვარ და ნაგავი ვარო?!

თუ არადა, აბა, მიპასუხეთ: რა ჰქვია ადამიანს, რომელიც ხმას არ იღებს და გატრუნული ზის, როდესაც მის თანამემამულეებს აწამებენ, ცემენ, ასახიჩრებენ ხოცავენ? კი, ბატონო, მესმის, რომ შეეშინდა, მაგრამ მერე ამის ასე ხმამაღლა გამოცხადება — მაშინ მეშინოდა, ჩასვრილი ვიყავი და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი იმიტომ, რომ კურდღელი ვარო — რა, მოდაა?!

ან რა თავმოსაწონებელია, როდესაც ადამიანი ამბობს: ჩემთვის მთავარი ჩემი მატერიალური გამორჩენა იყო და არ ჰქონდა მმნიშვნელობა ვისგან მივიღებდი ამას — მანიაკებისგან, მკვლელებისგან თუ მხეცებისგან?!

და, რაც მთავარია, კიდევ და კიდევ ვუსვამ ხაზს: **რანაირი ფსიქიკა და მენტალიტეტია, როდესაც „ალალად თქმა“ ყოფილა თურმე აღფრთოვანების საბაბი, ანუ, თუკი ადამიანი ალალად იტყვის, ნაგავი და ნეხვი ვარო, ამ ადამიანს თურმე არჩევნებში ხმა უნდა მივცეთ და მხარი დავუჭიროთ, რადგან მან ეს თავისი „ნეხვობა“ ალალად აღიარა?!**

ნუ გეღიმებათ! და თუ მაინცდამაინც გაღიმება გსურთ, მონახეთ ახლობელი, რომელიც დარეგისტრირებულია „გირჩის“ საიდუმლო „ფეისბუქ“-ჯგუფში და მისი მეშვეობით დაათვალიერეთ ეს გვერდი. დამერწმუნეთ, სამუდამოდ გაღიმებული დარჩებით!

კლასიკური გაიძვერას, სახელმწიფოს დანგრევის მოსურნის, სისხლის სამართლის დამნაშავე ლიდერის — „ჯაფარას“ სექტა და ამ სექტაში მოხვდერილი, პლანისგან ტვინდაბოლილი, თვალებგაბრწყინებული, ვითომ „თავისუფალი“, ყველაფერზე აგდებულად და ირონიული ტონით მოსაუბრე ბავშვები...

ბავშვები, რომლებიც 2020 წლის არჩევნებზე მივლენ და სრულიად შეგნებულად მისცემენ ხმას თავიანთი სექტის ლიდერს — „ალალ ჯაფარას“...

ეს რომ ძალიან დიდი საფრთხეა ქვეყნისთვის, ამაში, ახლა თუ არა, ორიოდ წელიწადში უკვე დარწმუნდებით. დასკვნისთვის კი, მინდა, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო, თუ რაოდენ დადამბლავებული აქვთ გონება „ალალი ჯაფარას“ სექტის მიმდევრებს.

„ნაციონალურ მოძრაობასთან კი იყო 2010-დან 2012 წალმდე ჯაფარა, მაგრამ მას პირადად არაფერი დაუშავებია, ძმაო! ნაციონალები კი აშავებდნენ და კლავდნენ, აწამებდნენ და ხოცავდნენ ხალხს, მაგრამ პირადად ჯაფარა ამაში არ იყო გარეული. ის ახლა ალალად ამბობს, რომ ეს იყო ნაციონალების მხრიდან ძალიან ცუდი საქციელი“, — აი, ასეთი „გაპრავება“ ლამის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მეორდება „გირჩის“ ჯგუფში.

ჰო, გასაგებია, შენს ახლობლებს, მეგობრებს, მეზობლებს კლავენ, აწამებენ, ცხოვრებას უნგრევენ და შენ, მთავარია, პირადად არ მიიღო ამაში მონაწილეობა, თორემ მწამებლების წიაღში კარიერის გაკეთება და მატერიალურ მოგებაზე „ჩალიჩი“ მისაღებია თურმე. მთავარია, მოგვიანებით „ალალად“ აღიარო. ისე, **„ჯაფაროსნებო“, ეგრე პირადად, მერაბიშვილის, ადეიშვილის, ახალაიასა და ბოკერიას გარდა, მგონი, არც არავის მიუღია მონაწილეობა მაგ ამბებში და რა გამოდის? მთელი დანარჩენი ბობოლა ნაცები „გაპრავებულია“?!**

კარგი, თუ ამაზე გიჭირთ პასუხის გაცემა, სანამ „ატხადნიაკი“ არ დაგეწყებათ, მაშინ უბრალოდ გეტყვით, რომ, როდესაც მე თქვენხელა ვიყავი, სკოლაში ერთ საბავშვო ლექსს ასწავლიდნენ, რომლის სიუჟეტი ასეთი იყო: ეზოში ვიღაცამ ონკანი დატოვა მოშვებული. წყალი იღვრება, ეზოში კი რეზო და სხვა ბავშვები თამაშობენ და აზრადაც არ მოსდით, მივიდნენ და დაკეტონ ონკანი... ეს ლექსი ასე მთავრდებოდა: „პატარები ღია ონკანს აუვლიან, ჩაუვლიან... ხომ არაფერს აშავებენ? მაინც დანაშაულია!“

ქვეყნები სიღარიბეს თვითონ განსაზღვრავენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ადამიანს წლიური შემოსავალი 19 ათასი დოლარი აქვს, ის სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, ასევეა გერმანიაში. საქართველოსა და ბევრ სხვა ქვეყანაში მსგავსი განსაზღვრა არ ხდება. ასეთ ქვეყნებში მსოფლიო ბანკის ნორმატივი მოქმედებს. მსოფლიო ბანკის ნორმატივით, ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი დღიური ხარჯია ღარიბი ადამიანისთვის. თუ ამაზე მეტი გაქვს ხარჯი — მდიდარი ხარ, თუ ნაკლები — ღარიბი. ჩვენს ქვეყანაში, როდესაც პენსია 80 ლარი იყო, ეს მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ თანხას აღემატებოდა, ამიტომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ხალხი ცოტა გვყავდა.

გაქირავება თუ «ბიზნესი»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასული საუკუნის 80-იან წლებში სიღარიბის გამომწვევი მიზეზებზე გახშირდა დისკუსიები. ნეოლიბერალური თვალსაზრისით, სიღარიბე არის წარუმატებელ ადამიანთა ინდივიდუალური მარცხი, რომელიც ზოგ შემთხვევაში არასწორი სახელმწიფო პოლიტიკითაა განპირობებული. ამერიკელი ნეოლიბერალი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი მიიჩნევდა, რომ სიღარიბე შედეგია არასწორი სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელიც რედისტრიბუციასა და უნივერსალიზმზეა დაფუძნებული.**

# «ადამიანებს აღარ რცხვენიათ მათხოვრობის, სირცხვილის განცდა დავკარგეთ, ეს ძალიან ცუდია»



მარგარეტ ტეტჩერის ცნობილი ფრაზაა: „არსებობს არა საზოგადოება, არამედ ინდივიდები“. ის სარჩულად დაედო ნეოლიბერალურ ეკონომიკურ დოქტრინას, მათ შორის სიღარიბის დაძლევის პროგრამების რეფორმირების მხრივ. ამგვარი შეხედულებების გაბატონების შედეგად შეიცვალა სიღარიბესთან ბრძოლის მეთოდები. თუ 80-იან წლებამდე სიღარიბეს ებრძოდნენ, ძირითადად, სახელმწიფო სოციალური განვითარების პოლიტიკის საშუალებით, დღეს სიღარიბის პრობლემას პოლიტიკური შინაარსი აღარ აქვს, იგი განიხილება როგორც ტექნიკური პრობლემა, რომელსაც უნდა ებრძოლონ იმავე ტექნიკური საშუალებებით. ასეთ ტექნიკურ საშუალებას კი წარმოადგენს სიღარიბის დაძლევის მიზნობრივი პროგრამები.

საქართველოში სიღარიბე რამდენიმე მაჩვენებლით განისაზღვრება, ესენია: რეგისტრირებული სიღარიბისა და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ზუსტ სურათს ე.წ რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებელი იძლევა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საარსებო შემწეობის მიმღებ მოსახლეობას. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის შედეგების თანახმად, სიღარიბის მაჩვენებელი იზრდება და, მსოფლიო ბანკის მიერ 2005 წელს დადგენილი სიღარიბის ზღვრის მიხედვით, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელია. საარსებო მინიმუმის მაჩვენებლით კი საქართველო მსგავს ქვეყნებს შორის თითქმის ბოლო ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა, ლარის გაუფასურებისა და ინფლაციური წნეხის ფონზე საარსებო მინიმუმი რეალურ სურათს ვერ ასახავს.

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა და მასში მილიონობით ლარის საბიუჯეტო რესურსი ჩადო. მთავრობამ, ბიძინა ივანიშვილის დაპირების შესაბამისად, 2013-2016 წლებში უფასო ხვნის პროგრამაც კი შეიმუშავა, რომელზეც ყოველწლიურად 40-45 მილიონი ლარი იხარჯებოდა. მიუხედავად ამისა, საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობის სექტორის ეკონომიკურმა ვარდნამ 2,2% შეადგინა. ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება ახალდანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და ფერმერთა დაფინანსებაზე დაიწყო საუბარი.

„დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ჩვენი მოსახლეობის 50%, რა თქმა უნდა, ეს იწვევს მხოლოდ სიღარიბეს და ვერ იწვევს განვითარებას. შემიძლია დაგპირდეთ, რომ ამ მიმართულებით იქნება ფუნდამენტური რეფორმები,“ — თქვა ბახტაძემ.



**სიღარიბის დაძლევის ეფექტიანობაზე და არაეფექტიანობაზე ყოფილი ფინანსთა მინისტრი — დავით იაკობიძე გვესაუბრება.**

— სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი პროგრამა ედუარდ შევარდნაძის დროს შემუშავდა. ეს იყო 2002 წლის 9 იანვარს. ამ პროგრამაში პირველ ადგილზე იყო წამოწეული ადამიანის განვითარების მაჩვენებლები. მაგრამ მაშინ ამ პროგრამას წაუყრუეს. საქმე ის გახლდათ, რომ, საერთაშორისო ნორმატივებიდან გამომდინარე, ჩვენთან სიღარიბის დონე მაღალი არ იყო.

**ქვეყნები სიღარიბეს თვითონ განსაზღვრავენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ადამიანს წლიური შემოსავალი 19 ათასი დოლარი აქვს, ის სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, ასევეა გერმანიაში. საქართველოსა და ბევრ სხვა ქვეყანაში მსგავსი განსაზღვრა არ ხდება. ასეთ ქვეყნებში მსოფლიო ბანკის ნორმატივი მოქმედებს. მსოფლიო ბანკის ნორმატივით, ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი დღიური ხარჯია ღარიბი ადამიანისთვის. თუ ამაზე მეტი გაქვს ხარჯი — მდიდარი ხარ, თუ ნაკლები — ღარიბი. ჩვენს ქვეყანაში, როდესაც პენსია 80 ლარი იყო, ეს მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრულ თანხას აღემატებოდა, ამიტომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ხალხი ცოტა გვყავდა.**

როდესაც საუბრობენ, რომ ღარიბები ვართ და ხალხი შიმშილობს, ეს ერთგვარი პოლიტიკური იარაღია ოპოზიციური პარტიების ხელში. არავინ ინტერესდება, რა არის სიღარიბე და რა პარამეტრებით განისაზღვრება ის, რა ძირითადი მაჩვენებლებით გამოირჩევა. დაინახავენ მათხოვარს და უკვე ყვირიან: ხალხი შიმშილობსო. მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებას კი ეს ნაკლებად აღელვებს, მათ სჭირდებათ კონკრეტული ციფრები, მაგალითად, რამდენი ადამიანისთვისაა წყალი ხელმისაწვდომი, აინტერესებთ წლამდე ბავშვების ზრდის მაჩვენებელი, რა პირობებში და როგორ ცდილობს ქვეყანა ბავშვის ფეხზე დაყენებას. ამას უნდა დავამატოთ განათლებაც. ამ ყველაფერს რომ გამოთვლი, ნახავ, რომ ჩვენთან რაღაც ნაბიჯები იდგმება წინ, უკეთესობისკენ.

**აუცილებელია, ქვეყანამ ჯანსაღი მეთოდოლოგია შეიმუშავოს და ამ თემაზე სერიოზული საუბარი დაიწყოს, სიღარიბე არ არის ღლიცინისა და მუდმივი ცილისწამების საგანი.**

საქართველოში ადამიანს რცხვენია, თქვას: კარგად ვარო. ყველას ჩვევად ექცა წუწუნი, განსაკუთრებით ხელფასზე, შემოსავალზე. არავინ ფიქრობს შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და ფინანსების მოძიებაზე.

მთავრობის ღონისძიებები, რომლებიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული, არანაირ შედეგს არ იძლევა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საქმეში. შენდება რაღაცები, ხალხიც ხედავს წინსვლას, მაგრამ, როცა ჰკითხავ, როგორ ხარო, გიპასუხებს, რომ არაფერი არ კეთდება ხალხისთვის.

**— სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში წელიწადში 300 ბავშვი შიმშილით კვდება...**

— ეგ ზღაპარია. ვინმეს სჯერა, რომ მართლა იღუპება ამდენი ბავშვი შიმშილით? ტელევიზიებმა ერთი ამბავი ატეხეს: ბავშვი დაიღუპა შემშილითო, და მერე აღმოჩნდა, რომ სულაც არ შიმშილობდა, ყველა ეხმარებოდა და მეზობლებს წამით არ მიუტოვებია ის ოჯახი.

**— მეზობელი რომ გაჭმევს საჭმელს, ეს სიღატაკე არ არის?**

— სიტყვა ღატაკი არ თქვათ, ღატაკი სამარცხვინო ადამიანს ნიშნავს. რაც შეეხება იმას, რომ მეზობელი გაჭმევს, გეტყვით: თუ გინდა, რომ მეზობელი გაჭმევდეს, კი, ბატონო, გაჭმევს, მაგრამ საკითხავია: შენ რატომ არ გაქვს და მეზობელს რატომ აქვს?

ზოგიერთი მათგანი ტოტალიზატორში ფულს ხომ დებს? ლუდს და არაყს ხომ სვამს? მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას ზერელედ ხომ უყურებს? მოკლედ, ეს თემა პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია და სერიოზული მსჯელობის საგანია.

ვინმეს სჯერა, რომ მათხოვრები, რომლებიც ქუჩაში სხედან, სხვანაირად ვერ იცხოვრებენ?

**— გამოდის, ხელისუფლებაც ვაჭრობს ამ თემით?**

— დიახ, **ხელისუფალნი ვაჭრობენ მათხოვრების თემით, მაგრამ აქცენტებს სწორად ვერ სვამენ, ვითარებას სწორად ვერ აფასებენ. ღონისძიებათა სისტემა არ იძლევა საშუალებას, ადამიანებს უთხრან: ჩვენ ბევრს ვაკეთებთ თქვენთვის და რა გჭირთ, რატომ არ ანძრევთ ხელსო?!**

სამუშაო ადგილების არარსებობაზე საუბრობენ. არადა, ბევრი ახალი ფერმერული წამოწყება არსებობს, ძალიან კარგია მეცხვარეთა ასოციაცია, მეყველეთა საზოგადოება. ამ ადამიანებმა პერსპექტივა დაგვანახვეს, მაგრამ მათი წინ წამოწევა არ ხდება. სამწუხაროდ, მთავრობაშიც კი ვერ ხედავენ ამ ადამიანების დამსახურებას, თორემ სულ სხვა თემაზე ისაუბრებდნენ. მთავრობა ტყუის და მას ვერ გავამართლებ.

**— სიღარიბე არ იყო კომუნისტების დროს. რას აკეთებდნენ ისინი განსაკუთრებულს?**

— ხალხს ეუბნებოდნენ, ღარიბები არ ხართო. საბჭოთა პერიოდის ერთ ნამდვილ ამბავს მოგიყვებით: დედა შვილს აუხირდა, წავიდა და ქუჩაში სამათხოვროდ დაჯდა. რა თქმა უნდა, ერთი ამბავი ატყდა ამაზე. დაიბარეს იმ ქალის შვილები შესაბამისმა სამსახურებმა, შემდეგ კი დიდი ხვეწნა-მუდარით შვილებმა დედა შინ წაიყვანეს, მას ქუჩაში ჯდომის უფლება არ მისცეს. ახლა პირიქით არის: მათხოვრები ამბობენ, — უფალი ამბობს, ითხოვე და მოგეცემაო. ერთ-ერთს ვკითხე: ასე რომ ამბობ, მღვდელმა მოგცა ქუჩაში ჯდომის კურთხევა-თქო? მიპასუხა, — დიახო.

**ადამიანებს აღარ რცხვენიათ მათხოვრობის, სირცხვილის განცდა დავძლიეთ, ეს ძალიან ცუდია.**

მსოფლიოში მუშავდება ქველმოქმედების ინდექსები. ჩვენ 112-ე ადგილზე ვართ. ინდექსში, მაგალითად, არის ასეთი კითხვები: ბოლო ხანს ვის დაეხმარე? საჭირო იყო თუ არა ეს დახმარება?

ჩვენებს ამ შეკითხვებზე პასუხი არ აქვთ. რომც დახმარებოდნენ, პასუხს მაინც ვერ სცემენ, რადგან ნაფიქრი არ აქვთ ამაზე, კონცეფცია არ აქვთ ჩამოყალიბებული. ვნახოთ, რა ღონისძიებებს გაატარებს ახალი პრემიერმინისტრი.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მსოფლიო ბანკის ნორმატივით, დღიური ხარჯი ღარიბი ადამიანისთვის ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტია... აუცილებელია, ქვეყანამ ჯანსაღი მეთოდოლოგია შეიმუშავოს და ამ თემაზე სერიოზული საუბარი დაიწყოს, სიღარიბე არ არის ღლიცინისა და მუდმივი ცილისწამების საგანი»**

**რაც შეეხება იმას, რომ მეზობელი გაჭმევს, გეტყვით: თუ გინდა, რომ მეზობელი გაჭმევდეს, კი, ბატონო, გაჭმევს, მაგრამ საკითხავია: შენ რატომ არ გაქვს და მეზობელს რატომ აქვს? ზოგიერთი მათგანი ტოტალიზატორში ფულს ხომ დებს? ლუდს და არაყს ხომ სვამს? მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას ზერელედ ხომ უყურებს? ვინმეს სჯერა, რომ მათხოვრები, რომლებიც ქუჩაში სხედან, სხვანაირად ვერ იცხოვრებენ?**

მწარე რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ, საზღვარგარეთ ლუკმაპურის შოვნის იმედით საქართველოს ყოველდღიურად ტოვებს სულ უფრო მეტი ადამიანი. შვილების მომავალი რომ უზრუნველყონ, იმ შვილების, რომლებსაც ზაფხულში ხილი ენატრებათ და ზამთარში — სითბო, დედები და მამები უცხოეთში მოჯამაგირეებად მიდიან. ეს მწარე რეალობაა, რომელსაც არც წინა ხელისუფლება უსწორებდა თვალს და არც ეს ხედავს.**

**„მთელი დღე ტყუილად ვიდექი ელიავაზე, ე.წ. უსაქმურთა ბირჟაზე. არავინ მოვიდა, სამუშაო არ მომცეს. არ მინდოდა, მშიერი ბავშვებისთვის მეყურებინა და იმის იმედად, რომ ცოლი მოიფიქრებდა რამეს და მეზობლებში ისესხებდა ფულს, სახლის კარი ღამის ორ საათზე შევაღე. მაგრამ ვერავისთვის გამოურთმევია ფული. არავის ჰქონია, თორემ არ დამამადლიდნენ, რადგან ხშირად ვსესხულობდი და დროულად ვისტუმრებდი კიდეც... ჰოდა, შვილები მელოდნენ, ვერ დაიძინეს მშივრებმა, იმედოვნებდნენ: მამა საჭმელს მოიტანსო. მაშინ გადამეკეტა. დანა ავიღე. პირველი ღია ობიექტი, რომელიც დავინახე, აფთიაქი იყო, მივედი და, როგორც შემდეგ მითხრეს, 18 ლარი წამოვიღე. სირბილით წავედი სადღეღამისო მაღაზიამდე, 15 ლარის პროდუქტი ვიყიდე, სამი ლარი „ტაქსის“ მძღოლს მივეცი და სახლში დავბრუნდი. ნახევარ საათში პოლიციამ მომაკითხა და ასე მომისაჯეს ყაჩაღობისთვის რვა წელი“, — ეს რეალური ისტორიაა, მას რეალური გმირი ჰყავს და, თუ შვებას მისცემს ამჟამინდელ ხელისუფალთ, გეტყვით, რომ ეს ინციდენტი წინა ხელისუფლების პერიოდში მოხდა.**

# ბოლო ექვს წელიწადში მხოლოდ პიარში ხელისუფლებამ 160 მილიონი ლარი დახარჯა

## ამ თანხით 5 300 სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლებოდა — 5 300 ოჯახისთვის საარსებო წყარო. ეკონომიკური ზრდა აი ამას ნიშნავს

ეს შესავალი იმის სათქმელად დაგვჭირდა, რომ დღეს იმაზე მეტად გაუჭირდა ხალხს, ვიდრე წინა ხელისუფლების ზეობის პერიოდში. დიახ, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია!

„მზად ვარ, შვილები დავიფიცო, რომ მაქვს ისეთი შეგრძნება, მომდევნო ოთხი წელი იქნება საოცარი“, — ეს განცხადება რეგიონულ მედიებთან შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ 2012 წელს გაკეთებული კიდევ ერთი განცხადება, როცა 2016 წელი საოცარი უნდა ყოფილიყო. პრინციპში, გააჩნია რა იგულისხმება საოცრებაში, თორემ საოცარი ნამდვილად იყო თავისი ბუნდოვანი აწმყოთი და უპერსპექტივო მომავლით. **შეუძლია მმართველი გუნდიდან ვინმეს, ერთი მიზეზი მაინც რომ გვითხრას, რატომ უნდა დაუჯეროს ხალხმა ისევ ივანიშვილს?! თუ ის ერთხელ შეცდა(?!), ვინ არის იმის გარანტი, რომ არ შეცდება მეორედ? განა აუცილებლად იუნისეფის დასკვნა იყო საჭირო იმის აღიარებისთვის, რომ საქართველოში მოსახლეობა, სიღარიბის კი არა, სიღატაკის ზღვარზეა?** სწორედ ამ დასკვნას გადააყოლეს ოფიციალურად გიორგი კვირიკაშვილი, მაგრამ, ჰოი საოცრებავ, კვირიკაშვილის მოხსნის შემდეგ დაგვიწყეს ნოტაციების კითხვა იმის თაობაზე, რომ თურმე საქართველოში ეკონომიკის არნახული ზრდაა და დაგეგმილზე მეტად მოიმატა ამ მაჩვენებელმა.

მოქმედი პრეზიდენტიც ამბობს ხანდახან ჭკვიანურს, რომელთაგან ერთი დამამახსოვრდა განსაკუთრებით — **ეკონომიკური ზრდის ყველაზე კარგი მაჩვენებელი ამომრჩევლის მაცივარია: რომ გამოაღებ და დაინახავ, იქ რა დევსო.**

**ხელისუფალნო!**

იცით მაინც, რომ მაცივარი (ვისაც აქვს!) უმრავლესობას იმის გამო აქვს გამორთული, რომ მასში შესანახი არა აბადია?

ის თუ იცით, ზაფხულში მინდვრებს რომ არის მოდებული მოსახლეობა და ველურ ფხალს კრეფს, რათა იოლად გადაიტანოს ზაფხული და, თუ რაიმეს იშოვნის, ზამთრისთვის გადაინახოს?

ის მაინც თუ იცით, რომ ბავშვების (ჰო, საფიცარი შვილების) დიდი უმრავლესობა ზაფხულს ისე ატარებს, საზამთროსა და ნესვს ვერც კი სინჯავს, რადგან მშობლებს მისი საყიდელი ფული არ აქვთ?..

სხვათა შორის, ივანიშვილმა ისიც თქვა, — უახლოეს ოთხ წელიწადში საქართველოდან წასული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკან დაბრუნდება, ისეთ პირობებში ვიცხოვრებთო. არადა, დღევანდელი რეალობა მწარეა: **ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ, საზღვარგარეთ ლუკმაპურის შოვნის იმედით საქართველოს ყოველდღიურად ტოვებს სულ უფრო მეტი ადამიანი.** შვილების მომავალი რომ უზრუნველყონ, იმ შვილების, რომლებსაც ზაფხულში ხილი ენატრებათ და ზამთარში — სითბო, დედები და მამები უცხოეთში მოჯამაგირეებად მიდიან. ეს მწარე რეალობაა, რომელსაც არც წინა ხელისუფლება უსწორებდა თვალს და არც ეს ხედავს.

**როგორ შეიძლება, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მოსალოდნელზე მაღალი ჰქონდეს სახელმწიფოს და თან ყოველთვიურად ძვირდებოდეს პროდუქტები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანისთვის, კვირაში ერთხელ რეკორდს ხსნიდეს საწვავის ფასი და არ იმატებდეს პენსია, არ იზრდებოდეს დასაქმებულთა რაოდენობა...** საწარმოების გახსნა კი ისეთ იშვიათობას წარმოადგენს ხელისუფლებისთვის, რომ ორიოდე კვირის წინათ ქობულეთის მერმა ზარ-ზეიმით თავად გაჭრა წითელი ლენტი 12 კვ. მ ფართობის სანაყინის გახსნის ცერემონიაზე და სიამაყით განაცხადა: სამი კაცი დასაქმდებაო.

ხვდებით მაინც, ბატონებო, რა დღეში ხართ?! სანაყინე და სამი კაცი რა მოსატანია, როცა რუსეთში, ყაზანში, 45 ჰექ-



### ეს მწარე რეალობაა, რომელსაც არც წინა ხელისუფლება უსწორებდა თვალს და არც ეს ხედავს

ტარზე ტურისტული კომპლექსის მშენებლობა ქვეყნის პრეზიდენტმა მხოლოდ იმიტომ დაიწუნა: მასშტაბებია გასაზრდელი, უფრო მეტი ადამიანი რომ დასაქმდეს და უფრო მეტი შემოსავალი რომ გაჩნდესო.

მაგრამ ჩვენ ხომ რუსეთს არ ვუყურებთ, რუსეთი ხომ მტერია; მსოფლიოს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის ლამის მთელმა მსოფლიომ მადლობა გადაუხადა მას, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაღიარებთ, ტელევიზიითაც მოვუწოდებთ მოსახლეობას, რომ პენალტების სერიის დროს რუსეთის ნაკრები დავთარსოთ და ჯადო გავუკეთოთ...

ავად ხართ, ხალხო?!

ჟურნალისტები ხართ თუ ფაშიზმის მიმდევრები?!

რა ჯადო, რა დათარსვა?! მჩხიბავიც დაგექირავებინათ ბარემ...

ისევ მთავარ სატკივარს დავუბრუნდეთ. ხელისუფალნი აშკარად ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. ამბობენ, რომ წინ მივიწევთ და ამას ევროპა და ამერიკაც აღიარებენო. თუ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაშინ რისთვისაა საჭირო მუდმივად მაღალპროცენტიანი საგარეო ვალის აღება?! გვაიძულებს ამას ვინმე? თუ ეკონომიკა იზრდება, სად მიდის ეს მზარდი შემოსავლები? — ადგილობრივი ბობოლების ჯიბეში ცოტა და უფრო მეტი იმ „ჩვენი გულშემატკივარი“ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშებზე ხომ არა, ვითომ რომ გვეხმარებიან და სინამდვილეში სისხლს გვწოვენ? შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ხელისუფლებაც, წინამორბედის დარად, ქაღალდზე აკეთებს საქმეს და ევროპაამერიკის გასაგონად ტრაბახობს. გაირკვა კიდეც: **მხოლოდ პიარში ბოლო ექვს წელიწადში 160 მილიონი ლარი დახარჯულა.** ამ თანხით 5 300 სამუშაო ადგილის შექმნა შეიძლებოდა და ეს რომ გაგეკეთებინათ, მერწმუნეთ, უფრო დიდ პიარს ვერც კი ინატრებდით. 5 300 სამუშაო ადგილი 5 300 ოჯახის საარსებო წყაროა. აი, ეკონომიკური ზრდა ამას ნიშნავს.

წინ მივდივართო.

მაშინ რას ვერჩოდით სახელმწიფოს პირველ პირს — იმას, რომ გავუშვით?!

**ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი პრემიერი ფინანსთა მინისტრად 2017 წლის 13 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ივნისამდე მუშაობდა. 2018 წლის ბიუჯეტის წარდგენისას მან განაცხადა, რომ ხელისუფლებას არ აქვს საიმისო რესურსი, 2018 და 2019 წლებში 600 ათასამდე პენსიონერს პენსია რომ გაუზარდოსო, 2020 წლიდან — კი, ბატონოო. გაპრემიერებული ბატონი მამუკა კი აცხადებს: 2019 წელს პენსიის მატება შესაძლებელიაო. რა გამოდის?! ის ან ადრე იტყუებოდა, ან ახლა გვატყუებს.** არ მითხრათ: ბახტაძემ ნოემბერშივე იცოდა, პრემიერი რომ გახდებოდა და ეს „მატება“ სათავისოდ შემოინახაო. გამოდის, ბიუჯეტში დიდი ხვრელები არსებობს და ამ ხვრელებს ხელისუფლება, როცა უნდა, მაშინ ავსებს. ეს ყველაფერი კი, მინიმუმ, არასტაბილურობის შეგრძნებას იწვევს და ყველაზე მეტად სწორედ დაბალ ფენას ურტყამს.

ერთი შეხედვით, ბახტაძე თითქოს სწორად აღწერს იმას, რაც გვიჭირს, მაგრამ რის გაკეთებას აპირებს, ამაზე მხოლოდ არაფრისმთქმელი, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება.

უკვე დროა, აგვიხსნათ, ბატონო პრემიერო, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ და როგორ, დროა!

### თუ ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაშინ რისთვისაა საჭირო მუდმივად მაღალპროცენტიანი საგარეო ვალის აღება?! გვაიძულებს ამას ვინმე? თუ ეკონომიკა იზრდება, სად მიდის ეს მზარდი შემოსავლები? ადგილობრივი ბობოლების ჯიბეში ცოტა და უფრო მეტი იმ «ჩვენი გულშემატკივარი» საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშებზე ხომ არა, ვითომ რომ გვეხმარებიან და სინამდვილეში სისხლს გვწოვენ?

**ბესო ბარბაქაძე**

**საქართველოს პარლამენტის წევრის პენსია თვეში 560 ლარს შეადგენს... რა დააშავა იმ 700 000-მდე ადამიანმა, რომლებიც ყოველთვიურად სასოებით ელიან მარჩენალ პენსიას — 180 ლარს? რატომ იხარშებიან ერთ ქვაბში ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია და ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უსაქმურობასა და ქურდბაცაცობაში გაატარა? რატომ აქვს ღვაწლმოსილ, მშრომელ, პატიოსან კაცს ვინმე ავანტიურისტ, მკვლელების პარტიის წევრ პარლამენტარზე 300 პროცენტით ნაკლები პენსია?!**

სოციუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პენსია (პენსიო) ლათინური ტერმინია და სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხანდაზმული ან უძლური მოქალაქისადმი დამსახურების მიხედვით რეგულარულ მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას ნიშნავს. სახელმწიფოსა თუ კერძო პირების, კომპანიების მხრიდან პენსიების, კომპენსაციების, სტიპენდიების, პრემიების, ნაირნაირი ჯილდოებისა და დახმარებების გაცემას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. იგი საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ჩამოყალიბდა იმ ინსტიტუტად, რომელიც, უძლურების ან დათქმული ასაკის შესრულების შემთხვევაში, მოქალაქის ღირსეული ცხოვრების გარანტიაა.**

# ორი სიტყვა მარჩენალ პენსიაზე



**იქნებ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებიდან ვინმემ აუხსნას ომის ვეტერანებს, ვინ და რა მონაცემებზე დაყრდნობით გამოიანგარიშა 22 ლარი — ვეტერანების ყოველთვიური კომპენსაცია**

ასეა თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში — მე, ამერიკელმა (კანადელმა, ინგლისელმა, შვედმა, ფრანგმა, გერმანელმა...) მუშამ, ფერმერმა, მასწავლებელმა, ჯარისკაცმა, მოხელემ ვიცი, რომ მაქვს გარანტირებული სიბერე — შემიძლია ხვავიანად ვსვა და ვჭამო, მეგობარსაც გავუმასპინძლდე, ჩავიცვა და დავიხურო, ნორმალურ ბინაში ვიცხოვრო, მეუღლესთან (მეგობართან) ერთად მსოფლიოში ვიმოგზაურო; თუ დამჭირდება, ბანკიდან შეღავათიანი (წელიწადში 1 ან 2 პროცენტიანი) კრედიტით ვისარგებლო... ამიტომ სიბერისა და ინვალიდობის არ მეშინია. არც მარტოობისა.

**ისიც ვიცი, რომ პენსია არ არის სახელმწიფოს ან ვინმე კეთილშობილი კერძო პირის კეთილი ნების შედეგი — იგი ჩემი შრომითა და მოღვაწეობით დავიმსახურე. სახელმწიფო ან კერძო საპენსიო სადაზღვევო კომპანია, ან ორივე ერთად ჩემ მიერ თავის დროზე გამომუშავებული თანხის დაგროვებაში დამეხმარა, მრავალი წლის განმავლობაში თავადაც ისარგებლა და მეც ფინანსურად გარანტირებული სიბერე შემიქმნა.**

კოსმონავტი, ომის ვეტერანი, მეცნიერი ან დეპუტატი, შესაძლოა, ჩემზე მეტ პენსიას იღებს, მაგრამ არ მშურს და არც რაიმე პრეტენზია არ გამაჩნია — მას ჰქონდა ჩემზე მეტი ხელფასი და ჩემზე მეტი დამსახურება ქვეყნის წინაშე.

სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ პენსიების პრობლემა მოწესრიგებული იყო საბჭოთა კავშირში — მართალია, უცხოეთში სამოგზაუროდ არ გეყოფოდა (ან უცხოეთში ვინ გაგიშვებდა!), მაგრამ ნორმალური კვებისა და გადასახადებისთვის სავსებით საკმარისი იყო. **საბჭოთა პენსიონერის შემოსავალი რაოდენობრივად შორს იდგა საშუალო ევროპელის საპენსიო შემოსავლისგან, მაგრამ პრინციპი არ განსხვავდებოდა — პენსია განისაზღვრებოდა ხელფასისა და დამსახურების მიხედვით. და საბჭოთა პენსიონერისთვის წამალი და კომუნალური გადასახადი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, იმდენად იაფი ღირდა.**

დღევანდელ საქართველოში პენსიებისა და სტიპენდია-კომპენსაცია-დანამატების პრობლემებს, ძირითადად, ორი კანონი აწესრიგებს: „საქართველოს კანონი პენსიის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“.

ორივე ამ კანონში მითითებულია (მუხლი 3. კანონის ძირითადი პრინციპები), რომ „კანონის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა, საყოველთაოობა, თაობათა შორის სოლიდარობა...“

სანამ სამართლიანობასა და თანასწორობაზე მოგახსენებდეთ, ბარემ გეტყვით, რომ აქვე (მუხლი 4. ტერმინთა განმარტება) განმარტებულია ტერმინი „შრომისუუნარო — **პირი, რომელსაც დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ან არის 65 წლის ან მეტი ასაკის“.**

**არ ვკამათობ, ტერმინის ამგვარი განმარტება სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაძლოა, სავსებით გამართული იყოს, მაგრამ აქ გაიგივებულია „მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების“ მქონე და „65 წლის ან მეტი ასაკის“ ადამიანი, რაც შინაარსობრივად, რადიკალურად განსხვავებული ცნებებია: 65 წლის ადამიანების უმრავლესობა, ჩვეულებრივ, შრომისუნარიანი და ხშირად, განუსაზღვრელი გონებრივი შესაძლებლობებისაა. მეტიც, მე თუ მკითხავთ, მაღალ არჩევით ან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სასურველია არა 30-35 წლის ახალგაზრდების, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული პირების არჩევა და დანიშვნა. მით უფრო, როცა კარგად ვიცით, რაც ბიბლიური „ბიჭბუჭების“ მმართველობამ მოგვიტანა.**

ვრცელი ციტატისთვის დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ კანონის ეს ნაწილი საქართველოს მოქალაქეებისთვის, ალბათ, ძალზე საინტერესოა:

**მუხლი 5. კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლები**

**2. ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის წევრებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს; საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს; გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს; სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს; „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს; სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის/მაშველის ოჯახის წევრებს.**

მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ საქართველოს სინამდვილეში აქ ნახსენები კომპენსაციები გაიცემა არა ამ ადამიანების მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად დაგროვილი თანხებიდან, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან — საქართველოს ყველა მოქალაქის მიერ ერთობლივად შექმნილი დოვლათიდან. ამ სინამდვილიდან გამომდინარე, უბრალოდ, გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეს ეს პრივილეგიები **საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს...**

პენსიების შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის პენსია თვეში 560 ლარს შეადგენს; არსებული ხელფასიდან გამოიანგარიშება და დაახლოებით ამდენივეა მინისტრების, მათი მოადგილეების, სხვა მაღალი თანამდებობის პირების საპენსიო ანაზღაურებაც.

არ მენანება, ღმერთმა შეარგოთ. არც თვეში 560 ლარი და არც ამაზე ხუთჯერ მეტი ღირსეულად ცხოვრებისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის, მაგრამ რა დააშავა იმ 700 000-მდე ადამიანმა, რომლებიც ყოველთვიურად სასოებით ელიან მარჩენალ პენსიას — 180 ლარს? რატომ იხარშებიან ერთ ქვაბში ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია და ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უსაქმურობასა და ქურდბაცაცობაში გაატარა?! რატომ აქვს ღვაწლმოსილ, მშრომელ, პატიოსან კაცს ვინმე ავანტურისტ, არაფრის მაქნისი პარტიის წევრ პარლამენტარზე 300 პროცენტით ნაკლები პენსია?!

სამწუხაროდ, ეს არ არის რიტორიკული შეკითხვები — ეს ის შეკითხვებია, რომლებზეც პასუხი უნდა გაეცეს და რაც შეიძლება მალე, ვიდრე ის 700 000-ზე მეტი ადამიანი თავისი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოსულა.

საქართველოში მოქმედი ასეულობით NGO-დან, მაწანწალა ძაღლებს, ქუჩის მეძავებს, პედერასტებს, მოღალატე ცოლებს, თუ კოლო ანოფელესს რომ მფარველობენ, ერთიც არ არის, პენსიონერების პრობლემები რომ აღელვებდეს.

არც ფინანსთა სამინისტროს, არც ეროვნულ ბანკს, არც მინისტრთა კაბინეტს არ აინტერესებს (ან თქმას ვერ ბედავს!), რა ცოდვა-ბრალი ტრიალებს „ლიბერთი ბანკში“ პენსიონერთა სესხებთან დაკავშირებით (სწორედ ის ემსახურება პენსიონერებს): ნებისმიერი ოდენობის სესხი პენსიონერზე გაიცემა წელიწადში 50 პროცენტად! ანუ თუ მე 1000 ლარს ვისესხებ, ერთი წლის განმავლობაში 1500 ლარი უნდა ჩავასესხო, რომელსაც დაემატება კიდევ 60 ლარი და დაახლოებით 30 ლარამდე ბანკის მომსახურების თანხა! თანაც, გადახდის ვადად განისაზღვრება არა 12, არამედ 24-36 თვე, რაც გადასახდელ თანხას კიდევ 25-35 პროცენტით გაზრდის!

ეს არის ყოვლად ჩვეულებრივი ბანდიტიზმი, რასაც უკვე მრავალი წელიწადია ფილოსოფიური დუმილით შესცქერის ხელისუფლება.

სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ პენსიების შესახებ **კანონში მოკეკლუცე მუხლი სამართლიანობისა და თანასწორობის შესახებ მეტისმეტად შეურაცხმყოფელია.**

დაბოლოს, ერთი მოკრძალებული თხოვნა — იქნებ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებიდან ვინმემ აუხსნას ომის ვეტერანებს, ვინ და რა მონაცემებზე დაყრდნობით გამოიანგარიშა 22 ლარი — ვეტერანებისთვის ყოველთვიური დანამატის სახით დასარიგებლად.

**თეიმურაზ ქორიძე**

**რედაქციისაგან:**

**„ახალგაზრდა რეფორმატორები“ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად რომ ემზადებოდნენ, ცხონებული ზურაბ ჟვანია, ლეპტოპით აღჭურვილი, ტელეეკრანზე გამოჩნდებოდა და თავის ნაანგარიშევ პენსიის გაზრდილ ოდენობას, იმ ლეპტოპით „დადასტურებულ“ ციფრებს წაგვიკითხავდა. დაგვაიმედებდა: 250 დოლარის ეკვივალენტურ პენსიას დაგინიშნავთო.**

**დაპირება არც 2012 წელს მოსული ხელისუფლებისგან გვაკლდა.**

**ახალი პრემიერი მამუკა ბახტაძეც იმ გზაზე დგას — გაგიზრდით პენსიებსო.**

**მაგრამ მისი წინამორბედი ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ლამის ნიანგის ცრემლებით რომ ტიროდა, მოგიმატებდით, მაგრამ ჩვენ ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა არ აქვს და ნუ დაგვძრახავთო, ამას რა ვუყოთ? ამ ორ წელიწადში ჩვენი გაჭირვებული ბიუჯეტი შემოსავლების რა ისეთმა წყაროებმა შეავსო, რომ პენსიების გაზრდის შესაძლებლობა მიეცა?**

**დაგიჯეროთ, ბატონო მამუკა?**

**საქართველოს სინამდვილეში აქ ნახსენები კომპენსაციები გაიცემა არა ამ ადამიანების მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად დაგროვილი თანხებიდან, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან — საქართველოს ყველა მოქალაქის მიერ ერთობლივად შექმნილი დოვლათიდან. ამ სინამდვილიდან გამომდინარე, უბრალოდ, გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეს ეს პრივილეგიები საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს, საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს, გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს...**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„დღეს დედამიწაზე მართლმადიდებელ ერთა შორის ყველაზე ტრაგიკული ქართველი ერია. ისტორიას ვერ გავაკვირვებთ. ხშირად იყო საფრთხე ქართველობის მოშლისა, მაგრამ ამ უზნეო კაცობრიობამ ერთ-ერთ პირველ სამიზნედ გაიხადა საქართველო. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, როცა ხალხს მტერი მოყვასად ეჩვენება და მოყვასი მტრად.**

# სტალინი და საქართველო

## როგორ გარდაიქმნებიან ანტისტალინელები სტალინელებად

**1990 წლის იმ საბედისწერო არჩევნებში, რომლის დროსაც კომუნისტურმა პარტიამ ნებაყოფილობით ლანგრით მიართვა ქვეყნის მმართველობა გამოუცდელ და არასახელმწიფოებრივად არამოაზროვნე არაფორმალებს, საარჩევნო მარათონში პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინიც“ იყო ჩართული.**

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ მართავდა საპროტესტო აქციებს, რათა არჩევნებიდან მოეხსნათ პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“. აქციები იმართებოდა, როგორც უზენაეს სასამართლოსთან, აგრეთვე ჩემი სახლის სადარბაზოსთან. ამ და სხვა პოლიტიკურ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა იმხანად სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, აწ განსვენებული პროფესორი **ვახტანგ გოგუაძე.**

გარდა ქუჩის აქციებისა, ცხარე დებატები იმართებოდა ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში. ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა პროფესორ ვახტანგ გოგუაძის ვრცელი წერილი, რომელიც სტალინის მიერ ჩადენილ „ბოროტმოქმედებებს“ შეეხებოდა და იმის საფუძველს ქმნიდა, რომ არათუ არჩევნებში უნდა მიეღო სტალინის სახელობის ორგანიზაციას მონაწილეობა, არამედ სტალინის სახელი საერთოდ არ უნდა ხსენებულიყო საზოგადოებაში. ამასთანავე, როგორც პედაგოგი და აღმზრდელი, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ურჩევდა, ბაბუა ქუჩაში მარტო არ გამოეშვათ, რადგან შეიძლებოდა, შინ ვერ დაბრუნებულიყო გაფანტული სკლეროზის გამო.

რა თქმა უნდა, საპასუხო წერილებს მეც ვწერდი და ეკრანიდანაც მკაცრად ვცემდი პასუხს ოპონენტებს. როდესაც უმაღლეს სასამართლოსა და ჩემზე გავლენა ვერ მოახდინეს, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ წოდებული, კომპარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი **გივი გუმბარიძე** აიძულეს, დადგენილებით მოეხსნა არჩევნებიდან პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“, რაც შესრულდა კიდეც.

გავიდა ხანი, „მრგვალმა მაგიდა—თავისუფალმა საქართველომ“ პროფესორ ვახტანგ გოგუაძეს უდიდესი ამაგი არ დაუფასა, და ეს შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაცია, ინტელიგენციის სხვა ბევრ წარმომადგენელთან ერთად, ვახტანგ გოგუაძემაც მიატოვა (არ გამოვრიცხავ, გარეშე ძალების ჩარევით — გრ. ონიანი). ხელისუფლების სათავეში მოსულმა **ედუარდ შევარდნაძემ** მოიკითხა ყოფილ ხელისუფლებაზე განაწყენებული თავისი კუთხის პროფესორი ვახტანგ გოგუაძე და ის ჯერ დეპუტატად, ხოლო შემდეგ პარლამენტის სპიკერად აქცია. ქვეყანა დაშლისა და გაპარტახების გზაზე იყო და ხელისუფლება უძლური იყო, შემოებრუნებინა 2-3 წლის წინათ დაწყებული ნგრევის პროცესი. ახალი ხელისუფლება ყველა ხერხს მიმართავდა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვროდა. ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. შევარდნაძემ გადადგომა და გაქცევა გადაწყვიტა. **პარლამენტში „ხმალი ხმალს სცემდა“, ვნება დაუოკებელი ქალების გამყინავი კივილი აზანზარებდა „იმელის“ შენობას.**

ერთ დღეს „სეირის“ საყურებლად მეც ვესტუმრე პარლამენტს, სტუმრების ადგილზე მიმითითეს, ნაცნობი დეპუტატები და ჩემი მეგობრები გვერდით მომისხდნენ. პრეზიდიუმში მხოლოდ ორი კაცი იჯდა — ედუარდ შევარდნაძე და ვახტანგ გოგუაძე. მცირე ხნის შემდეგ დამინახა ბატონმა ედუარდმა, თავი ჩაღუნა და წერა დაიწყო. შემდეგ ბარათი გამოძახებულ გოგონას გადასცა. მან ჩემკენ აიღო გეზი, მომიახლოვდა და გადმომცა ბარათი, რომელშიც ეწერა:

**„გრიშა, მიმიღე „სტალინის“ პარტიაში, სხვა ამ საქმეს არაფერი ეშველება, გადავალ იატაკქვეშეთში“.**

წერილი დავკეცე და დარბაზს ამაყად გადავხედე.

მალე დარბაზიდან ბატონი ვახტანგი გავიდა და მალევე უკან დაბრუნდა. ხელში ჟურნალი და თაბახის ფურცლები ეჭირა. შემოსვლისთანავე ისევ ის გოგონა გამოიძახა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ შევარდნაძის წერილი მომიტანა, მას გადასცა მთელი „დასტა“ ქაღალდებისა და გოგონაც კვლავ ჩემკენ გამოემართა. მან გზავნილი გადმომცა და მეც სწრაფად დავიწყე მისი გარჩევა. ჟურნალი აღმოჩნდა რუსულენოვანი, გამოშვებული ლენინგრადში. პირველივე გვერდზე ბატონი ვახტანგის სურათი იყო, ქვევით კი — წერილი სათაურით: „სტალინი — კაცზე დიდი და ღმერთზე ნაკლები“. მე სხვა ასეთი ღრმა შინაარსიანი სტატია, არც სტალინისდროინდელი და არც შემდეგდროინდელი, არ წამიკითხავს. თაბახის ფურცლებზე უამრავი ამონარიდი და შეფასებები იყო დაბეჭდილი, რომლებიც ჯერ არ ჰქონდა გამოქვეყნებული ბატონ ვახტანგს.

გავიდა დრო და ბატონმა ვახტანგმა თავისი მეგობარი ედუარდიც მიატოვა და პარლამენტიც — განაგრძო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, შექმნა „საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირი“.

2002 წლის 27 მარტს ფოსტით მივიღე გზავნილი, რომელშიც აღმოჩნდა ბატონ ვახტანგ გოგუაძის წერილი. აი რა ეწერა მასში:

**„ძვირფასო ძმაო გრიშა!**

**იშვიათია ადამიანი, რომელთანაც მე საბოდიშო მქონდა რამე. ერთადერთი კაცი ხარ, რომელსაც ორგზის ვუხდი პოლიტიკურ ბოდიშს. პირველად სტალინსა და თქვენ, მეორედ ახლა, იმის გამო, რომ თქვენ მიერ წამოწყებული იდეის განხორციელებას უთქვენოდ შევუდექი. მართალი გითხრათ, არც მჯეროდა, ისე დავიწყე ეს საქმე. ვხედავ, რომ რაღაც გამომდის. როცა შედეგი საგრძნობი იქნება, მოგიკვდეს ჩემი თავი, თუ შენი ღვაწლი მივაჩუმათო და ჯეროვნად არ დაგიფასო ყოველი სიკეთე შენი.**

**ქრისტესმიერი სიყვარულით, ძმობით**

**ვახტანგ გოგუაძე**
**27.03.02“.**



ვახტანგ გოგუაძე

**«სტალინს არ სჭირდება ჩვენი დახმარება ან თანაგრძნობა. ეს ჩვენ გვჭირდება სტალინის გაგება, რათა გაჯანმრთელდეს ავადმყოფი ეროვნული ცნობიერება. სტალინის სამშობლოდ ყოფნას იამაყებდა მსოფლიოს ყველაზე დიდი კულტურის ერი. როცა ქართველი ერი იამაყებს სტალინის სახელით, მაშინ გადარჩება იგი. თუ ეს არ აღსრულდება, აღსრულდება საშინელი განაჩენი — «საშინელი სამსჯავროსი»**

სახელმწიფო ტელევიზიის ეკრანზე მრავალი წლის განმავლობაში პოპულარული გადაცემა იყო „პირისპირ“, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი ჟურნალისტი **ვალერი კვარაცხელია.** ბატონმა ვალერიმ მიმიწვია გადაცემაში, რომელიც პირდაპირ ეთერში გადიოდა ერთი საათის განმავლობაში. გადაცემიდან გამარჯვებული პოლიტიკოსი თითქმის არავინ გამოსულა. იქ ჩემი მიწვევა ისეთ არაპოპულარულ თემაზე, როგორიც იმხანად სტალინის თემა იყო, სასტიკად დამარცხების გარდაუვალი პირობა გახლდათ, მაგრამ, ოღონდ სტალინზე სიმართლე მეთქვა ხალხისათვის, ყოველგვარ დამცირებას ავიტანდი.

ჟურნალისტმა ისეთი კითხვით დაიწყო გადაცემა, რომ სიმართლე ადვილად მათქმევინა. ამას მოჰყვა მეორე შეკითხვა, რომელსაც უფრო




სრულყოფილად ვუპასუხე, მომდევნო კითხვაში წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომელშიც თვითონ ბატონ ვალერის დავდე ბრალი არასწორი ინფორმაციის ტირაჟირებაში. შევატყვე, არ სწყენია, პირიქით — გაუხარდა და, როდესაც კვლავ დამისვა ვითომ ჩამჭრელი შეკითხვები, ცხარე კამათის შემდეგ ჩემს თვალსაზრისს თითქოს დაეთანხმა. ასე გაიარა ერთმა საათმა საეთერო დროისა, როცა ჟურნალისტმა არაპოპულარულ თემას პოპულარობა შესძინა.

ამ გადაცემას რესპუბლიკის სრულიად მოსახლეობა უყურებდა. იმ პერიოდში პარლამენტის სხდომები მთელი დღის განმავლობაში გადაიცემოდა ტელევიზიით. საკანონმდებლო ორგანოში თითქმის ყველა აქტიური იყო, მაგრამ ყველაზე მეტ აქტიურობასა და გაბედულებას იჩენდა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი წერეთელი.** სწორედ მან მოითხოვა სიტყვა და დასჭექა:

**„ეს რა ხდება? ჩვენ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს ვაშენებთ თუ სტალინურ ეპოქას ვაბრუნებთ ცხოვრებაში? წუხელ გადაცემა „პირისპირში“, სადაც ეროვნული მოძრაობისთვის თავგანწირულ ადამიანებს ოფლი გვდის, რომ სიმრთლე ვთქვათ და ვალერი კვარაცხელია ათასნაირ მახეს გვიგებს, რათა გაგვაშავოს, გრიშა ონიანი ერთი საათი ალაპარაკა სტალინის სიდიადეზე და ერთი ჩამჭრელი კითხვა ვერ დაუსვა. ჩვენთვის კი ვალერი კვარაცხელია და მისი გადაცემა აუღებელი ციხესიმაგრე გახდა. მაშ, როგორ დაამარცხა სტალინისტმა გრიშა ონიანმა ვალერი კვარაცხელია, თუ ეს დადგმული სცენა არ არის, რომელსაც ჩვენ არ მოვითმენთ?!“**

ამ კრიტიკას ჩემი და ირაკლი წერეთლის მეგობრობისთვის ხელი არ შეუშლია და დღემდე მეგობრებად დავრჩით, მაგრამ დღეს, ისე, რომ თავმოყვარეობა არ შეელახოს, ბევრ საკითხში უკვე სტალინს ამართლებს.

2007 წლის 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, ბატონმა ვახტანგ გოგუძემ ვაკეში თავის ოფისში მიმიწვია. სიამოვნებით დავთანხმდი და სამუშაო კაბინეტში ვეახელი. ძალიან გაუხარდა. კარადიდან ერთი ბოთლი შამპანური გამოიღო, ორი ჭიქა ნელ-ნელა შეავსო და ერთი გამომიწოდა. ორივე ფეხზე ვიდექით. ამ ჭიქით საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღეს, 25 თებერვალს, გაუმარჯოსო, — თქვა და სასმისი დაცალა. მე სიტყვის თქმას და ჭიქის დაცლას ვაგვიანებდი და საყვედურიანი ღიმილით თვალებში შევყურებდი.

— ვიცი, გრიშა, რასაც შენი ჭროღა თვალებით მეუბნები. ამაზეც მალე გაგცემ პასუხს, ახლა კი შესვიო.

მეც წარმოვთქვი 25 თებერვლის სადღეგრძელო და **გრიშაშვილის** ლექსიც მივაყოლე „25 თებერვალი გამარჯვების მაისია“.

გარკვეული დრო დავყავით ერთად. გავიხსენეთ წარსული წლები და მშფოთვარე დღეები. წუხდა საქართველოზე, გულწრფელად წუხდა. დასამშვიდობებლად წამოვდექი და მადლობა გადავუხადე მიწვევისთვის.

— გრიშა, მოიცა, მე სხვა რამისთვის დაგიძახე.

ვახტანგი საწერ მაგიდასთან მივიდა, უჯრიდან სუფთა ქაღალდში გახვეული წიგნი გამოიღო და გამომიწოდა.

— ძალიან გთხოვ, სახლში მისვლამდე არ გახსნა. გახსნისთანავე არ დამირეკო, როდესაც წიგნს წაიკითხავ, შენი აზრი მითხარი, მაინტერესებს. მასპინძელი გადავკოცნე, კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა და სასწრაფოდ მანქანაში ჩავჯექი. სწრაფი სვლით სახლში მივედი, კარში შესვლისთანავე, პირობის თანახმად, წიგნს ქაღალდი შემოვაცალე და წავიკითხე:

**„ვახტანგ ვლასის ძე გოგუაძე**

**„სტალინი და საშინელი სამსჯავრო“.**

ელდა მეცა, ვიფიქრე, ბატონმა ვახტანგმა, ალბათ, კიდევ შეიცვალა აზრი სტალინზემეთქი. როგორც კი გადავფურცლე, ყდის მეორე მხარეს ხელით ნაწერს მოვკარი თვალი:

**„ბატონ გრიგოლ ონიანს!**

**დიდად დასაფასებელი კაცი ხართ. ისტორია არ დაივიწყებს თქვენს ალღოს, ნებისყოფას, სიკეთის სიყვარულს, დიადი სიყვარულის ძალას.**

**მე ცხოვრებაში ორ კაცს მოვუხადე ბოდიში —**

**სტალინსა და გრიშა ონიანს.**

**ჩვენ ისევ სტალინი თუ მოგვხედავს.**

**მისი სახელი, მოძღვრება უდიადესი იხსნის ჩვენს ხალხს. რომელმა ერმა მისცა კაცობრიობას მსგავსი ფენომენი — ღმერთზე ნაკლები და კაცზე მეტი.**

**ქრისტესმიერი, სტალინისმიერი**

**სიყვარულით**

**ვახტანგ გოგუაძე**
**25.02.07“.**

წიგნის პირველივე გვერდზე ბატონი ვახტანგი ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ძმანო რუსებო, თუ თქვენ კიდევ ვერ აღიარებთ გენიოსთა შორის გენიალური კაცის როლს, გენიალური მხედართმთავრის მისიას რუსეთის გადარჩენის საქმეში, მაშინ თქვენ ისპობთ ისტორიას და ისტორიოგრაფიას, იმ ღვთაებრივ პასპორტს, რომლითაც თქვენ მომავალში უნდა იმგზავროთ. ის ფაქტი, რომ სტალინი, როგორც გამარჯვებული ქვეყნის მხედართმთავარი, დღემდე ანონიმური მხედართმთავარია, რუსეთის ცნობიერებას ღვთისგან აშორდებს და ამ დაპატარავებულ მსოფლიოში ველარც რუსეთი იქნება დიდი. თუ თქვენ სამართლიანად ვერ განსჯით, უფალი განგსჯით და დაგსჯით! ეს ჩვენთვის ტრაგედიაა“.**

◀ ქართველ მკითხველს მიმართავს:

„ეს შენ არ იყავი, სტალინს რომ აგინებდი, ტირანს ეძახდი?

— დიახ, მე ვიყავი.

— მერედა, არ გრცხვენია, ახლა რომ ცაში აგყავს, ამბობ, „ღმერთზე ნაკლები და კაცზე მეტიო“?

— არ მრცხვენია და აი რატომ: **სირცხვილია, როცა მოქმედ ხელმწიფეს გუნდრუკს უკმევ პირადი კეთილდღეობისათვის, მაგრამ დღეს სტალინის სიდიადის შესახებ ლაპარაკი ძალზე წამგებიანია. მისი მადიდებელნი ისევე დევნილნი არიან, როგორც თვით სტალინის სახელი.** თქვენ მსაყვედურობთ: თუ პრინციპული კაცი ხარ, ბავშვობიდან რომ აიჩემებ რაიმე აზრს, ის არ უნდა გადაგეთქვა... ხალხს სიჯიუტე პრინციპულობა ჰგონია. ჯიუტი კი ყოველთვის უპრინციპოა. იგი ჭეშმარიტად თვლის მხოლოდ თავის ნათქვამს, თუნდაც სრულ უაზრობას. პრინციპული კაცისთვის მთავარია სიმართლე, ჭეშმარიტება, რაოდენ არასასიამოვნოც უნდა იყოს იგი მისთვის... **სავლე** აწამებდა ქრისტიანებს. გამოეცხადა (დამასკოს გზაზე) **იესო ქრისტე** და იგი მოექცა. სავლე გახდა უმაღლესი მოციქული ქრისტესი — **პავლე მოციქული.**

— შენ რა, ქრისტეს ბაძავ? — ცინიკურად მკითხა ერთხელ ჟურნალისტმა და დაელოდა ჩემს დარცხვენილ მოგერიებას, — როგორ გეკადრებათო. მე კი ვუპასუხე: — ქრისტეს ვბაძავ, აბა, შენ ხომ არ მოგბაძავ?!... პავლე მოციქულის სიტყვებს შეგახსენებთ: **„მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა“** (ეფესელთა, 5,1).

თავმდაბლობაც ამ უკვდავი კაცისაგან რომ ვისწავლოთ მოკვდავებმა, არ იქნებოდა ურიგო.

**„მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ, რადგან ვდევნიდი ღვთის ეკლესიას“ (1. კორინთ. 15,9).**

**„მე, რომელიც უწინ მგმობელი, მდევნელი და შეურაცხმყოფელი ვიყავი, მაგრამ შეწყალებული ვიქენი, ვინაიდან უმეცრებით ვაკეთებდი ურწმუნოებაში“ (1 ტიმოთე. 2,1. 13.).**

*** „ძმანო რუსებო, თუ თქვენ კიდევ ვერ აღიარებთ გენიოსთა შორის გენიალური კაცის როლს, გენიალური მხედართმთავრის მისიას რუსეთის გადარჩენის საქმეში, მაშინ თქვენ ისპობთ ისტორიას და ისტორიოგრაფიას, იმ ღვთაებრივ პასპორტს, რომლითაც თქვენ მომავალში უნდა იმგზავროთ. ის ფაქტი, რომ სტალინი, როგორც გამარჯვებული ქვეყნის მხედართმთავარი, დღემდე ანონიმური მხედართმთავარია, რუსეთის ცნობიერებას ღვთისაგან აშორდებს და ამ დაპატარავებულ მსოფლიოში ვეღარც რუსეთი იქნება დიდი. თუ თქვენ სამართლიანად ვერ განსჯით, უფალი განგსჯით და დაგსჯით! ეს ჩვენთვის ტრაგედიაა“.**

*** „დღეს დედამიწაზე მართლმადიდებელ ერთა შორის ყველაზე ტრაგიკულია ქართველი ერი. ისტორიას ვერ გავაკვირვებთ. ხშირად იყო საფრთხე ქართველობის მოშლისა, მაგრამ ამ უზნეო კაცობრიობამ ერთ-ერთ პირველ სამიზნედ გაიხადა საქართველო. ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, როცა ხალხს მტერი მოყვასად ეჩვენება და მოყვასი — მტრად.**

*** სტალინმა შექმნა მსოფლიოში აღიარებული სიბრძნის ტაძარი — ი.ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

ანტისტალინმა ნანგრევებად აქცია იგი.

*** სტალინმა აგვიშენა მძლავრი მეცნიერებათა აკადემია.**

ანტისტალინმა ნანგრევებად აქცია იგი.

*** სტალინმა შექმნა ბრწყინვალე ქართული საბჭოთა კულტურა.**

ანტისტალინმა ნანგრევებად აქცია იგი...

და მაინც არ ვკარგავთ იმედს, ნანგრევებიდან კვლავ აღორძინდეს ტაძარი იგი. ყოველ შემთხვევაში, ანტისტალინი და ანტიქრისტე, ხედავთ, როგორ დაემთხვა ერთმანეთს.

**სტალინს არ სჭირდება ჩვენი დახმარება ან თანაგრძნობა. ეს ჩვენ გვჭირდება სტალინის გაგება, რათა გაჯანმრთელდეს ავადმყოფი ეროვნული ცნობიერება. სტალინის სამშობლოდ ყოფნას იამაყებდა მსოფლიოს ყველაზე დიდი კულტურის ერი. როცა ქართველი ერი იამაყებს სტალინის სახელით, მაშინ გადარჩება იგი. თუ ეს არ აღსრულდება, აღსრულდება საშინელი განაჩენი — „საშინელი სამსჯავროსი“.**

ვევედროთ უფალს, მოგვიტევოს მძიმე ცოდვები ქრისტეს წინაშე, ჩვენი ისტორიის, ცხოვრების წესის წინაშე, მართლმადიდებელი სამყაროს წინაშე. ლოცვა ეკლესიის საქმეა, ჩვენი კი — ვედრება და მონანიება. „იყავნ ნება შენი!“

* „ზღვა წიგნებისა გამოდის სტალინზე. განა კიდევ დარჩა რაიმე სათქმელი? ანდა: კიდევ ერთხელ უნდა გადაღეჭონ ათასგზის ნათქვამი?! — ასეთი კითხვები უთუოდ გაუჩნდება მკითხველს ამ წიგნის ხელის შეხებისთანავე. ხელოვნური თავმდაბლობის გარეშე გეტყვით და გთხოვთ, ნუ დამძრახავთ: ამ კუთხით სტალინზე არც წიგნი, არც ბროშურა არ არსებობს. ამ წიგნში მოცემულია ცდა, ახსნილი იქნას ნამდვილი მიზეზი:

**რატომაა დევნილი სტალინის ფენომენი?**

წინასწარ ვაცხადებ:

**სტალინი იდევნება მართლმადიდებლური ეკლესიის, მისი მრევლის გადარჩენისთვის. დღევანდელი გაბატონებული კოსმოპოლიტიკური იდეოლოგია დაუნდობლად ებრძვის ორ სახელს: ქრისტესა და სტალინს; ქრისტეს — შეფარვით, სტალინს — პირდაპირ,** თუმცა უკვე იესო ქრისტესადმი ღია ზიზღსაც არ მალავს სოდომური დასავლეთი. **ანტიქრისტეს ძალები ისე ცოფმორეულნი ებრძვიან სტალინს, როგორც ცოცხალ საფრთხეს; ისე თრთიან, როგორც ზღაპრული ქალაქის მცხოვრებნი ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის მოახლოებისას. ტყუილად ეშინიათ? — არა, ტყუილად არ ეშინიათ! სტალინის მიერ შექმნილი სამყარო ამხელს თანამედროვე ურჯულოთა ბატონობას. თუ როგორ იქცევა იგი ცოცხალ ძალად, რისხვად, ამის შესახებ ეს წიგნი მოგვითხრობს.**

2007 წლის გაზაფხულზე ბატონი ვახტანგის გულმა ვეღარ გაუძლო ერთ დროს აყვავებული საქართველოს ნანგრევების ყურებას, ქვეყანაში პროსტიტუციის, ნარკომანიის, სქესთა აღრევის, ყოველგვარი ეროვნულის განქიქების, გამასხარავების, ნამუსიანის უნამუსოდ და ლაჩრის გმირად გამოცხადების ტრაგიკული სცენების ყურებას, ერთ დღეს ამ გულიან კაცს, სამწუხაროდ, გულმა უმტყუნა და მძიმე ინფარქტით საწოლს მიაჯაჭვა. დაწყებულ საქმეზე მაინც წუხდა და მის დასასრულებლად სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს არ იშურებდა. თავისი წიგნის რუსულენოვანი გამოცემა სტალინზე რუსეთში უნდა გაეგზავნა. ჩქარობდა. უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა თავის მრავალ წიგნთაგან უპირველესი — „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“, მაგრამ ასევე ჩქარობდა უფალი წმინდა სულის წმინდა საუფლოში გადაბრძანებას. ცაიტნოტში იყო ოჯახი, ახლობლები, მეგობრები, მაგრამ წიგნის სრულყოფილად გამოსაცემად ტექნოლოგიური ციკლია საჭირო. მეგობართა შორის გამოჩნდა ყველაზე მოხერხებული და ნიჭიერი ადამიანი, გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომელი **თენგიზ თომაძე**, რომელმაც ერთ დღეში შეძლო სრული ტექნოლოგიის დაცვით წიგნის ერთი ეგზემპლარის გამოშვება და საღამოს ბატონი ვახტანგის ძმასა და მეგობარს წიგნი ჩააბარა. ბატონი ვალერი კვარაცხელია სულმოუთქმელად გაიქცა მეგობართან და ვახტანგ გოგუაძეს რუსულ ენაზე თარგმნილი წიგნი „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“ საწოლთან დაუდო. ეს 9 ივნისის საღამოს მოხდა.

ბატონმა ვახტანგმა გატაცებით დაიწყო წიგნის კითხვა, ალიონზე დაასრულა.

**„ნანი, ჩემთან მოდი, — იგონებდა მეორე დღეს ბატონი ვახტანგის მეუღლე, — თვალებში სიცოცხლის სხივი ჩასდგომოდა, ამაყად შემომხედა და მითხრა: სტალინს თავისი ხელით რომ დაეწერა თავის თავზე წიგნი, ასეთი სრულყოფილი ისიც ვერ იქნებოდაო. ეს სიტყვები თქვა და თვალები სამუდამოდ დახუჭა“.**

ეს 2007 წლის 10 ივნისი იყო.

ნათელი და სანთელი მის სულს.


საქართველო-რუსეთის მეგობრობის კავშირი
Союз грузино-российской дружбы
27.03.02
www.union.org.ge


25.02.07


ვალერი კვარაცხელია

## «ნანი, ჩემთან მოდი, — იგონებდა მეორე დღეს ბატონი ვახტანგის მეუღლე, — თვალებში სიცოცხლის სხივი ჩასდგომოდა, ამაყად შემომხედა და მითხრა: სტალინს თავისი ხელით რომ დაეწერა თავის თავზე წიგნი, ასეთი სრულყოფილი ისიც ვერ იქნებოდაო. ეს სიტყვები თქვა და თვალები სამუდამოდ დახუჭა»




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მედიცინა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ელიმინაციის პროგრამა ემსახურება C ჰეპატიტის ვირუსის დამარცხებას და არა ღვიძლის განკურნებას, რადგან ღვიძლს არ კურნავს აღნიშნული მედიკამენტი. ის კლავს ღვიძლის დამზიანებელ ვირუსს. რაც უფრო მალე მოხდება ამ ვირუსის განდევნა, მით ნაკლებად ზიანდება ღვიძლი და ხდება პაციენტის გაჯანსაღება“.**

# «C ჰეპატიტის მკურნალობა არც ერთ შემთხვევაში კიბოს არ იწვევს»

**ცოტა ხნის წინათ საინფორმაციო სააგენტო „ფორტუნა.გე“-ზე თურქეთის ერთ-ერთი კლინიკის დირექტორის ქართველი მრჩევლის — მალინა ბერიკაშვილის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ბერიკაშვილი ამბობს, რომ საქართველოში C ჰეპატიტის უფასო პროგრამის მკურნალობის შემდეგ პაციენტები თურქეთში სიმსივნის დიაგნოზით ჩადიან და რომ საქართველოში სიმსივნური დაავადებების შემთხვევები სწრაფი ტემპით მატულობს, შედეგად კი ბოლო ორ წელიწადში თურქეთის კლინიკაში ქართველი პაციენტების მიმართვიანობა გაიზარდა.**

**ციტატა მალინა ბერიკაშვილის ინტერვიუდან:**

„თქვენს ყურადღებას კიდევ ერთ პრობლემაზე შევაჩერებ. ეს არის C ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ვინც ამ პროგრამით მკურნალობს, წელიწადნახევრის ან ორი წლის თავზე სიმსივნის დიაგნოზით თურქეთში ჩამოდიან. ოპერაციამ ზოგს უშველა, ზოგი გარდაიცვალა. ამ ადამიანებს სიმსივნე მკურნალობის შემდეგ განუვითარდათ. ყოველ შემთხვევაში, ანალიზები ასე აჩვენებს და თავის დროზე კვლევა იყო არასწორი თუ პროგრამის წამლები იწვევს პროვოცირებას?! ამ პროგრამის წამლებს თურქეთშიც სვამენ, მაგრამა სიმსივნის დიაგნოზით არავინ მოდის ჩვენთან“.

თურქეთის საელჩომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით მკურნალობაზე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას განცხადებით უპასუხა. მასში ნათქვამია, რომ თურქეთშიც C ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იგივე მედიკამენტები გამოიყენება, რაც საქართველოში.

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. თურქეთშიც C ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოიყენება იმავე ტიპის მედიკამენტები, რაც საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. მნიშვნელოვანია, რომ თურქეთის ჯანდაცვის სისტემის, თურქეთში სამკურნალოდ ჩასული ქართველი პაციენტების დიაგნოზისა და მკურნალობის და ასევე, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზე მხოლოდ კომპეტენტური უწყებებისა და პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს დავეყრდნოთ და უგულებელვყოთ არასპეციალისტების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებები. თურქეთი და საქართველო ისევე, როგორც სხვა დარგებში, ჯანდაცვის სფეროშიც ძალიან წარმატებით თანამშრომლობენ“, — აცხადებენ საელჩოში.

მანამდე, 2018 წლის 17 მარტს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **დავით სერგეენკომ** C ჰეპატიტის ელიმინაციის მეხუთე ეროვნული სამუშაო შეხვედრის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ **ქვეყანაში დაახლოებით 100 ათასმა ადამიანმა არ იცის, რომ C ჰეპატიტი აქვს.** მინისტრმა ამის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად საინფორმაციო კამპანიის ნაკლებობა დაასახელა.

**ციტატა დავით სერგეენკოს გამოსვლიდან:**

„ჩვენი გათვლებით, დარჩენილია 100 ათასი ადამიანი, რომლებმაც არ იციან, რომ ეს დაავადება აქვთ და ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, საინფორმაციო კამპანიას და ასევე, რაც ყველაზე პრაგმატულია, ე.წ. სკრინინგულ კვლევებს“.

„ფორტუნაგე“-ს ინფორმაციით, სააგენტოს მათ მიერ გავრცელებულ სტატიაზე წერილით გამოეხმაურა თურქეთის კლინიკა „ფლორანს ნაითინგეილ“-ის (Florence Nightingale Hospitals) ადმინისტრაცია, სადაც, სავარაუდოდ, მალინა ბერიკაშვილი მუშაობს. წერილში აღნიშნულია, რომ საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად გაკეთდა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადებები, ხოლო განმცხადებელს — მალინა ბერიკაშვილს უწყებრივი კავშირი არ აქვს მოცემულ კლინიკასთან. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა მომხდარის გამო შეწუხებულია.

„საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, არსებობს თუ არა ჯანდაცვის სისტემაში მაკონტროლებელი მექანიზმი, რომელიც C ჰეპატიტის უფასო პროგრამის მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებს.

**ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს უპასუხებენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს უფროსი ეკა ადამია და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე .**



**ეკა ადამია, ჯანდაცვის დეპარტამენტის პროგრამების სამმართველოს ხელმძღვანელი:**

— C ჰეპატიტის მკურნალობის უფასო პროგრამა გულისხმობს პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკურ კვლევებს და ექიმის კონსულტაციებს კურსის განმავლობაში. პაციენტები ღვიძლისა და ორგანიზმში ვირუსის მდგომარეობის დასადგენად, მკურნალობის პერიოდში დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან. მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ კი პაციენტებს სამიდან ექვს თვემდე ვადაში შეუძლიათ, ექიმთან ჩაიტარონ კვლევა, რითიც დადასტურდება, რომ ნამდვილად განიკურნენ C ჰეპატიტისგან. მარტივად რომ ავხსნა, **პროგრამა ემსახურება C ჰეპატიტის ვირუსის დამარცხებას და არა ღვიძლის განკურნებას, რადგან ღვიძლს არ კურნავს აღნიშნული მედიკამენტი. ის კლავს ღვიძლის დამზიანებელ ვირუსს.** რაც უფრო მალე მოხდება ამ ვირუსის განდევნა, მით ნაკლებად ზიანდება ღვიძლი და ხდება პაციენტის გაჯანსაღება. დამატებითი კვლევა, გარდა იმისა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ პაციენტი ექიმთან დამადასტურებელ კვლევას ჩაიტარებს, პროგრამას უკვე არ გააჩნია. ყოველივე ამის შემდეგ პაციენტებს საყოველთაო პროგრამის ფარგლებში შეუძლიათ ჩაიტარონ ქრონიკული ჰეპატიტების, ციროზების, ნამკურნალები ღვიძლისთვის სპეციალური თერაპიული კურსი.



**— ქალბატონი ბერიკაშვილის განცხადება, რომ საქართველოში მკურნალობა გარკვეულ ეტაპზე იწვევს კიბოს, რამდენად შეესაბამება სიმართლეს?**

— აღნიშნული განცხადება სრულიად არაკომპეტენტურია. მკურნალობა არც ერთ შემთხვევაში არ იწვევს კიბოს. C ჰეპატიტის ვირუსი ორგანიზმში შეჭრიდან იწყებს ღვიძლის დაზიანებას, თუმცა პროცესი ძალიან ჩუმად და ნელა მიმდინარეობს, რადგან დიდი ხნის განმავლობაში დაავადება კლინიკურად არანაირი ნიშნით არ ვლინდება. **ვირუსი რამდენიმე წლის შემდეგ იწყებს ღვიძლის დაზიანებას და ციროზის განვითარებას, ხოლო საბოლოოდ გარდაიქმნება სიმსივნედ. დაავადებულთა 20-30%-ში ვითარდება ციროზი, მათ შორის დაახლოებით 2%-დან 8%-მდე შეიძლება განვითარდეს სიმსივნე. ახალი თაობის მედიკამენტებით მკურნალობა იძლევა საშუალებას, რომ სრულიად განიდევნოს ვირუსი ორგანიზმიდან. ის ველარ აზიანებს ღვიძლს და ვერ გამოიწვევს კიბოს.** ეს არის ამ პროგრამის მარტივი მექანიზმი.

**— თურქეთის საელჩომ აღნიშნულზე განცხადება გაავრცელა, რომ C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტები საქართველოსა და თურქეთში იდენტურია. რომელი ქვეყნიდან შემოდის წამლები, რომლებითაც საქართველოში პაციენტები მკურნალობის კურსს გადიან?**

— პროექტი თავიდანვე ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და ამერიკული ფარმაცევტული კომპანია „გილეადის“ (GILEAD) მხარდაჭრით დავიწყეთ. მედიკამენტებით უზრუნველყოფაშიც ის გვეხმარება, რადგან „გილეადი“ უშუალოდ ამ დავაადების სამკურნალო მედიკამენტებს აწარმოებს და ჩვენც ვიღებთ მხოლოდ ამ ბრენდის დასახელების უმაღლესი ხარისხის მედიკამენტებს. ეს მედიკამენტებია პირველ ეტაპზე „სოვალდი“ და მეორე ეტაპზე — „ჰარვონი“.

**— როგორ შეაფასებთ ზემოაღნიშნულ განცხადებას: რა მიზანს ემსახურება მსგავსი ინფორმაციის გავრცელება?**

— მოსახლეობა მინდა დავამშვიდო, რომ ეს განცხადება არის სრული სიცრუე, რომელიც ემსახურებოდა საქართველოში პაციენტების დაშინებასა და მათ გადაბირებას თურქეთის კლინიკებში სამკურნალოდ.

**„სახელმწიფო კომისიის მიერ C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართვაზე დასტური 49 350 ადამიანს მიეცა, მკურნალობა დაიწყო 47 397 ადამიანმა, ხოლო 43 861-მა მკურნალობის კურსი დაამთავრა. განკურნების ეფექტი დაახლოებით 98 %-ს შეადგენს“.**



**ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.**

**— ბატონო ამირან, როგორ შეასაფებთ იმ განცხადებებს, რომლებმაც საზოგადოების მღელვარება გამოწვია, არსებობს თუ არა მღელვარების საფუძველი და ხდება თუ არა მკურნალობის შემდგომ განკურნებული პაციენტების მონიტორინგი?**

— ეს არის არაპროფესიონალი ქალბატონის განცხადება, რომელიც ვერ ერკვევა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის საკითხებში. როგორც აღმოჩნდა, ის თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში მედიატორად მუშაობს და მისი დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მიიზიდოს კლინიკაში. ეს არის მისი კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებული განცხადება. ვიმეორებ: ეს ქალბატონი არის ორიენტირებული იმაზე, რომ მოსახლეობამ დაკარგოს საქართველოს ჯანდაცვის სისტემისადმი. მის წინააღმდეგ საქმეც კი უნდა აღიძრას, რადგან მოსახლეობის კეთილდღეობის წინააღმდეგაა მიმართული. 2018 წლის 30 ივნისის მონაცემებით, სახელმწიფო კომისიის მიერ C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართვაზე დასტური 49 350 ადამიანს მიეცა, მკურნალობა დაიწყო 47 397 ადამიანმა, ხოლო 43 861-მა მკურნალობის კურსი დაამთავრა. აქედან, განკურნების ეფექტი დაახლოებით 98 %-ს შეადგენს. თქვენს შეკითხვაზე, ხდება თუ არა მკურნალობის შემდგომ განკურნებული პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგი, მოგახსენებთ, რომ მკურნალობის დასრულებიდან 12 კვირის გასვლის შემდგომ ვირუსის აქტივობაზე პაციენტს ხელახალი გამოკვლევა (ტესტირება) უტარდება. თუ ეს ტესტი მკურნალობის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ არის უარყოფითი და C ჰეპატიტის ვისრუსი არ ისაზღვრება სისხლში, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი ჰეპატიტისგან განიკურნა. მკურნალობის დასრულების შემდეგ 32 ათასმა ადამიანმა ჩაიტარა აღნიშნული ტესტი, საიდანაც განკურნების ეფექტი პაციენტების 98%-ს დაუდგინდა.

**— C ჰეპატიტის მკურნალობის უფასო კურსის დასრულებისას რა შემთხვევაში შეიძლება დადგეს ფატალური შედეგი?**

— C ჰეპატიტის ახალი გენერაციის წამლები მსოფლიო მედიცინაში 2013 წლიდან გამოიყენება, რამაც მილიონობით ადამიანს საშუალება მისცა, ვერაგი ვირუსისგან განკურნებულიყო. **ბოლო დროის უდიდესი მიღწევაა მედიცინაში ის, რომ პირველად ხდება წამლით ქრონიკული ინფექციური დაავადების სრულად განკურნება.** C ჰეპატიტის ვირუსით მსოფლიოში 70 მილიონამდე ადამიანია დაავადებული, ხოლო დაავადებული ადამიანების სიკვდილიანობა 350 ათასიდან 400 ათასამდე მერყეობს. მას ჩუმ მკვლელს სწორედ იმიტომ ეძახიან, რომ ის შეიძლება ადამიანს 10-15 წლის განმავლობაში ჰქონდეს და ამის შესახებ არაფერი იცოდეს. შესაძლებელია, დაავადება სამი სახით გამოვლინდეს: ღვიძლის კიბო, ღვიძლის ციროზი და ღვიძლის მწვავე უკმარისობა. ციროზი კი არის ღვიძლის ის მდგომარეობა, რომელიც უმეტესად ფატალურად სრულდება. ანუ რა ხდება: ანტივირუსული წამლით მკურნალობისას პაციენტებში ხდება ვირუსის ელიმინაცია — გაქრობა, მაგრამ მანამდე 10-12 წლის განმავლობაში ვირუსმა ფარულად სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენა ორგანიზმს. შესაბამისად, მკურნალობის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, ღვიძლის მწვავე უკმარისობით დაიღუპოს პაციენტი. სკრინინგს ვატარებთ სწორედ იმიტომ, რომ ადრეულ პერიოდშივე შევძლოთ დიაგნოსტიკა და შემდგომ უკვე მკურნალობა. ყველა წამალს აქვს გვერდითი ეფექტი. ჰეპატიტის მკურნალობის წამლის გვერდითი ეფექტები ძალიან მინიმალურია. 49 ათასი ადამიანიდან, რომლებსაც მკურნალობაზე დასტური მიეცა, მხოლოდ რამდენიმე ათეულს, რომლებიც მკურნალობის პირველივე ეტაპზე ღვიძლის ძალიან მაღალი ხარისხის დაზიანების დიაგნოზით ჩაერთვნენ პროგრამაში, დასჭირდათ მკურნალობის შეწყვეტა გარკვეული გვერდითი ეფექტების გამო. ჩვენი მიზანია, 2020 წლამდე 3 მილიონამდე მოზრდილი ადამიანი გამოვიკვლიოთ სწრაფი ტესტირებით, რომელსაც სახელმწიფო სრულიად უფასოდ უზრუნველყოფს. თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს საკუთარი სტატუსი C ჰეპატიტზე.

**«სახელმწიფო კომისიის მიერ C ჰეპატიტის მკურნალობაში ჩართვაზე დასტური 49 350 ადამიანს მიეცა, მკურნალობა დაიწყო 47 397 ადამიანმა, ხოლო 43 861-მა მკურნალობის კურსი დაამთავრა. განკურნების ეფექტი დაახლოებით 98 %-ს შეადგენს»**

მოამზადა
**ნანა კაპანაძემ**

**საშინელებაა, როდესაც შესანიშნავ სანახაობას — საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატს, თან ახლავს არაკომპეტენტური კომენტარები, როგორც საფეხბურთო, ისე ენობრივი თვალსაზრისით. საინტერესოა, რა პრინციპით შეირჩნენ „ვასიას“ ტელევიზიის კომენტატორები?**

პრიმიტიული რუსოფობია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა პრინციპით შეირჩნენ «ვასიას» ტელევიზიაში კომენტატორები

## «გააფუჭე რააა!» — აღმოხდა «ტოტალიზატორშჩიკ» კომენტატორს, რუსი ფეხბურთელის, იგნაშევიჩის მიერ თერთმეთმეტრიანის შესრულებისას

**დასასრულს უახლოვდება რუსეთში მიმდინარე საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ამ სახელმწიფოს ხელისუფლების მოწადინებით უმაღლეს დონეზე ჩატარდა. მასპინძელი ქვეყნის მიმართ ყოველი უცხოური დელეგაცია მადლობას გამოხატავს და საქებარ სიტყვებს არ იშურებს. რუსებმა მსოფლიოს აჩვენეს თავიანთი გულწრფელი სტუმართმოყვარეობა და ყველა მოხიბლეს.**



ხორვატი რაკიტიჩის მიერ ზუსტად შესრულებულმა საბოლოო დარტყმამ შვება მოჰგვარა რუსოფობ „ვასიებს“

**ეს არის უაღრესად დაბალი დონე, მაგრამ ვასიას ტელევიზია, წესით და კანონით, არ დაგავიწყდეთ, ყველა თქვენგანის ტელევიზიაა, ძვირფასო მკითხველებო, და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება! რუსოფობიული განწყობები ვასიას ტელევიზიაში იმ დონეზე მივიდა, რომ ყოველი მატჩის წინ სატელევიზიო „ქუდში“ არ აღინიშნება, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს ჩემპიონატი. უბრალოდ, წერია, რომ ესაა «ფიფას მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში». ამ პროვინციელმა რუსოფობებმა ვერაფერი მოუხერხეს ოფიციალურ ტრანსლაციას, საიდანაც ქართველი ტელემაყურებელი კადრებს შორის ხედავს ლოგოს, რომელსაც ასევე მთელი მსოფლიო ხედავს – «Russia 2018»**

უკმაყოფილონი მხოლოდ პოლიტიკური ქაოსითა და უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირით მოცულ საქართველოში მოიძებნებიან, დასავლეთის მიერ ასევე გაბითურებულ და არეულ-დარეულ უკრაინას თუ არ ჩავთვლით. ამის ნათელი მაგალითია ე. წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელსაც ხელში აქვს ჩაგდებული საერთაშორისო საფეხბურთო მატჩების ტრანსლირება და კომენტირება. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იძულებულია, სწორედ ამ „საზმაუს“ მიერ შერჩეულ კომენტატორებს უსმინოს. **საშინელებაა, როდესაც შესანიშნავ სანახაობას — საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატს, თან ახლავს არაკომპეტენტური კომენტარები, როგორც საფეხბურთო, ისე ენობრივი თვალსაზრისით. საინტერესოა, რა პრინციპით შეირჩნენ „საზმაუს“ კომენტატორები?** ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის ტრადიციების გამგრძელებლებს ისინი ნამდვილად არ ჰგავან და სასაცილოცაა ამგვარი პარალელი, სამაგიეროდ, უფრო ბუნებრივი ჩანს მათი კავშირი ტოტალიზატორებთან. თვალთმაქცმა კანონმდებლებმა აკრძალეს სიგარეტის რეკლამა მასმედიაში და მოწევა რესტორნებში, მაგრამ კაზინო-ტოტალიზატორები ისე არიან მოდებულნი ყველაფერს, რომ „კოკა-კოლას“ შეშურდება ამერიკაში. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ მინახავს ტოტალიზატორების რეკლამა ტელევიზიით მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირებისას. სამაგიეროდ, „საზმაუ“ ტოტალიზატორებისგან იღებს ფულს და ეს სამარცხვინო ფაქტი მსოფლიო ჩემპიონატის „სპონსორობით“ არის შეფუთული. **ტოტალიზატორების რეკლამას ტელეეთერში ლომის წილი აქვს დათმობილი. კომენტატორებიც შესაბამისი დონის არიან თავიანთი ცოდნით, მეტყველებით, იუმორის დონით, ტაქტის გრძნობით — მთლიანად შეეფერებიან „გამოტოტალიზატორებულ“ ტელევიზიას, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით ფინანსდება.**

ამიტომაც არის, რომ „საზმაუს“ კომენტატორები ამახინჯებენ ქართულ სალიტერატურო ენას, პირდაპირ ეთერში ხშირად იყენებენ ჟარგონს, მაგალითად, მათი ფარული კერპის — პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის მიერ პოლიტიკურ ლექსიკონში დანერგილ სიტყვას „მაგარი“. ყოველ მეორე-მესამე წინადადებაში კომენტატორები ამბობენ: „მაგარი პასია“, „ძაან მაგარი ფეხბურთელია“, „მაგარ თამაშს ვუყურებთ“ და ა. შ. ეს ყველაფერი ხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, რომლის თავი ქართული ენის მასწავლებელი ვასილ მაღლაფერიძეა. **რატომ არ აქცევს ბატონი ვასილი ყურადღებას ელემენტარული ენობრივი ნორმების დაცვის აუცილებლობას ტელევიზიის ეთერში?** თუკი ჩვენ ვუყურებთ „მაგარ ჩემპიონატს“, მაშინ ბატონ ვასილს ვასიას დავუძახებთ, ესეც ხომ ნორმალურია?! მით უმეტეს იმის ფონზე, რასაც ქვემოთ კიდევ ვიტყვი.

მთავარი მახასიათებელი „ტოტალიზატორშჩიკი“ კომენტატორებისა, ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოების „ნაც-ქოცური“ ნაწილისა, არის პროვინციული რუსოფობია. იქნებ სწორედ ამიტომ ითმენს მათ პარპაშს ტელეეთერში ქართულის მასწავლებელი ვასია? აბა „საზმაუ“ ხომ არ უნდა ჩამორჩეს „რუსთავი 2“-ს, რომელმაც ამ სამი-ოთხი წლის წინათ ერთი ვაიჟურნალისტის პირით რუს ერს „ღორები“ უწოდა? „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ვასიას ტელევიზიის კომენტატორებს უსაყვედურა: რატომ აღნიშნეთ შვეიცარიის ნაკრების წევრების ალბანური და აფრიკული წარმოშობა, ეგ არ შეიძლება, რასიზმიაო. მაგრამ **ამ ახალგაზრდა ტუტუცების ასოციაციას რატომ არ ექმნება პროტესტის გრძნობა, როდესაც ვასიას ტელევიზიის „ტოტალიზატორა“ ბიჭბუჭები აფრქვევენ რუსოფობულ ფრაზებს?** მაგალითები უხვად მოიპოვება. თუნდაც ის რად ღირს, რომ ვასიას ტელევიზიად ქცეული საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ისინი ბედავენ და აკეთებენ ქვეყნისთვის საზიანო მოწოდებებს: „არ მოვუსმინოთ რუსეთის ჰიმნს“, „გავედით ეთრიდან, არა მგონია, გსიამოვნებდეთ, რასაც ახლა ხედავთ“ (რუსი გულშემატკივრებისა და ფეხბურთელების სიხარული ესპანეთზე გამარჯვების შემდეგ), „რაც კი რამე დათარსვა იცით, დათარსეთ რუსეთის გუნდი“... (მიგვაჩნია, რომ ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ასეთი განცხადება წმინდა წყლის ექსტრემისტული მოწოდებაა — „საქრთველო და მსოფლიო“). ამ კომენტარებს ემატება მატჩების შესვენებისას ტოტალიზატორების მიერ მომზადებული „ოხუნჯობები“: რუსეთის მაისურიან გულშემატკივარს ეუბნება სხვა გულშემატკივარი: „დაგახევ მაგ ბურთს თავზე!“ ან „მაგ მაისურში ძმას ვერ გიწოდებ“...

დაბალი დონეა, ხომ? დიახ, **ეს არის უაღრესად დაბალი დონე, მაგრამ ვასიას ტელევიზია, წესით და კანონით, არ დაგავიწყდეთ, ყველა თქვენგანის ტელევიზიაა, ძვირფასო მკითხველებო, და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება! რუსოფობიული განწყობები ვასიას ტელევიზიაში იმ დონეზე მივიდა, რომ ყოველი მატჩის წინ სატელევიზიო „ქუდში“ არ აღინიშნება, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს ჩემპიონატი. უბრალოდ, წერია, რომ ესაა „ფიფას მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში“. ამ პროვინციელმა რუსოფობებმა ვერაფერი მოუხერხეს ოფიციალურ ტრანსლაციას, საიდანაც ქართველი ტელემაყურებელი კადრებს შორის ხედავს ლოგოს, რომელსაც ასევე მთელი მსოფლიო ხედავს — „Russia 2018“.**

თუმცა პრობლემა უფრო სერიოზულია და არ შემოიფარგლება ვასიას ტელევიზიისა და მისი უდღეური „კომენტატორების“ პრობლემით. საქმე გვაქვს ღრმა კომპლექსებთან, რომლებიც გამჯდარია ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. ზღვარს გადასული ნერვიულობა იმის გამო, რომ რუსეთის ნაკრები გავიდოდა ჩემპიონატის ნახევარფინალში, მეტად არაჯანსაღი, შემაშფოთებელი მოვლენაა; მეორე მხარესაც ვიტყვი – ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი არ არის დაავადებული რუსოფობული ბაცილით, თუმცა კი ბევრს ცდილობენ მის დაავადებას. რუსეთ-ესპანეთის მატჩს თბილისში, „შარდენზე“ ვუყურებდი რუსი მეგობრების კამპანიაში — ცნობილი ჟურნალისტი გალინა საპოჟნიკოვა გახლდათ ჩამოსული ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ყველამ ხმამაღლა ვუგულშემატკივრეთ რუსეთის ნაკრებს და ბრწყინვალე გამარჯვებაც აღვნიშნეთ. არავის ქართველთაგან ეს ფაქტი არ გაუპროტესტებია, პირიქით, რამდენიმე კაცი გამოელაპარაკა რუს სტუმრებს და სხვადასხვა თემაზე ისაუბრეს. ესეც გარკვეული ინდიკატორია, თუმცა არც დამშვიდების საბაბს იძლევა, რადგან **ანტირუსული პროპაგანდა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს და მას სერიოზული ძალები ჰყავს დამკვეთად.**

რუსეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში შესვლის შანსი გაუშვა ხელიდან — რუსებს არ გაუმართლათ, მიუხედავად საოცარი მატჩისა ხორვატებთან. წესით და რიგით, ხორვატიის ნაკრებს უფრო იოლად უნდა მოეგო კიდეც: მიუხედავად იმისა, რომ ხორვატია პატარა ქვეყანაა, ამ ხალხის სავიზიტო ბარათი ლამაზი ბუნება და სპორტია, განსაკუთრებით, ფეხბურთი. მთელი ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ვარსკვლავებისგან შედგება, რომლებიც წამყვან ევროპულ საკლუბო გუნდებში თამაშობენ. ხორვატიას მსოფლიო ისტორიაში — არც პოლიტიკურში, არც კულტურულში, არც მეცნიერულში, არანაირი კვალი არ დაუმჩნევია, მისი ერთადერთი ძლიერი მხარე, მსოფლიო დონეზე, სპორტია. მაგრამ რუსეთმა, რომლისთვის ფეხბურთი სულაც არ არის №1 სპორტის სახეობა, ხორვატებს ტოლი არაფერში დაუდო, მატჩი ფრედ (2:2) დასრულა და ერთით მეტი აცილებული თერთმეთმეტრიანი დარტყმის გამო ვერ გავიდა შემდეგ ეტაპზე. „გააფუჭე რააა!“ — აღმოხდა ვასიას ტელევიზიის „ტოტალიზატორშჩიკ“ კომენტატორს, რუსი ფეხბურთელის, იგნაშევიჩის მიერ თერთმეთმეტრიანის შესრულებისას. იგნაშევიჩმა არ დაუჯერა მას, მაგრამ ხორვატი რაკიტიჩის მიერ ასევე ზუსტად შესრულებულმა საბოლოო დარტყმამ შვება მოჰგვარა რუსოფობ „ვასიებს“.

რუსეთი ვერ გავიდა ნახევარფინალში, ასე ვთქვათ, „დაისაჯა ოკუპაციის გამო“ და, ლოგიკით, ალბათ, მალე „დავიბრუნებთ აფხაზეთსა და ოსეთს“. ასე რომ იყოს, კიდევ გავუგებდი „პატრიოტ“ კომენტატორებს, მაგრამ...

ვაი ჩვენ, ვის ხელშია ქვეყანა!

**გულბაათ რცხილაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არსებობს კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება ნებისმიერი საზოგადოება. უნდა ვიწამოთ, რომ ქვეყანა გადარჩება, მაგრამ გადარჩება არა მხოლოდ მოლოდინით, არამედ მოქმედებით. ეროვნული ენერგია აუცილებლად გამოიხატება იმით, რომ იგი (ერი) არასოდეს დაკარგავს თავის ცხოველმყოფელურ ძალას, ანუ, როგორც ინდოელი ფილოსოფოსი ვინიკანანდა ამბობს, ცენტრალურ ბგერას, რომლის გარშემო თავს იყრის ჰარმონიის ყველა ნაწილი. საკმარისია, ეს ცენტრალური ბგერა უკუაგდო, რომ ერი დაკარგავს ცხოველმყოფელობას“.



# ვალერი ასათიანი: დღეს «მარსზე დაბადებულებს» ვხედავთ, პიონერული ყელსახვევები რომ ეკეთათ, კომკავშირშიც და პარტიაშიც რომ იყვნენ და ჩვენთვის ჭკუის დარიგების უფლება დაისაკუთრეს

**ინტელიგენციასა და ინტელიგენტურობაზე საუბარს აგრძელებს ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ასოციაცია „კულტურათა დიალოგის“ პრეზიდენტი ვალერი ასათიანი.**

— **ჩვენს ხელისუფლებას, როგორც ადამიანების კოლექტიურ ერთობას, ხომ არ უდგას ინტელიგენტურობის პრობლემა?**

— ჯერ გავარკვიოთ, რას ნიშნავს ინტელიგენცია, ინტელიგენტურობა.

— **კი, ბატონო. მით უფრო, რომ ჩვენი ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი, ინტელიგენტის ნაცვლად, ვიღაცისგან გაგონილ „ინტილიგენტს“ ხმარობს.**

— ეგ გაუნათლებლობის ნიშანია. პრობლემა ის არის, რომ ახლა ბევრი რამის გადაფასება, დევალვაცია მოხდა — საფუძვლების, უწინარეს ყოვლისა. დამღაც დაადეს — „წითელი ინტელიგენცია“, „ჩარეცხილები“ და სხვა ასეთი.

ყველა ლექსიკონი ამ სიტყვას გონიერებას უკავშირებს. ბატონი სიმონ ყაუხჩიშვილი განსაზღვრავს, როგორც **შესმენილს:** გონივრულობა, შესმენა, გაგება, ცოდნა.

შესმენილობის პრობლემაა.

ამ ყველაფრის მიღმა არის კიდევ ზნეობრიობა და ღირსება. ინტელიგენტურობა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ღირსებასაც, ცოდნასთან ერთად. აი, ამის დეფიციტი რომ არსებობს, ყველას მოეხსენება.

რუის-ურბნისის კრებაზე დავით აღმაშენებელმა წარკვეთა **„ვერღირსებით აღზევებულნი“.**

დღეს „ვერღირსებით აღზევებულებმა“ დაარქვეს საკუთარ თავს ინტელიგენტები, ყოვლისმცოდნეები, გამოგვეცხადნენ დიდაქტიკოსებად და მე სავსებით ვიზიარებ ბატონ თეიმურაზ ქორიძის იმ პათოსს, რომელიც მან „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გაამჟღავნა და რომელიც უკავშირდება იმ ადამიანებს, თავი ინტელიგენტებად რომ მოაქვთ, მოძღვრავენ ხალხს და არანაირი ღირსება, არანაირი ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნიათ.

ინტელიგენტურობა უნდა უკავშირდებოდეს საქვეყნო საქმის გათავისებას. „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ ბევრს შეიძლება მხოლოდ ლამაზ ნათქვამად მოეჩვენოს, ფრთიან ფრაზად და ა.შ. ერის წყლული საკუთარ წყლულად რომ მიაჩნდეთ, ასეთი ადამიანების დიდი დეფიციტია დღეს ჩვენს საზოგადოებაში. ძალიან სათავისო, ინდივიდუალურები, ძალიან პრაგმატულები გავხდით. ამიტომაა, რომ აკაკი წერეთლის ეს მოწოდება დღეს ცაშია გამოკიდებული.

— **აქვე — შეკითხვა: რატომ დუმს ინტელიგენცია, ნუთუ მართლა ჩაირეცხა და აუხდინა ოცნება სააკაშვილს?**

— არ არის ჩარეცხილი. შემიძლია ინტელიგენტები გამორჩეულად დავასახელო. ეს ის „ინტელიგენცია“ არ არის, ტელეეკრანზე ყოველდღიურად რომ კეკლუცობს.

სამაგალითოდ დავით წერედიანს დაგისახელებთ: დადის ასეთი კაცი თბილისში, როგორც აწ მთაწმინდაზე განსვენებული ბაჩანა ბრეგვაძე დადიოდა, რეზო თაბუკაშვილი დადიოდა, რეზი თვარაძე, თამაზ ჩხენკელი და სხვები, რომელთა აზრს ჰქონდა და აქვს მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრიობისთვის, ახალგაზრდობისთვის, მაგრამ მედია წერედიანთან არ მიდის.

— **იმიტომ, რომ ტელეწვრილფეხობას საამისო ცოდნა-განათლება არ ჰყოფნის.**

— არც გაუგია, რომ დავით წერედიანმა ქართულად თარგმნა გოეთე. მანვე ფრანსუა ვიიონის პოეზია მოიტანა ჩვენამდე, როგორც ხელთუქმნელი ძეგლი ქართული სიტყვათწარმოქმნის.

ამ დონის პიროვნებები ეკრანზე გამოსაჩენად არ აქტიურობენ, ისინი შემოქმედებაში არიან აქტიურები.

— **ნაყოფიერად აქტიურები.**

— რა თქმა უნდა. ინტელიგენცია უმეტესად და ტრადიციულად დაკავშირებულია ფუნდამენტურ მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან, მაგრამ ხომ არის სამედიცინო, ტექნიკური ინტელიგენცია? არის. და ყველა მათგანისთვის უცხოა ტელემეტიჩრობა და წინამასწარობა, ამიტომაა, რომ საჯარო სიტყვას ხშირად არ ამბობენ.

— **მომსმენი თუ არის?**

— პლატონი მარტო თუ იჯდა აუდიტორიაში, საკმარისი იყო ერთი მსმენელიც კი.

— **პლატონი რომ არ იყოს, ისეთი?**

— დიახ, ისეთიც. ამაზე ხმოსნების არჩევასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე განაცხადა და თავისი პოზიცია ასე გამოხატა: ხმები უნდა აიწონოს, კი არ უნდა დაითვალოსო.

— **ესე იგი, გააჩნია ვინ გისმენს...**

— და ვინ და რატომ არ გისმენს. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. არის რაღაც სიდიდეები, არიან განსხვავებული აზრისა და შეხედულებების ადამიანები, მაგრამ ამ საკითხებზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.



ჯანსუღ კახიძე, ბიძინა კვერნაძე და ვალერი ასათიანი

აქ კი ვთქვათ, რომ დღეს ინიციატივა აქტივისტების ხელშია — ნიკანდრო მელიას ტიპის აქტივისტების ხელში. გაჩნდა ასეთი, „ვერღირსებით აღზევებულთა“ კასტა.

— **სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ამათ უფრო უგდებს ყურს. მათ ბრალდებებზე პასუხის გაცემისა და თავის მართლების პოლიტიკაზეა კონცენტრირებული. როგორ ფიქრობთ, ინტელიგენციას უსმენს ხელისუფლება? ითვალისწინებს მის რჩევას, მისი შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაციისთვის იღვწის ვინმე?**

— მაგალითად ავიღოთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ახლა ზოგ-ზოგი დაიწყებს: აი, თქვენ იმ ძველი დროიდან მოდიხართო და ა. შ.

კი, ბატონო, მოვდივართ იმ დროიდან და არაფერი საჩოთირო ამაში არ არის. ასეთი იყო მოცემულობა, იმ დროში დავიბადეთ. დღეს „მარსზე დაბადებულებს“ ვხედავთ, პიონერული ყელსახვევებიც რომ ეკეთათ, კომკავშირელები და პარტიულებიც იყვნენ და ჩვენთვის ჭკუის დარიგების უფლება დაისაკუთრეს. რეალობა იყო სხვა. გოგლა ლეონიძეც იყო, რომელიც ერთსაც წერდა და მეორესაც, მაგრამ ქმნიდა შედევრებს და მის სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდა. ყური ჰქონდა გაწაფული მაშინდელ ხელისუფლებას, რას იტყოდნენ გოგლა, გალაკტიონი, ირაკლი აბაშიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა და, რაღაც პრობლემები რომ წარმოიქმნებოდა რესპუბლიკაში, ხელმძღვანელობა მათთან მიდიოდა რჩევის მისაღებად. მიდიოდნენ მეცნიერებათა აკადემიაში, დედაუნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში, აზრს ისმენდნენ, ითვალისწინებდნენ.

წლებია, რაც დაირღვა ეს ტრადიცია. დღეს მომრავლებულ ე.წ. ენჯეოებს, არასამთავრობოებს უსმენენ, ეკა გიგაურს უსმენენ! რატომ უნდა იყოს გიგაური პირველი კომენტატორი ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების?! რა ნიშნით შეაირჩეს — მეტყველებისა და ორატორული ნიჭის, აზროვნების დიაპაზონის, ქათული ცოდნის დონით, ხიბლით თუ რა სხვა რამ ნიშნით?! მარტო ერთი გიგაურია ხელიხელსაგოგმანები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში არ არსებობს? სად გააქრეს მეცნიერებათა აკადემიის გაუქმებული კვლევითი ინსტიტუტების შესანიშნავი, ერუდირებული და მაღალი ზნეობით გამორჩეული მეცნიერ-თანამშრომლები? „მშრალ ხიდზე“ ბაზრობებზე რომ გადაინაცვლეს, „ტაქსაობა“ რომ დაიწყეს და მიზერული პენსიების ანაბარა რომ დატოვეს?

— **ასეთი უგანათლებულესი და ინტელიგენტური ღარიბ-ღატაკები, არა მგონია, სხვა რომელიმე ქვეყანას ჰყავდეს, სამწუხაროდ.**

— ყოვლისმცოდნე „მოღვაწეები“ გაჩნდნენ საქართველოში. ასეც ამბობენ საკუთარ თავზე — ვმოღვაწეობთო.

— **თვითმარქვია დილეტანტები.**

— არადა, იყვნენ, არიან კიდეც ჭეშმარიტი ინტელიგენტები, ზნეობრივ ორიენტირებად რომ გამოგვადგებიან.

რამდენიმე წლის წინათ დავკრძალეთ არაჩვეულებრივი პიროვნება — აკაკი ცხადაია; ფოთში მუშაობდა განათლების განყოფილების გამგედ, შემდეგ კომაროვის სახელობის სკოლის დირექტორი იყო წლების განმავლობაში. ამ ადამიანის ცოდნა, კეთილშობილება, სიკეთის ქმნა სანიმუშო იყო. ერის სიმდიდრეა ასეთი ადამიანები. როგორ შეიძლება, მათ არ მოუსმინო, რჩევა არ ჰკითხო. საბედნიეროდ, მათი მიმდევრებიც ბევრნი არიან.

— **ზოგიერთ მათგანზე თქვენ წიგნებიც გაქვთ დაწერილი — ვანიკო მაჭავარიანზე, ავთანდილ საყვარელიძე.**

— ავთანდილ საყვარელიძე „წითელი ინტელიგენციის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო — საზოგადოებრივი მოღვაწე, მამულიშვილი, მეცნიერი, უგანათლებულესი კაცი — მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ხელმძღვანელობაში, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობდა აფხაზეთში, სადაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობდა, თბილისში მაღალი თანამდებობები ეკავა. პარტიული ხელმძღვანელი იყო და ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. შეეჯიბრონ პატრიოტიზმში თვითმარქვია რეფორმატორები!

პარტიაში მოღვაწეობდა გოგი ანდრონიკაშვილი, უმაღლეს რგოლში, და იყო ინტელიგენტი.

— ბევრს არ ჩამოვთვლი. ამ ადამიანების მაგალითი არის ნიმუში იმისა, რომელ ეპოქაშიც გინდა მოღვაწეობდე, თუ პიროვნება ხარ, არ შეიძლება საზოგადოების ყურადღებას და პატიოსნებას არ იმსახურებდე. ინტელიგენტობა მათ ეთქმოდათ, რის დეფიციტსაც ახლანდელი მოღვაწეები განიცდიან.

— **ბატონო ვალერი, ხალხის მოსმენის კულტურა დაიკარგა?**

— უნდა დაგეთანხმოთ, რომ ასეა. ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდშიც გვიმუშავია და წინა პერიოდშიც და, მგონი, ხალხს ხელმძღვანელებთან შეხვედრების პრობლემა არ ჰქონია. ხალხის კანონიერი უფლებაა, მისმა არჩეულმა მთავრობამ რომ მოუსმინოს. დღეს იგნორირება ხდება საზოგადოებრივი აზრის. ერთ კონკრეტულ მაგალითს დაგისახელებთ.

ორი წლის წინათ ერთი პატარა წერილი შევადგინე, ტელევიზიითაც გამოვედი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ერთი გვერდი მივუძღვენი ლადო ასათიანის 100 წლის იუბილეს, გავიხსენე მისი საოცარი პოეზია, გამოვხატე საზოგადოების აზრი და დავსვი საკითხი მისი ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენების შესახებ. ისე ჩაიარა საიუბილეო წელმა, რომ ლადო ასათიანი, ერთი-ორი ადამიანის გარდა, არავის გახსენებია. რუსთაველის იუბილეზე აღარაფერს ვამბობ.

წერილზე, რომელიც ორი წლის წინათ მთავრობას მივართვი, პასუხი დღემდე არ მიმიღია.

როცა დასჭირდებათ, სახსრებსაც გამოძებნიან, დროსაც და ადგილსაც დაუბრკოლებლად გამონახავენ და სასწრაფოდ მოაწყობენ, „ივენთებს“ რომ ეძახიან, ისეთ ღონისძიებებს. გამორჩა ქვეყანას რუსთაველის ▶

**ეროვნული პოზიციები, რა თქმა უნდა, არ უნდა დავთმოთ, მაგრამ ის, რაც დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას სჭირს, მხოლოდ იმათი ბრალი არ არის. ნამდვილად არ არის მხოლოდ იმათი ბრალი. ჩვენ ასეთ დღეში არ ვიქნებოდით, სააკაშვილის უგნური, ერის გამყიდველი და დამთრგუნველი პოლიტიკა რომ არა**

## როცა ლონდონში ისმენენ ქართველი მეცნიერის მოხსენებას, ინგლისურ გამოცემას ბეჭდავენ, მსჯელობენ ამ საკითხზე, არქივებს ამოსწევენ, ეს ყველაფერი არის დასტური იმისა, ქართული სამყარო როგორ შედის დასავლურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ნაკადის სახით.

მადლი ქენი, ქვაზე დადე...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀იუბილე და ლადო ასათიანის 100 წლისთავი. არადა, როგორი მუხტი შეიძლება შექმნილიყო ამ თარიღების ღირსეულად აღნიშვნით! ეს იქნებოდა დაბრუნება სიტყვიერებასთან, იმ სამყაროსთან, გაღვივდებოდა ახალგაზრდობის ინტერესი ჭეშმარიტი ღირებულებებისადმი.

„იუბილე“ არ მოგწონს? გადმონაშთად მიგაჩნია? „მეხსიერება“ დაარქვი. თამაზ ჭილაძე ამბობს — კულტურა არის მეხსიერება. მშვენიერი დეფინიციაა. ადამიანებს, ერს უნდა ჰქონდეს მეხსიერება. მაშინ ხარ კულტურული ერი. აი, სააკაშვილის პროპაგანდისტული ინდუსტრია კი სწორედ ამ მეხსიერების დავიწყებაზე მუშაობდა, მისი ამოშანთვისკენ იყო მიმართული.

**— გასაგებია, რომ დასავლური კულტურისკენ მივისწრაფით, ევროპული ღირებულებებისკენ. შეიძლება ვცდები, მაგრამ მეჩვენება, რომ აღმოსავლეთს რაღაც ტაბუ აქვს დადებული.**

— აღმოსავლური ფაქტორის იგნორირება შეცდომაა. ძველები რომ ამბობდნენ: „ექს ორიენტე ლუქს“ („სინათლე აღმოსავლეთიდან“), ცოდნის მიღება-გამდიდრებას ნიშნავს, სიბრძნესთან არის დაკავშირებული. ფიზული, ალიშერ ნავოი, ფირდოუსი... რომელი ერთი ჩამოთვალო. ჩვენი ფენომენალურობა აღმოსავლურ-დასავლურობის სინთეზში გამოიხატება, ამით არის მომხიბვლელი. ის მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდა იმავე რუსთაველის ჰუმანიზმის სამყაროს აზროვნების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, იყო წინა საფუძვლები ევროპული ცივილიზაციის. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპაში დაიბეჭდა პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფია (პრეზენტაცია ახლახან გაიმართა), რომელშიც წარმოდგენილია სერიოზული ჰიპოთეზა, რომ შექსპირი იცნობს რუსთაველის სამყაროს, შექსპირის ადრინდელი ნაწარმოებები ფაბულებს სესხულობენ „ვეფხისტყაოსნიდან“.

როცა ლონდონში ისმენენ ქართველი მეცნიერის მოხსენებას, ინგლისურ გამოცემას ბეჭდავენ, მსჯელობენ ამ საკითხზე, არქივებს ამოსწევენ, ეს ყველაფერი არის დასტური იმისა, ქართული სამყარო როგორ შედის დასავლურ აზროვნებაში მნიშვნელოვანი ნაკადის სახით.

**— ქართველი სამოციანელები გავიხსენოთ, როგორც ინტელიგენტურობის განსახიერება.**

— პეტერბურგი იყო ევროპული ქალაქი თავისი ინტელექტუალური ნაკადით. საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ დიდია პეტერბურგის როლი სამოციანელთა თაობის ჩამოყალიბებაში. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ივანე ჯავახიშვილის თაობამ, ჩვენი დედაუნივერსიტეტის დამფუძნებლებმა, პეტერბურგში მიიღეს უმაღლესი განათლება.

გვაქვს სიამაყის საფუძველი იმით, რომ ამას წინ უსწრებდა გელათის აკადემია, ფაზისის აკადემია, იყალთოსი. თემისტიოსი, ბიზანტიელი რიტორი, თავის მეგობარს, ლიბანიოსს, წერდა: „მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე არა წყნარსა და ელინურ ადგილას *(ე.ი. არა საბერძნეთში)*, არამედ პონტოს *(შავი ზღვის)* ბოლოში, ფაზისის *(ფოთის)* მახლობლად, იქ, სადაც „არგომ“, თესალიიდან ჩამოსულმა, დაისადგურა *(გაიხსენეთ იასონის ლაშქრობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად)*.

ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ამას განვითარება სჭირდებოდა და სწორედ პეტერბურგი იყო საამისო ერთ-ერთი უდიდესი ეტაპი. ამის უარყოფა წარმოუდგენელია.

არ მინდა დღევანდელ პოლიტიკას შევეხო, მაგრამ არც უამისობა გამოდის: ეროვნული პოზიციები, რა თქმა უნდა, არ უნდა დავთმოთ, მაგრამ ის, რაც დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას სჭირს, მხოლოდ იმათი ბრალი არ არის. ნამდვილად არ არის მხოლოდ იმათი ბრალი. ჩვენ ასეთ დღეში არ ვიქნებოდით, სააკაშვილის უგნური, ერის გამყიდველი და დამთრგუნველი პოლიტიკა რომ არა.

**— დაბოლოს, ახლა საით და როგორ, ბატონო ვალერი?**

— საზოგადოებაში ყოველთვის იძებნებოდა ძალა, იქმნებოდა მუხტი და ითქმებოდა სათქმელი, რომელსაც ქმედება მოჰყვებოდა ნებისმიერ პერიოდში. ნაკადული ყოველთვის თავის გზას პოულობს. **არსებობს კანონზომიერება, რომელსაც ექვემდებარება ნებისმიერი საზოგადოება. უნდა ვიწამოთ, რომ ქვეყანა გადარჩება, მაგრამ გადარჩება არა მხოლოდ მოლოდინით, არამედ მოქმედებით. ეროვნული ენერგია აუცილებლად გამოიხატება იმით, რომ იგი (ერი) არასოდეს დაკარგავს თავის ცხოველმყოფელურ ძალას, ანუ, როგორც ინდოელი ფილოსოფოსი სვამი ვივეკანანდა ამბობს, ცენტრალურ ბგერას, რომლის გარშემო თავს იყრის ჰარმონიის ყველა ნაწილი. საკმარისია, ეს ცენტრალური ბგერა უკუაგდო, რომ ერი დაკარგავს ცხოველმყოფელობას.**

ეს ბგერა, ეს მუხტი საქართველოში არსებობს, მან წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღო საუკეთესო თვისებები, შემოქმედებითი პოტენციალი, ეყრდნობა ზნეობრივ ორიენტირებს და საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. არის ასეთი ხალხი და ღმერთმა არ გამოგვილიოს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. როცა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტის შვილის (გერის) ქმრის ფეხში დაჭრის შემთხვევას ტელეარხები აიტაცებენ, როგორც მოვლენას, და უყურადღებოდ დატოვებენ ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტებს, როგორებიცაა უდიდესი წმინდანის, მაქსიმე აღმსარებლის საძვალის ადგილის დადგენა ლეჩხუმში, ცაგერში, მორის ციხესთან, თბილისის ბაირონის სკოლის დამფუძნებლის ინესა მერაბიშვილის, მიერ ინგლისურად თარგმნილი გალაკტიონის შედევრების ინგლისში გამოცემა, რაც იქაურმა გრანდებმა ახალი გალაქტიკის აღმოჩენას შეადარეს და, რა თქმა უნდა, ბატონ ელგუჯა ხინთიბიძის გამოკვლევები რუსთველის შექსპირთან მიმართების შესახებ, ამ დროსა და ამ სივრცეში ინტელიგენტურობაზე ლაპარაკი ცოტა უადგილოდ მეჩვენება.**

ა.ს.

# მუცოს ხეობის იმედი

## «ჩიტი, სადაც დაიბადება, მისი ბაღდათიც იქ არის»

**3 ივლისს პირიქითა ხევსურეთში, მუცოს ხეობაში, მდინარე არღუნში ავტომანქანა გადავარდა, რომელშიც რუსი ტურისტები ისხდნენ. მანქანაში მყოფი 8 ადამიანიდან ხუთი დაშავდა, რომელთაც პირველადი სამედიცინო დახმარება პირიქითა ხევსურეთის ექიმმა მიხეილ ჭინჭარაულმა საკუთარ სახლში აღმოუჩინა. შემდეგ ისინი ულელტეხილამდე ააცილა, სადაც მათ სასწრაფო დახმარების მანქანა ელოდათ. ეს ინფორმაცია ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალბატონმა საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე დაწერა.**



შატილის მკვიდრი მიხეილ ჭინჭარაული შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ბარისახოს №6 სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი და ექიმი-თერაპევტია. ის ხეობაში ერთადერთი ექიმია და ათ სოფელს, უკვე 42 წელიწადია, ემსახურება. მიხეილ ჭინჭარაული მუცოს ხეობის დიდი იმედია.

**„ჰიპოკრატეს ფიცი მაქვს დადებული და, ჩემიანს კი არა, მტერსაც არ ვეტყვი უარს მკურნალობაზე. თერაპევტი ვარ, თუმცა გინეკოლოგიც ვყოფილვარ და ქირურგიც — ჭრილობებიც დამიმუშავებია და ნაკერებიც დამიდვია, ტრავმატოლოგობაც შემითავსებია... მუცოში ზამთარ-ზაფხულ ფეხით მიწევს კილომეტრების გავლა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადავურჩი სიკვდილს“,** — ამბობს 69 წლის მიხეილ ჭინჭარაული.

ბატონი მიხეილი, ოჯახთან ერთად, ხევსურეთში, უკვე წლებია, ცხოვრობს და ხევსურებს მთის რთულ პირობებში დახმარების ხელს უწვდის. მანამდე მუშაობდა თბილისში, რუსთავში, ბარისახოში, თუმცა ბოლოს იქ დაბრუნდა, სადაც დაიბადა, და იქიდან წასვლას აღარც აპირებს... ოქტომბრიდან პირიქითა ხევსურეთში მისასვლელი ულელტეხილი იკეტება და ხალხი ღვთისა და მიშა ექიმის იმედად რჩება...

ძნელია აქ ცხოვრება და გამოზამთრებაო, ამბობს, რადგან მკაცრ ზამთარს ცხოვრების მძიმე პირობებიც ემატება — ელექტროენერგია მარტო შატილსა და მუცოშია, დანარჩენ სოფლებს ლამფის შუქზე უწევთ ცხოვრება. ჰოდა, ვისაც შუქი აქვს, ტელევიზორიც აქვს და იგებს, რა ხდება ქვეყანაზე.

მართლაც საკვირველია, როგორ ძლებენ ყველაფრის გარეშე და არ ტოვებენ აქაურობას. „გვიყვარს აქაურობაო“, — ღიმილით ამბობს ბატონი მიხეილი, რომლისთვისაც ეს მიწა, მთები და ვიწრო ბილიკები ყველაზე ძვირფასია... ბოლო ხანს გამოცოცხლდა მთა — ზაფხულობით ბევრი ხალხი ამოდის, არც ტურისტების ნაკლებობას უჩივიან.

1982 წელს ხევსურეთში ჰესი აშენდა, ხევსურებს უშუქობის პრობლემა მოეხსნათ. მოგვიანებით, რაღაც დაზიანდა და დღემდე არ არის პრობლემა მოხსნილი, რაც მიხეილ ჭინჭარაულს ძალიან აწუხებს.

**„ვინმე თუ ცუდად გახდება და ტელეფონი იჭერს, მირეკავენ, თუ არადა მესაზღვრეებს ატყობინებენ და ისინი მაგებინებენ ამბავს. ავილებ მეც ჩემს ჩანთას და მივდივარ. ერთხელ ძაღლმა მიკბინა და დამიზიანა კუნთები და სისხლძარღვები. რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა, ვინ მოთვლის... ზვავები, უგზოობა... წელამდე თოვლში მივლია, მაგრამ მაინც მივსულვარ ავადმყოფამდე“,** — ყვება ხევსურების მძიმე ყოფაზე ბატონი მიხეილი.

ჟურნალისტებთან საუბრისას ხშირად იხსენებს თავს გადამხდარ ამბებს. ერთხელ ხევსურს ტურისტები აუყვანია მუცოში, უკანდაბრუნებისას ულელტეხილზე ერთ-ერთი ტურისტი დაზიანებულა — წვივის ძვლები ჰქონია მოტეხილი. მიშა ექიმისთვის დაურეკავთ, ისიც მისულა. რის გაკეთებაც შეძლო, გაუკეთებია, მაგრამ ავადმყოფის ბარისახოში წაყვანა მაინც გამხდარა საჭირო. ყველგანმავალი მანქანით წასულან, გზაში მძღოლს საჭე ვერ დაუმორჩილებია და ხევში გადაცვენილან. მიშა ექიმისთვის ორი ურთულესი ოპერაცია გაუკეთებიათ, ძლივს გადარჩენილა.

მიხეილ ჭინჭარაული ხშირად ამბობს, „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“, ჩემმა გაკეთებულმა სიკეთემ არაერთხელ გადამარჩინაო, თუმცა ის ძალიან ტრაგიკული პიროვნებაცაა — პირველი მეუღლე 7 წლის წინათ, მუცოს ხეობაში წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მისგან 3 შვილი — ორი ბიჭი და ერთი გოგონა დარჩა. დრეს მოგვიანებით ცოლი შეირთო და კიდევ ორი ვაჟიშვილი შეეძინა. მუცოს ხეობის იმედს, მიხეილ ჭინჭარაულს, შვილიშვილიც ჰყავს და ამის გამო საკუთარ თავს მდიდარ კაცს უწოდებს.

**„ჩიტი, სადაც დაიბადება, მისი ბაღდათიც იქ არისო“,** — ხშირად იმეორებს ამ სიტყვებს. ღმერთმა მისი იმედი არ მოუშალოს საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს.

**ეკა ჭინჭარაული**

**«ვინმე თუ ცუდად გახდება და ტელეფონი იჭერს, მირეკავენ, თუ არადა მესაზღვრეებს ატყობინებენ და ისინი მაგებინებენ ამბავს. ავილებ მეც ჩემს ჩანთას და მივდივარ. ერთხელ ძაღლმა მიკბინა და დამიზიანა კუნთები და სისხლძარღვები. რამდენი ასეთი შემთხვევა ყოფილა, ვინ მოთვლის... ზვავები, უგზოობა... წელამდე თოვლში მივლია, მაგრამ მაინც მივსულვარ ავადმყოფამდე»**



# ქართველი სუმოისტის მორიგი გამარჯვება

**რამდენიმე დღის წინათ ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინმა) კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოიპოვა.** ივლისის ბაშოზე ტოჩინოშინმა მესამე ბრძოლა გამართა. მისი მოწინააღმდეგე იყო კომუსუბი შოჰოზანი, რომელსაც ლევან გორგაძესთან შეხვედრამდე ორივე ბრძოლა წაგებული ჰქონდა. ძეგველმა ფალავანმა მეტოქე შტამბეჭდავად დაჯაბნა — ჯერ ჰაერში ასწია და დოჰიოს კიდესთან მიიყვანა, შემდეგ ერთი ამოსუნთქვით ასწია და მშვიდად გადასვა. იორიკირის ილეთით მან მესამე გამარჯვება მოიპოვა მესამე ბრძოლაში.

ივლისის ბაშოს მეოთხე დღეს ლევან გორგაძის მოწინააღმდეგე იქნება აბი.

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეროვნებაც მხოლოდ მაშინ განიცდის მთელ ტრაგიზმს პოლიტიკური მონობისას, როცა იგი უკვე ასულია ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეზე, როცა აშკარად ხედავს წინააღმდეგობას თავის შინაგან მისწრაფებათა და გარეგან პოლიტიკურ მდგომარეობათა შორის. ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობაა...“

# რაში მდგომარეობს პოლიტიკური მონობის ტრაგიზმი?

## მონა თავისი მონობის საშინელებას მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც სულიერად თავისუფალია



გერონტი ქიქოძე

მუსლიმანური სამყაროს გარემოცვაში მოქცეული საქართველო ოდითგან ანდამატივით იზიდავდა გადამთიელებს. თავისუფლების მოყვარე ქართველი კაცი კი აბჯარასხმული ხნავდა, სხლავდა და იწევდა ჭირნახულს, ქმნიდა თავის განუმეორებელ კულტურას. მან კარგად იცოდა საკუთარი თავის, ქვეყნისა და თავისუფლების ფასი, ამიტომაც წაქცეული ისევ ფეხზე დგებოდა და ისევ ფენიქსივით განახლებული აგრძელებდა ცხოვრებას იმ რწმენით, რომ უცხოობაში კარგი არაფერია, „სადაცა ვერვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული“, „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული“, როდესაც „გალიაშია დატყვევებული“ ( ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“).

რაში მდგომარეობს პოლიტიკური მონობის ტრაგიზმი?

„როგორც მონა თავის მონობის მთელ საშინელებას, თავისი გარეგანი ნებისყოფის შებორკვის აუტანლობას მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა სულიერად უკვე განთავისუფლებულია, როცა მან უკვე ისწავლა თავისი ინდივიდუალობის დაფასება და ცდილობს, მას გარეგნული მოქმედებაც შეუსაბამოს, ისე ეროვნებაც მხოლოდ მაშინ განიცდის მთელ ტრაგიზმს პოლიტიკური მონობისას, როცა იგი უკვე ასულია ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეზე, როცა აშკარად ხედავს წინააღმდეგობას თავის შინაგან მისწრაფებათა და გარეგან პოლიტიკურ მდგომარეობათა შორის. ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობაა...“ (გერონტი ქიქოძე; „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“); საკითხს, რომელზეც გერონტი ქიქოძის თვალსაზრისს წარმოგიდგენთ, ძლიერ დიდი, თითქმის შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოდ, მსოფლმხედველობისთვის.

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დღეს „ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობა“ „არ გვემუქრება“ — პოლიტიკური მონობის მთელი ტრაგიზმი რომ ვერ დავინახოთ, ამაზე უამრავი გარეშე თუ შინაური ძალა ზრუნავს. ისინი ძალიან ზუსტ და კარგად გათვლილ ნაბიჯებს დგამენ; იციან, სად უნდა დაგვარტყან, წელში რომ ველარ გავიმართოთ; წლებია, გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ ქართული ეროვნული თვითშეგნების განადგურებას, რადგან იციან, რომ მხოლოდ „სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიაც კი. სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლეს სახელმწიფოში“. კაცობრიობის ისტორია მოწმობს, რომ ერი თავის განუმეორებლობასა და დამოუკიდებლობას სულიერი კულტურის სფეროში ჰპოვებს, რაც მის შეუდარებელ ნიჭსა და გენიოსობაზე მიანიშნებს.

ფაქტია, რომ საქართველო დღეს პოლიტიკურ მონობაშია. მისგან თავის დაღწევა კი ერს სულიერი თავისუფლებით შეუძლია, მაგრამ არის კი დღეს ქართველი ერი სულიერად თავისუფალი?

ამ და სხვა საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას გერონტი ქიქოძე წერილში „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“, რომელიც 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა და დღესაც ჩვენს ცხოვრებაში არსებული ბევრი პრობლემის მიზეზსა და შედეგს თვალნათლივ წარმოაჩენს.

# ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა

**ყველა საზოგადოებრივი ძალა ერთნაირადაა დაინტერესებული, რომ ის ეროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის, დიადი და კულტურული გახდეს.** ეს იმიტომ, რომ პიროვნება, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ორგანულადაა შეერთებული ეროვნულ ფსიქიურ ერთეულთან, მთელ მის არსებობასთან, ზრდასთან და განვითარებასთან.

დამოკიდებულება და ურთიერთობა ეროვნებასა და პიროვნებას შორის შეუდარებლად უფრო მჭიდრო და ორგანულია, ვიდრე ეს სოციალ-ატომისტურ თეორიას ეგონა. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება არ არი ცალმხრივი: **პიროვნება არა მარტო ექვემდებარება ეროვნული ერთეულის გავლენას, არამედ თვითონაც აქტიურად მოქმედებს მასზე და მით უმეტეს, რაც უფრო მდიდარი და ძლიერია თვითონ ის.**

ერთი თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად ამბობს: „ადამიანი საჭიროებს საზოგადოებას არა მარტო როგორც თავის მატარებელს, არამედ როგორც ობიექტსაც, რომელშიც შეაქვს ის, რაც მასში ცხოვრობს, და რამდენადაც უფრო ავტონომიური და ინდივიდუალური ხდება თვით პიროვნება, იმდენად უფრო გაბედულად და ფართოდ ავალებს ის თავის გარშემო იმ წრეს, რომელმაც მასზე უნდა იქონიოს გავლენა და რომელზედაც, აგრეთვე, მას სურს იმოქმედოს“.

თუ თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება, მართლაც, საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფს შეადგენს, თუ მასში საკაცობრიო სხვადასხვა ეროვნების გამაერთიანებელი ტენდენციები უფრო აშკარად იხატება, ვიდრე გამაცალკევებელი, ცხადია, რომ სპეციფიკურად ეროვნული უნდა ვეძიოთ სხვაგან, სახელდობრ, სულიერი კულტურის სფეროში. აქ ვპოვებთ, უწინარეს ყოვლისა, იმას, რაც ყველაზე ნათლად ხატავს ეროვნების განუმეორებლობას და დამოუკიდებლობას, რაც შეურყევლად მოწმობს მის სხვასთან შეუდარებელ ნიჭს და გენიოსობას. **ეს ეროვნული სული და გენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელშესახებად არსად გამოსჭვივის, როგორც ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფეროში, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ენის შემწეობით: ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიკურ და ეთიკურ კულტურაში, საზოგადო და ფილოსოფიურ მხედველობაში, მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენაში.**

თეოლოგიური აზროვნებისთვის ენა სასწაულებრივი მოვლენაა, განგების მიერ ადამიანთა დასასჯელად ან დასაჯილდოვებლად მოგზავნილი; რაციონალიზმისათვის კი, პირიქით, იგი ბუნებრივი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, მზა იარაღია პიროვნების მიერ თავისი აზრებისა და შინაგანი გამოცდილების გამოსახატავად მოგონილი. არსებითად, თუმც გარეგნულად შეცვლილი ფორმით, ეს უკანასკნელი ინდივიდუალისტური თეორია ჯერ კიდევ ცოცხლობს ეგრეთ წოდებულ „გამოგონების“ და „წაბაძულობის“ თეორის სახელით.

თუ ენა დამოუკიდებელ პიროვნებათა მიერ მოგონილი იარაღია, ბუნებრივად იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ შემდეგ ეს ინდივიდუალური იარაღი სოციალურად გარდაიქცა, თავისი წარმოშობის სხვადასხვაობა ერთიმეორეს შეუფარდა და ჩაჩრდილა და მთელი სოციალური ერთეულის გაერთიანებულ გამოხატულებად გარდაიქცა. ყოვლისშემძლე წაბაძულობის შემწეობითაო, უპასუხებს ეს თეორია. ეს წაბაძულობა რაღაც უცნაური მისტიკური, გამათანასწორებელი ძალაა, რომელიც ჯადოსნური შესაძლებლობით ინდივიდუალურისგან ჰქმნის სოციალურს. კიდევ მეტი: საზოგადოება წაბაძულობაა, წაბაძულობა კი ერთგვარი სომნამბულიზმიაო, ამბობს ამ მიმართულების ცნობილი თეორეტიკოსი, ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი თავის თხზულებაში „კანონები წაბაძულობისა“.

ნიჭიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება, ერთადერთი წყარო ყოველგვარი შემოქმედებისა, სრულიად დამოუკიდებლად იგონებს ახალს, უცნობს, გენიოსურს; წაბაძულობის წყალობით ეს ახალი ჯერ იმ ვიწრო წრეში ვრცელდება, რომელიც გამომგონებელს გარს არტყია, შემდეგ კი შეუმჩნეველი ზვავით უფრო ფართო და ფართო წრეებს ედება, სანამ ბოლოს არ დაკარგავს თავის ძალას და ერთ საზღვარზე არ შეჩერდება: ესაა საზღვარი გარკვეული სოციალური ერთეულისა. გენიოსი გიპნოტიზიორი, სოციალური სხეული კი — პასიური მედიუმი, რომელიც მას აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს. ამით აიხსნება, რომ ენა, რომელიც თავდაპირველად ინდივიდუალური იარაღია, ჩქარა მთელი განსაზღვრული საზოგადოებისათვის განგებ, სულიერი შინაგანობის გამომხატველ საშუალებად ხდება. ნიჭიერი პიროვნება ჰქმნის ენას ან წინასწარი მოსაზრებით, შეგნებულად (ინტელექტუალისტური შეხედულება), ან სრულიად უნებლიეთ, რეფლექტურად, შეუგნებლად (ფიზიოლოგიური თეორია): ფსიქიური აღელვების დროს, ძლიერი გრძნობით, ვნებით ან გულისთქმით გამსჭვალული იგი ცდილობს მოძრაობით, ყვირილით და ხმის მოცემით გამოსავალი მისცეს დაგუბებულ ფსიქიურ ენერგიას; ეს ხმა თავის მხრივ პოულობს გამოხმაურებას ახლო-მახლო წრეებში: თვითეული პიროვნება ცდილობს, მდგომარეობა და ხმა ასოციაციურად ერთიმეორეს დაუკავშიროს და შემდეგ ანალოგიურ მდგომარეობაში თვითონაც მსგავსი ხმა გამოსცეს. ამგვარად იბადება ენა, წაბაძულობის ნაყოფი.

ამ თეორიის დასახასიათებლად, საკმაოა, გავიხსენოთ, როგორ ხსნის იგი ეგრეთ წოდებულ „ხმის ცვლილებათა“ ფაქტს. მაგალითად, ცნობილია, რომ ლათინურ სიტყვას „ცეზარს“ სხვადასხვა ეროვნება სხვადასხვანაირად სცვლის: გერმანელი ამბობს „კაიზერს“, რუსი „ცარს“, ქართველი „კეისარ“-ს ან „ყაისარ“-ს. ამ თეორიის მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ ერთს რომელსამე უსახელო პიროვნებას ლათინური სიტყვა შეცდომით წარმოუთქვამს, მისთვის წაუბაძავთ სხვებს და ამგვარად ბოლოს დამახინჯებული გამოთქმა საერთო ეროვნულ კუთვნილებად გამხდარა.

აქედან ნათლად ჩანს ამ ხელოვნური სოციოლოგიური კონსტრუქციის სისუსტე და ნაკლოვანება: წაბაძულობის თეორიას, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეუძლია ეროვნულ ენათა სხვადასხვაობის ახსნა. როგორ მოხდა, რომ პიროვნებათა იმ ჯგუფმა, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა ცხოვრობს, რომელსაც შემდეგ ქართველი ერი ეწოდება, გამოუკლებლივ სწორედ „კეისარის“ გამომთქმელს მიბაძა. რა ჯადოსნობამ მისცა სწორედ „კაიზერს“ ასეთი აბსოლუტური ბატონობის ძალა ნემანისა და ჩრდილოეთ ზღვას შუა ან „ცარს“ აღმოსავლეთ ევროპაში? რატომ ყველამ ლათინურ „ცეზარს“ არ მიბაძა? ამ სიტყვას ხომ მთელი ეროვნება ხმარობდა, სანამ იგი გერმანულ, რუსულ და ქართულ ენაში შევიდოდა? ცხადია, რომ წაბაძულობა თავისთავად გასაგები მოვლენა არ არის. ცხადია, რომ იგი მეორეხარისხოვანი სოციალური ფაქტორია: **თუ ქართველი ერი ერთნაირად სცვლის უცხო სიტყვათა გამოთქმას, ამას სჩადის არა წაბაძულობის შემწეობით, არამედ თანახმად თავისი ეროვნული ფსიქიური ბუნებისა;** თუ მისი გამოთქმა განსხვავდება გერმანული ან რუსული გამოთქმისაგან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სულიერი ბუნება, რომელიც საძირკვლად უდევს ენის შემოქმედებას, განსხვავდება გერმანული ერის სულიერი ბუნებისაგან.

**...რა არი პიროვნება თავისი ნიჭით, აზროვნებით და მეტყველებით ეროვნების გარეშე? რა არი თვით უმდიდრესი ენა რობინზონისთვის, რომელიც მოწყვეტილია თავის ეროვნებას?** — ასოებად დაწყობილ ხმათა სისტემა, მოკლებული ყოველ რეალურ აზრსა და შინაარსს, ან ამაო მოწოდება და ძახილი ძლიერი გრძნობით აღელვებული სულისა, ან აზრით და გულისნადებით აღსავსე წინადადება, რომელიც ვერავითარ გამოხმაურებას ვერ იპოვის და დაჩცება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

პირიქით, რა განუზომელს, ყოველი მხრით შეუდარებელ კულტურულ ძალას წარმოადგენს ენა, იგი არქიტექტონული სისტემა ხმებისა, იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცოცხალი ეროვნული ერთეულის წევრია, შეკავშირებული მის აზრებთან, გრძნობებთან და ნების ლტოლვასთან... **რამდენ ახალ თვისებას იძენს ენა სოციალური თვალსაზრისით, სულიერ შინაგანობის წარმოდგენათა და გრძნობათა გამომხატველი უძ-** ▶

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიაც კი, სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლეს სახელმწიფოში“.

**«ეროვნული სული და გენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელშესახებად არსად გამოსჭვივის, როგორც ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფეროში, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ენის შემწეობით: ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიკურ და ეთიკურ კულტურაში, საზოგადო და ფილოსოფიურ მხედველობაში, მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენაში»**

**◀ლიერესი და უგავლენიანესი საშუალება, სოციალური გამოცდილების დამგროვებელი და შემნახველი იარაღი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია კულტურული წინსვლა, სოციალური ნასკვი, რომელიც უფრო მჭიდროდ და საიმედოდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი დაწესებულება, ფსიქიური პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა შედგენა და, მაშასადამე, აზროვნების განვითარება: და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ენა გარეგნულად გამოხატულებაა იმ სოციალ-ფსიქიური ჰარმონიისა, რომელსაც ეროვნება ეწოდება და არა ჰეტეროგენულ, ერთიმეორისაგან დამოკიდებულ პიროვნებათა მიერ გამოგონილი იარაღი.**

ვუნდტმა აღნიშნა ვილჰელმ ჰუმბოლდტის ღვაწლი, რომელიც ამ მეცნიერს მიუძღვის ენის ფილოსოფიის წინაშე (ვ. ვუნდტი: „ენა და ეროვნება“, ნარკვევები, გამოც. 2, გვ. 27); პირველად ჰუმბოლტმა დაინახა ნათლად ძველი ფილოლოგიის სისუსტე და ნაკლოვანება და დაამტკიცა, რომ **ენა არი არა მარტო შედეგი აზროვნების, არამედ მისი მიზეზიც, „რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, არი არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იარაღი, რომელიც მზად არი ყოველმხირივ მოსახმარად, არამედ თვით იმ სულიერ მოქმედებაში მდგომარეობს, რომელიც მას შეუწყვეტლად ჰქმნის“.**

...ენა, ისევე, როგორც აზროვნება, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციური — აი, მოკლედ ის დასკვნა, რომელზედაც მივიდა თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ საღი, ჭეშმარიტი აზროვნების დროს ადამიანი პასიურად კი არ ეძლევა წარმოდგენათა ასოციაციას, არამედ განუწყვეტელი შეგნებული ნებისყოფის შემწეობით ცდილობს, აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს; ცდილობს ცნებათა და იდეათა სისტემა არქიტექტონულად დედააზრს დაუქვემდებაროს და უსარგებლო ბილიკებზე სვლას ააცილოს. ენაც ამ შინაგანი აპერცეფციული პროცესის გარეგნული გამოხატულებაა: ნებისყოფა, რომელიც დალაგებულ აზროვნებას ჰქმნის, იმავე დროს მას მის გარეგან მხარეს — ენას უსაბამებს.

დედაენა არი არა შემთხვევითი დამატება ადამიანისა, არამედ თვით იმის აზროვნებასთან ორგანულად შეზრდილი პროცესი, რომლის გამოცვლა თვით იმ აზროვნების ნაჩვევი მიმდინარეობის გამოცვლას მოასწავებს. ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენათა შორის გამოთქმის, სიტყვათა სიმდიდრის, მოდულაციის, ხმის აწევის, ხმის ცვლილების, წინადადების დაწყობის და აშენების მხრივ, წარმოდგება არა რაიმე გარეგნულ უბრალო შემთხვევისაგან, არამედ თვით აზროვნების სხვადასხვაობისაგან. მაგ., ეჭვს გარეშეა, რომ წინადადებას თვითეული ეროვნება ისე აშენებს, როგორც იგი აზროვნებს და სიტყვათა თანდათანობა შეესაბამება ცნებათა თანდათანობას; ამიტომ, ვისაც შეუმჩნევია ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენას შორის ამ მხრივ, წარმოიდგენს დაახლოებით მაინც, რა დიდი უნდა იყოს განსხვავება მის შემქნილ ეროვნულ ფსიქიკათა შორის.

ენის იგივეობა გულისხმობს ნებისყოფის და, მაშასადამე, შემოქმედი სულის და ნიჭის იგივეობას, ენის სხვადასხვაობა — პირიქით, ნებისყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და სულის სხვადასხვაობასაც. აქედან ცხადად ჩანს მთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ მისი ფსიქიური ბუნებისათვის სრულიად უცხო და შეუსაბამელი ენის ტერმინებში იაზროვნოს, ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას. ესაა მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერ შინაგრძნობასა და მის გარეგნულ გამოხატულებას შორის. მუდმივი ბრძოლა ფორმისა შინაარსთან, სურვილისა ასრულებასთან, — უსიტყვო, აუჩქარებელი, ფარული დრამა, რომელიც აუცილებლად პიროვნების დამახინჯებით თავდება.

არსებობს სულიერი ურთიერთობა კულტურული კაცობრიობისა, სულ სხვა პრინციპებზე აშენებული, ვიდრე მატერიალური ურთიერთობა, თუმცა მასზე უფრო მჭიდრო და გავლენიანი; მატერიალური ინტერესები მხოლოდ სივრცის და დროის ვიწროდ შემოფარგლულ წრის საზღვრებში აკავშირებენ, სულიერი ინტერესები კი ჰქმნიან სივრცისა და დროის შემთხვევითი საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სულიერ ერთობას. იქ ბრძოლა და წინააღმდეგობაა, აქ განსხვავებულ ეროვნულ ძალთა სრული ჰარმონია. **კაცობრიობის განვითარება არის შეუჩერებელი ზრდა ამ სულიერი ერთობისა. ეროვნებანი ჰქრებიან და თან მიაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა: ის კი, რაც მათს ნიჭსა და თავისებურებას შეუქმნია დიადი და გენიოსური, სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებელ საუნჯედ რჩება მსოფლიო გონებრივ სალაროში; ამ ნაყოფიერების საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება კაცობრიობის განვითარების ფაქტორად.**

ამ მხრივ ეროვნება უკვადავია. ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურა დიდი ხანია დაიღუპა, გაწყდა ეკონომიურ ინტერესთა ნასკვი, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა კლასიკური ქვეყანა შემდეგ თაობებთან, მაგრამ ელინური სული მაინც ცხოვრობს კლასიკური მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და მითოლოგიის სახით, როგორც უდიდესი კულტურული ძალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ მამოძრავებელი. თვით ჩვენი სამშობლოს წარსული მატერიალური მდგომარეობა მოქმედებს ჩვენს დღევანდელ ნაციონალურ არსებობაზე არა პირდაპირ, არა უშუამავლოდ, არამედ სოციალ-ფსიქიური გამოცდილების შემწეობით, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობამდე იზრდება და მრავალფეროვნდება. მატერიალური კულტურა წინ მიდის და მისი განვითარების ერთი საფეხური უარყოფს მეორეს, ეროვნება კი, მიუხედავად ამისა, ირჩენს იგივეობას და ნათესაობას თავის წარსულთან სულიერი შემოქმედების საშუალებით.

რა გვაერთებს, მაგალითად, ჩვენ ჩვენი აღორძინების ხანასთან, გარდა იმ ორიგინალური სულიერი კულტურისა, რომელმაც უმშვენიერესი და უმაღლესი (მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ერთადერთი) გამოხატულება ჰპოვა მაშინდელ ლიტერატურულ შემოქმედებაში. ეკონომიურ ინტერესთა მთლიანობა, რასაკვირველია, დარღვეულია, სავსებით უარყოფილია ის საფეხური მატერიალური განვითარებისა, რომელზედაც ჩვენი შორეული წინაპარნი იდგნენ, მაგრამ ათასი ხილული და უხილავი ძაფი აკავშირებს მთელ ჩვენს ფსიქიურ არსებობას წარსულ თაობათა არსებობასთან შეგნებულადაც, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად მალულად, შეუგნებლად. ჭეშმარიტების ძიებაში, ეთიკურსა და ესთეტიკურ დაფასებაში, უდიადეს სიკეთეთა და მშვენიერებათა აღიარებაში, გრძნობაში, აზროვნებაში, რწმენაში და სასოებაში, ყველა ამ მხარეში აღმოჩნდება თანდათანობა და თავისებურება, საჭიროა მხოლოდ მისი ისტორიის და მრავალმხრივობის შეგნებულად შესწავლა და გათვალისწინება. ეს შესწავლა გვაპოვნინებს სავსებით ჩვენს თავს, ჩვენს ეროვნულ „მეს“ და შეგვაძლებინებს ორიგინალურსა და განათლებული კაცობრიობისათვის შესაფერ შემოქმედებას, უნიჭო და საცოდავი წაბაძულობის მაგივრად.

ეროვნული **სულის დამოკიდებულება და რეალობა თითქმის არსად არ იხატება ენის გარეშე ისე აშკარად და თვალსაჩინოდ, როგორც ესთეტიკურ სფეროში, არსად არ ჰქმნის თვითეული ეროვნება ისე დამოუკიდებლად თავისი საკუთარი არსების სიღრმიდან, როგორც აქ, მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკური ნიჭი და მშვენიერებისადმი ლტოლვა ისეთივე საყოველთაო საკაცობრიო ფსიქიურ მომენტს წარმოადგენს, როგორც ლტოლვა ჭეშმარიტებისა ან უმაღლესი სიკეთისადმი.** კიდევ მეტი: იგი ელემენტარულია და უძლეველი და ბუნებრივი პირველყოფილობით მოქმედებს თვით თავის უდიდეს გამოხატულებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა უზარმაზარი განსხვავება არსებობს სწორედ ესთეტიკური კულტურის მხრივ სხვადასხვა ეროვნებას შორის...

მეცნიერება ობიექტური ჭეშმარიტების თვალსაზრისით მუშაობს; არსებობს თუ არა ასეთი ჭეშმარიტება, ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში, ყოველი დარგი მეცნიერებისა აუცილებლად გულისხმობს მის არსებობას. ხელოვნება, პირიქით, ჰქმნის სუბიექტური ღირებულების მიხედვით და მისი სინამდვილე სრულიად შეუდარებელია ჩვეულებრივ სინამდვილესთან. თავისი მიზნის მისაღწევად მეცნიერება მუშაობს ობიექტურ წარმოდგენათა და ცნებათა სისტემით, ხელოვნება კი, პირიქით, — ფანტაზიის ფორმებში განსხვავებული სუბიექტური გრძნობების სურათებით. მეცნიერი ცდილობს, სინამდვილე ისე შეიგნოს, როგორც ის არსებობს თავისთავად, სუბიექტური მხედველობისა და შეთვისების დამოუკიდებლად; ესთეტიკოსი, პირიქით, ცდილობს, დაგვანახვოს იგივე სინამდვილე, როგორც იგი მას ეჩვენება, გაატაროს ის ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში და იმის შემადგენელ ელემენტებიდან მხოლოდ ის მხარეები აირჩიოს, რომელიც შემომქმედი ფანტაზიისთავის გამოსადეგია ესთეტიკური სამეფოს ასაშენებლად.

მეცნიერების მიერ მიღწეული საყოველთაოდ სავალდებულო რეზულტატები მოწმობს ადამიანის აზროვნების ძირითადი კანონებისა და პრინციპების იგივეობას, ხელოვნების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი კი — გრძნობათა და ფანტაზიის მოქმედების განუზომელ სიმდიდრეს და მრავალმხრივობას. მთელ თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებას, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, საძირკვლად რამდენიმე მარტივ დებულებათა სისტემა უძევს, რომელთა ჭეშმარიტება საყოველთაოდ აღიარებულია. მთელი თანამედროვე ესთეტიკური კულტურა, პირიქით, დაფუძნებულია ეროვნულ შეხედულებათა და გემოვნებათა დაუშრეტელ სიმდიდრეზე, რომლის აუცილებლობა და საჭიროებაც არანაკლებ მიჩნეულია საყოველთაოდ.

**ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას.** ამ აზრის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი იცის ხელოვნების ისტორიამ, ჩვენთვის კი საკმაო იქნება ეგრეთ წოდებულ ცრუკლასიკურ მიმართულებაზე მივუთითოთ მხატვრობაში, ქანდაკებაში და პოეზიაში. სანამ ახალი ეროვნული ესთეტიკური აზროვნება არ განთავისუფლდა იმ წინასწარ ყალბი რწმენისაგან, რომ მშვენიერების აბსოლუტური იდეალი უკვე სავსებით მიღწეულია ბერძნების მიერ, რომ ამ მხრივ წინ ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია, რომ სხვა ეროვნებებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ წაბაძონ ფიდიასის და ლიზიპოსის, ესქილეს და სოფოკლეს, ჰორაციუსის და ვირგილიუსის მიერ შექმნილს ნიმუშებს, საეჭვოდ გახდა არა მარტო ზრდა და წინსვლა, არამედ თვით არსებობაც კი ხელოვნებისა.

აბსტრაქტული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება მშვენიერების გაქრობას უქადდა ფერთა და ფორმათა სიმდიდრეს, გრძნობათა და განცდათა მრავალმხრივობას, მოულოდნელობას უჩვევ ესთეტიკურ მოვლენათა შექმნაში, ელემენტარობას და პირდაპირობას კონკრეტულ გამოხატულებაში, ყველა იმ დიად თვისებას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ყოველი ნამდვილი ხელოვნება. **ესთეტიკური კულტურის წინსვლა და დღევანდელი მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოქმედმა პიროვნებამ ხელოვნებაში შეიგნო ნაციონალური მომენტის მნიშვნელობა და დაეწაფა ხალხური გენიოსობის დაუშრეტელ წყაროს, რომელიც ხშირად შეუგნებლად, მაგრამ თავისებურად შობს დიადსა და ორიგინალურს.**

რადგა ესთეტიკურ შემოქმედებას საძირკვლად ფანტაზიის და გრძნობის მოძრაობა უძევს, ესენი კი, ფსიქიური ცხოვრების ყველაზე მეტად დამახასიათებელი მხარეები არიან, ამიტომ **ეროვნული სულის ინდივიდუალობა არსად არ იხატება ისე ნათლად, როგორც ხელოვნებაში.** ამ მხრივ ეროვნება მართლაც სავსებით განუმეორებელია. იტალიელ ერს — მშვენიერი სხეულის თაყვანისმცემელს, მის ნიჭს მწყობრი, ჰარმონიული ფორმის შექმნაში, მის სიძულვილს განყენებული, უსისხლხორცო იდეისადმი, მის ნაკლებად ფილოსოფიურ და უფრო მხატვრულ, ნაკლებად ასკეტურ და ტრანსცენდენტურ, უფრო ამქვეყნიურ და იმანენტურ ლტოლვას და გენიოსობას არაფერი ახასიათებს ისე კარგად, როგორც ის არსებითად წარმართი ხელოვნება, რომელშიაც მიქელ ანჯელომ, რაფაელმა, ლეონარდომ და სხვებმა გამოხატეს თავიანთი განცვიფრება და აღტაცება ჯანსაღი, ტიტველი ტანის წინაშე.

პიროვნება იბადება და კვდება, ერთი თაობა მეორე თაობას სცვლის, ეროვნება კი იჩენს თანდათანობას და იგივეობას ამ ცვალებადობაში; თავის სულიერ შემოქმედებაში კი ის ხშირად სტოვებს სფინქსივით უცნაურ ძეგლს ან უკვდავების უზრუნველმყოფელ პირამიდას იდგამს... დღეს შემოქმედმა პიროვნებამ, დროის ამ ახალსა და რთულ ვითარებაში, რწმენისა და იმედის სულ სხვა წყაროს აღმოჩენა უნდა შესძლოს.

**«ესთეტიკური კულტურის წინსვლა და დღევანდელი მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოქმედმა პიროვნებამ ხელოვნებაში შეიგნო ნაციონალური მომენტის მნიშვნელობა და დაეწაფა ხალხური გენიოსობის დაუშრეტელ წყაროს, რომელიც ხშირად შეუგნებლად, მაგრამ თავისებურად შობს დიადსა და ორიგინალურს»**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს იყო

**მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში „ადამიანების ზოოპარკები“, პრაქტიკულად, ყველა დიდი საერთაშორისო გამოფენის პროგრამებში იყო ჩართული. „აფრიკული სოფელი“, რომელშიც 400-მდე ადამიანი ცხოვრობდა, 1889 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენის ცენტრალურ ექსპოზიციად იქცა. იგი 28 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა.**

# ამორალური კომერციული პროექტი: XIX საუკუნეში დასავლეთში «ადამიანების ზოოპარკები» გაჩნდა

**135 წლის წინათ ამსტერდამის კოლონიური და ექსპორტული საქონლის გამოფენაზე გაიხსნა „ექსპოზიცია“, რომელსაც მოგვიანებით „ადამიანების ზოოპარკი“ უწოდეს. სურინამელი ინდიელების ჯგუფი აიძულეს, რომ სპეციალურ შემოღობილში თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების იმიტირება მოეხდინათ. მას შემდეგ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეს „გასართობი ატრაქციონი“ პოპულარული იყო ევროპასა და ამერიკაში. არ ერიდებოდნენ იმასაც, რომ კოლონიების მკვიდრნი დამთვალიერებელთა წინაშე სრულიად შიშვლები წარედგინათ — ცალკე გალიებში ან ცხოველებთან ერთად ვოლიერებში დამწყვდეული.**


„ადამიანთა ზოოპარკი“, ჰამბურგი, გერმანია, 1903 წ.

## მდიდრების აკვიატება

მაგალითად, XVI საუკუნეში ფლორენციის მმართველის, იპოლიტ მედიჩის, სასახლეში 20 სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, ხოლო ქრისტეფორე კოლუმბმა, ამერიკაში პირველი მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, შვიდი ინდიელი ჩამოიყვანა. მათგან ხუთი მომდევნო ექსპედიციაში გაიყოლა, ერთი კი მეფის სასახლეში დატოვა, რომელიც ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. რაც შეეხება ჩვეულებრივ ევროპელებს, XIX საუკუნემდე მათ უმრავლესობას ზღვაგაღმელები არასოდეს ენახათ.

შორეული ქვეყნების მცხოვრებთა მონაწილეობით ორგანიზებული პირველი ყველაზე ცნობილი წარმოდგენების მაგალითია **საარტი ბაარტმანის** ისტორია. წარმატებულმა ანტერპრენერმა იგი აფრიკიდან 1810 წელს დიდ ბრიტანეთში ჩამოიყვანა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მონას სხვადასხვა ფრიკ-შოუზე უჩვენებდა და აიძულებდა, ხალხისთვის თავისი უზარმაზარი თეძოები ეჩვენებინა — რომელიც კოისანელი ხალხის ქალისთვის ტიპური იყო და ბაარტმანის სამშობლოში სილამაზედ ითვლებოდა. „ჰოტენტოტელი ვენერას“ განსაკუთრებით დიდმა უკანალმა ბრიტანეთის საზოგადოების უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია.

სამ წელიწადზე მეტი იცხოვრა მან ინგლისში, შემდეგ საფრანგეთში გადაიყვანეს, სადაც საზოგადოებისთვის მისი ჩვენების უფლება შეისყიდა ფრანგმა მწვრთნელმა რეომ. წელიწადზე მეტხანს მას პარიზელებს აჩვენებდნენ, მაგრამ, როგორც კი მისდამი ინტერესი დაცხრა, ქუჩაში გააგდეს. იძულებული გახდა, პროსტიტუციით ერჩინა თავი. გალოთდა. 1815 წელს დაავადდა და გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ მისი დასპირტული ცხედარი პარიზის ადამიანის მუზეუმში მოათავსეს.

1840-იან წლებში აშშ-სა და ევროპაში საზოგადოების წინაშე გამოჰყავდათ სალვადორელები — **მაქსიმო და ბარტოლა,** რომლებიც მიკროცეფალიით იყვნენ დაავადებულები. მათ აცტეკების შთამომავლებად ასაღებდნენ, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია, რადგან ნამდვილი „ადამიანების ზოოპარკებამდე“ ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წელიწადი რჩებოდა.

## იმპერიალიზმის ნიშანი

1860-1870-იან წლებში ევროპაში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ეკზოტიკური ცხოველებისადმი, რომლებიც ვაჭრებს შორეული ქვეყნებიდან ჩამოჰყავდათ. ამ ბიზნესის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი კარლ ჰაგენბეკი ჯერ მხოლოდ 14 წლისა იყო, როცა მამამ დათვი და სელაპი აჩუქა. დროთა განმავლობაში კოლექცია შეივსო, და ახალგაზრდამ ცხოველების დემონსტრაციით ხელიც მოითბო — გახსნა ზოოპარკი და ცხოველების „გასტროლების“ ორგანიზაციაც დაიწყო.

1874 წელს მან გერმანიაში „გადმორეკა“ ჩრდილოეთის ირმების ჯოგი, რომლებსაც ლაპლანდიელები მწყემსავდნენ. ჰაგენბეკმა ისინი თავის წარმოდგენებში ჩართო. შედეგი ფრიად წარმატებული გამოდგა. ლაპლანდიელებს სამოელები, სუდანელები, ესკიმოსები და ბედუინები მოჰყვნენ.

ჰაგენბეკის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. 1883 წელს ამსტერდამის საერთაშორისო კოლონიური გამოფენის ორგანიზატორებმა სპეციალურ შემოღობილში სურინამელი ინდიელების „სოფელი“ წარუდგინეს დამთვალიერებლებს. ეს „სოფელი“, რომელშიც იქაურები თავიანთ ყოველდღიურ ყოფას განასახიერებდნენ, მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა. **მას შემდეგ „ადამიანების ზოოპარკები“, პრაქტიკულად, ყველა დიდი საერთაშორისო გამოფენის პროგრამებში იყო ჩართული. „აფრიკული სოფელი“, რომელშიც 400-მდე ადამიანი ცხოვრობდა, 1889 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენის ცენტრალურ ექსპოზიციად იქცა. იგი 28 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა**. 1900 წელს კი ორგანიზატორებმა მოაწყვეს დიორამა „ცხოვრება მადაგასკარზე“, რომელშიც აფრიკული კუნძულის მცხოვრებნი მონაწილეობდნენ.


„ნაკლული რგოლი“, ზოოპარკი ბრონქსში, აშშ, 1906 წ.

1906, 1907, 1922 და 1931 წლების კოლონიურ გამოფენებზე ევროპული სახელმწიფოების კოლონიური სამფლობელოებიდან ჩაყვანილ აბორიგენებს, გალიებში გამომწყვდეულებს, ხშირად სრულიად შიშვლებს აჩვენებდნენ. საინტერესოა, რომ **1931 წლის ღონისძიებამ ყველა წინანდელი რეკორდი გადაფარა — ეს გამოფენა 34-მა მილიონმა ადამიანმა დაათვალიერა.**

ევროპელებს არ ჩამორჩნენ ამერიკელები. ამერიკელმა მონადირემ და შოუმენმა **უილიამ კოდიმ, მეტსახელად ბუფალო ბილმა** კარგად გამოიყენა ინდიელთა თემატიკა, რომლისადმი ინტერესი იმ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა და გამართა საცირკო წარმოდგენები თეთრკანიანი ავანტიურისტებისა და ინდიელების მონაწილეობით. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სცენარის მიხედვით, წითელკანიანები თავს ესხმიან დილიჟანსს თეთრკანიანი ლამაზმანის გასატაცებლად, რომელსაც შემდეგ გმირულად გამოიხსნიან კოვბოები. ამ შოუთი ბუფალო ბილმა ჯერ აშშ-ის ყველა შტატი შემოიარა, შემდეგ — 1880-1890-იან წლებში — ევროპის ქვეყნებიც.

**1896 წელს ცინცინატის ზოოპარკმა ოჰაიოში სამი თვით დაუთმო თავისი ტერიტორია ამერიკელების მიერ სასტიკად განადგურებულ სიუს სოფელს, ხოლო 1904 წლის მსოფლიო გამოფენაზე სენტ-ლუისში ამერიკელებმა ახალდაპყრობილი აპაჩები და ფილიპინელები ჩაიყვანეს. ორგანიზატორები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ ეს სპეციალურად გააკეთეს, რათა დამთვალიერებლები დარწმუნებულიყვნენ, რომ ამერიკელები იღვწოდნენ მათ მიერ ხელში ჩაგდებული მიწების მოსახლეობის „ველურებიდან“ „ცივილიზებულ მუშებად“ გარდაქმნისთვის.**

1906 წელს ნიუ-იორკის ზოოლოგიურმა საზოგადოებამ მოაწყო გამოფენა **„ნაკლული რგოლი“** და ერთ გალიაში შიმპანზესა და ორანგუტანგთან ერთად კონგოელი **პიგმეი ოტო ბენგი** მოათავსეს. ბელგიელმა კოლონიზატორებმა ბენგის ოჯახი ამოწყვიტეს, ოტო კი ამერიკაში ჩაიყვანეს წარმოდგენებში აფრიკელი კაციჭამიის როლის შესასრულებლად. ამ ამბავმა აღაშფოთა ქრისტიანი მღვდლები და ხელისუფალთ წარმოდგენების აკრძალვა მოსთხოვეს, მაგრამ ნიუ-იორკის მერიაში მათი მოსმენაც არ სურდათ. სასოწარკვეთილმა ოტომ 1916 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და ოკეანიის „სოფლების“ დემონსტრირება სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე ამერიკასა და ევროპაში 1950-იან წლებამდე გრძელდებოდა. მაგალითად, 1958 წლის ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე დემონსტრირებული იყო **კონგოს სოფელი**. მსოფლიო მოიარა ფოტოსურათმა, რომელზეც ევროპელი ქალბატონები ფარეხში მყოფ პატარა აფრიკელ გოგონას, როგორც ცხოველს, ისე კვებავენ. ამის შემდეგ ეთნოგრაფიული გამოფენების ორგანიზატორებმა გალიებსა და ღობეებზე უარი თქვეს.


„გულმოწყალე“ დამთვალიერებლები

## დასავლური რასოლოგია

„XX საუკუნეში ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრების ტრადიციული წესი შეინარჩუნეს, დასავლეთში მცხოვრებთათვის ეკზოტიკად იქცნენ. ინდიელებს, რომლებიც ცირკში კოვბოებთან ერთად გამოდიოდნენ, ყველა მალე მიეჩვია. აი კონგოს ან სურინამის სოფელი ევროპელებსა და ამერიკელებს რაღაც არაჩვეულებრივად წარმოუდგათ. არა მგონია, რომ ამგვარი ღონისძიებების ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ რასიზმის პროპაგანდას. **ეს იყო ამორალური კომერციული პროექტი“**, — აცხადებს მწერალი და ამერიკანისტი **მიხეილ ბელიატი**.

პუბლიცისტ **არმენ გასპარიანის** აზრით კი, „ადამიანების ზოოპარკები“ XX საუკუნის დასავლური საზოგადოებისთვის სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

**„იმავე წლებში ავსტრიასა და გერმანიაში რასისტული მოსაზრებებით ადამიანებს აიძულებდნენ, კბილის ჯაგრისებით ეწმინდათ ტროტუარები და შემდეგ კი კლავდნენ. ამ ფონზე „ადამიანების ზოოპარკი“ არ გამოიყურება ექსტრაორდინალურად. ე. წ. რასოლოგიამ XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიპყრო დასავლეთი — სხვა ხალხებს იქ არ თვლიდნენ თავიანთ თანასწორ ადამიანებად“,** — ხაზი გაუსვა ექსპერტმა.

გასპარიანს მიაჩნია, რომ დღეს სერიოზული საშიშროება არსებობს ამგვარი შეხედულებებისკენ სოციუმის გადახრის. „რასოლოგია არსად არ გამქრალა. უწინ ამაზე წერდნენ გაზეთები, დღეს კი ყველაფერი გაიოლდა — გაჩნდა ინტერნეტი. ამგვარ იდეებს ცოტა მომხრე როდი ჰყავს, ისინი წარმატებით ეწევიან თავიანთი შეხედულებების პროპაგანდას“, — აღნიშნავს ექსპერტი.

„დასავლეთს ყოველთვის ახასიათებდა „ცივილიზაციური რასიზმი“. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ჩვეულებრივ რასიზმზე, რომელიც აქცენტირებულია გარეგნულ გამოვლინებებზე, არამედ კონცენტრირებულია ფასეულობებზე. დასავლეთის წარმომადგენლები ცდილობენ, წარმოგვიდგინონ თავიანთი კერძო გამოცდილება უნივერსალურ მსოფლიო ცივილიზაციად, თავიანთი ისტორია — კაცობრიობის ისტორიად“, — ხაზგასმით აღნიშნავს არაკომერციული საერთაშორისო ფონდის „გეოპოლიტიკური ექსპერტიზების ცენტრის“ დირექტორი **ვალერი კოროვინი.**

**«დასავლეთს ყოველთვის ახასიათებდა «ცივილიზაციური რასიზმი». ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ჩვეულებრივ რასიზმზე, რომელიც აქცენტირებულია გარეგნულ გამოვლინებებზე, არამედ კონცენტრირებულია ფასეულობებზე. დასავლეთის წარმომადგენლები ცდილობენ, წარმოგვიდგინონ თავიანთი კერძო გამოცდილება უნივერსალურ მსოფლიო ცივილიზაციად, თავიანთი ისტორია — კაცობრიობის ისტორიად»**

**პედოფილების სექსუალური დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა საზოგადოებრიობას ეკისრება. როგორც ჩანს, ევროპაში პედოფილიისადმი „წარმოუდგენელიას“ ეტაპიდან „მოქმედ ნორმამდე“ ტრანსფორმაცია მეტისმეტად სწრაფად მიმდინარეობს.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ავსტრიაში მესამე სქესის არსებობა დაადასტურეს

**ვენაში კონსტიტუციურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოქალაქეებს უფლება უნდა მისცეს, ოფიციალურ საბუთებში სურვილისამებრ ჩაწერონ, რომ მიეკუთვნებიან მესამე სქესს. ამის თაობაზე იუწყება სააგენტო AP-ი.**

ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ერთ-ერთი მოქალაქის სარჩელის განხილვის შედეგად. იგი მოითხოვდა, ნება დაერთოთ, გრაფაში „სქესი“ ჩაეწერა „სხვა“ ან „ინტერი“. „ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ მაღიარებენ იმად, ვინც ვარ“, — განაცხადა მან ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ.

ამ გადაწყვეტილებას მიესალმა რიგი ოპოზიციური პარტიებისა, მაგრამ მემარჯვენე ავსტრიის პოპულისტურმა თავისუფლების პარტიამ, რომელიც სამთავრობო კოალიციაში შედის, გააკრიტიკა იგი და გაუგებარი უწოდა. მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება მრავალი პრობლემის წარმოქმნის მიზეზი გახდება, მათ შორის — სამხედრო სამსახურისა და საპენსიო ასაკის საკითხებში.

ევროკავშირის პირველი ქვეყანა, რომელმაც მესამე სქესი აღიარა, იყო გერმანია.






## რეკორდების ცვენა

**შაპიტო ცნობილია — მოგზაური ცირკი, მსოფლიოს მოდებული, მოხეტიალე, მომთაბარე.**

**მოხეტიალე აღლუმი ნოვაციაა. და ავტორობა ლგბტთემის რუსეთის ანასხლეტ ჯგუფს — „მაქსიმუმს“ ეკუთვნის, რომელიც თავის გეიაღლუმებს, რუსეთის ნაცვლად, ნორვეგიის საზღვრისპირა პატარა ქალაქ კირკენსში ატარებს.**

ჩაატარებენ, ჩაივლიან და წინ, შარშანდელივით, იქაურ მერს **რუნე რაფაელსონს** იწინამძღვრებენ.

ამ „მასობრივი აღლუმის“ რეკორდი 250 მონაწილეს ითვლის — მიღწევაა საოცარი!

უხარიათ მამათმავლებს, ლესბოსელებს, ტრანსგენდერებს და კიდევ — „ვინ მოდის მანდ, მომავლიდან“ — იმათაც და ყველაფერს აკეთებენ, ერთი-ორი არსებაც რომ შემოიმატონ, მაღლა ასწიონ თამასა.

პროვინციული წაპოტინება ცენტრის მიღწევებისკენ ამ ორიენტაციარეულებისთვისაც უცხო არ არის.

ცენტრში რა ხდება?

ლონდონში, მაგალითად, წლეულს, 8 ივლისს, გამართულ გეიაღლუმზე 30 ათასი მონაწილე „გაიჩითა“, სანახავად მილიონი მივიდა. ბი-ბი-სის ცნობით, გამოცუნცულებულ კოლონებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი პოლიციელების კოლონა იყო — 150-მა სტოკლანდიარდელმა არ დამალა თავისი სექსდამთხვეულობა. ესეც თურმე რეკორდია.

ხარობს გაპედერასტებული ევროპა.

# სატანისტური უფსკრული: ევროპაში პედოფილიის ლეგალიზაციისკენ მიჰყავთ საქმე



**„ევროპულმა ტოლერანტობამ“ ყველა ზღვარს გადააბიჯა და სატანისტურ უფსკრულში გადაიჩეხა.**

ჰოლანდიაში ოფიციალურად არსებობს „მოწყალების, თავისუფლებისა და მრავალფეროვნების პარტია“ (PNVD), რომელიც სამმა პედოფილმა ჩამოაყალიბა. ისინი მოითხოვდნენ სექსუალური კავშირის დამყარებაზე დათანხმების ასაკის 16-დან 12 წლამდე შემცირებას, ბავშვთა პორნოგრაფიის ლეგალიზებასა და ცხოველებთან სექსის ოფიციალურად დაშვებას.

ჰოლანდიის სასამართლომაც აიღო და, საზოგადოებრივი აღშფოთებისა და უამრავი საპროტესტო სარჩელის საწინააღმდეგოდ, უარყო ამ პარტიის აკრძალვა. მოსამართლემ დაადგინა, რომ აღნიშნულ პარტიას არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორიც ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ პარტიას.

შემდეგ — უარესი: 20 ივნისს გამოქვეყნდა ტელეარხ TED-ის საგანმანათლებლო პროგრამის ვიდეოჩანაწერი, რომლის ძირითადი აქცენტები იყო შემდეგი:

— პედოფილებიც ადამიანები არიან. ეს დანაშაული კი არ არის, არამედ სექსუალური ორიენტაციაა.

— პედოფილი პასუხს არ აგებს თავის გრძნობებზე. იგი დამნაშავე არ არის.

— ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ სხვის სექსუალურ ორიენტაციას.

— პედოფილებს არ უნდა გავუძლიეროთ ტანჯვა ჩვენი დაცინვით, განკითხვითა და დევნით.

— უნდა გავარჩიოთ განსხვავება პედოფილიასა და ბავშვებზე სექსუალურ ძალადობას შორის. ძალადობა ცუდია. პედოფილია კარგია და ნორმალური.

— ბავშვებზე სექსუალური ძალადობა პედოფილის ფაქიზი სულის სისუსტის შედეგია, რადგან პედოფილს არ ძალუძს, ღიად ილაპარაკოს საკუთარ ორიენტაციაზე. ამას ემატება მუდმივი სოციალური წნეხი: „საწყალ“ პედოფილს პლაჟზე ნორმალურად გამოჩენაც კი უჭირს — იქ ბავშვები არიან და ყველას საბანაო კოსტიუმები აცვია.

— პედოფილების სექსუალური დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა საზოგადოებრიობას ეკისრება.

როგორც ჩანს, ევროპაში პედოფილიისადმი „წარმოუდგენელიას“ ეტაპიდან „მოქმედ ნორმამდე“ ტრანსფორმაცია მეტისმეტად სწრაფად მიმდინარეობს.



## ხანდაზმული მოძალადე

**77 წლის სექსმოძალადე მამაკაცი დააპატიმრეს და ბრალიც წაუყენეს. დანაშაულის ჩადენის მომენტში მისი მსხვერპლი 9 წლისა იყო.**

გაზეთი Houston იუწყება, რომ აშშ-ში დააპატიმრეს ტეხასის შტატში მცხოვრები **ჯეიმს ბერი**, რომელსაც კომპიუტერში უპოვეს არასრულწლოვანთან სექსუალური აქტის ჩანაწერი. ბერიმ თავისი კომპიუტერი შესაკეთებლად მიიტანა. ხელოსნებმა შენიშნეს შიშველი გოგონას ჩანაწერი და ადგილობრივ პოლიციეს შეატყობინეს, პოლიციელებმა კი სოციალური სამსახურის თანამშრომლებს მიმართეს. გაირკვა, რომ გოგონა ამჟამად ოკლაჰომაში ცხოვრობს. სექსუალური ძალადობის შესახებ მან ადგილობრივ ხელისუფალთ აცნობა. ძალადობა, სავარაუდოდ, 2016 წლის იანვარში განხორციელდა.

# ავსტრალიელმა სპეცრაზმელებმა ინვალიდი მოკლეს და მისი პროთეზიდან ლუდის დასალევი თასი გააკეთეს



**The Independent იუწყება, რომ ფარდა ეხდება სულ ახალ დანაშაულებრივ ფაქტებს, რომლებსაც ავღანეთში ავსტრალიელი სამხედროები ჩადიოდნენ.**

მაგალითად, სპეციალური ავიასადესანტო სამსახურის ელიტური პოლკის მებრძოლები ხვრეტდნენ უიარაღო ტყვეებს. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ავღანელი ტყვე სიცოცხლეს გამოასალმეს და მისი ფეხის პროთეზი ლუდის სასმელ თასად გამოიყენეს. გამოცემა იუწყება, რომ ეს არ იყო ერთადერთი დანაშაული, რომელიც ჩადენილი აქვთ ავიასადესანტო სამსახურის „უმართავ“ მებრძოლებს.

ინციდენტი მოხდა 2009 წელს პროვინცია ურუზგანში.

გამჟღავნდა სხვა ფაქტებიც, რომლებიც დაკავშირებული იყო „სისხლის დაღვრის“ რიტუალთან. ახალწვეულებს აიძულებდნენ, მოეკლათ უმწეო ტყვეები. ასე მოკლეს ის ცალფეხა ავღანელი, რომლის პროთეზი სუვენირად წაიღეს. მოკლულს ბრალად ედებოდა „თალიბანთან“ ურთიერთობა, მაგრამ იმ მომენტში არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ჯარისკაცს, რომელმაც ინვალიდი დახვრიტა, 2012 წელს სოფელ დარვანში დატყვევებული სხვა ავღანელის მკვლელობასაც მიაწერენ.

გამოცემა განმარტავს, რომ ყველა ეს ფაქტი გამოააშკარავა ავსტრალიურმა მედიაკომპანია Fairfax Media-მ, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში იკვლევდა ავსტრალიური სამხედრო კონტინგენტის მიერ ჩადენილ დაშაულობებს.

The Independent-ი მკითხველების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ წინა დღით ეს ელიტური ქვედანაყოფი გააკრიტიკა სახელმწიფოს პრემიერმინისტრმა **მალკოლმ ტერნბულმა.** ამის მიზეზი იყო მედიაში გამოქვეყნებული ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ავსტრალიური სპეცრაზმის მანქანაზე აფრიალებული ნაცისტური დროშა.

„ავსტრალიის თავდაცვის ასოციაციის“ ანალიტიკური ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა **ნილ ჯეიმსმა** მიიჩნია, რომ ეს შემთხვევა უფრო ხუმრობაა, ვიდრე იდეოლოგიის დემონსტრაცია. მან თქვა, რომ ამ დროშის აღმართვა ხაკისფერი ჯიპის თავზე „მოკლებულია ყოველგვარ აზრს, როგორც ტაქტიკური, ისე პროფესიული თვალსაზრისით“.

მაგრამ ფინდერის უნივერსიტეტის ექსპერტი და ყოფილი სამხედრო გამომძიებელი **ბენ უოლდემი** ამტკიცებს, რომ ავსტრალიის არმიაში უწინაც იყო ჯარისკაცების მიერ ნაცისტებისადმი სიმპათიის გამოხატვის ფაქტები.

**„ამ დროშის დემონსტრაცია ავღანეთში სახელს უტეხს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და იმათაც, ვინც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა“,** — ხაზს უსვამს იგი.

კულტურული ექსპანსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიუკენენი აღნიშნავს: „ამერიკული მასმედია კულტურათა შორის ბრძოლაში იარაღად იქცა და ყველაზე საიმედო ხერხად მოგვევლინა ახალგაზრდების გამოსათაყვანებლად. წარსულში საზოგადოებრივი სიმტკიცე წიგნებისა და სიტყვების მეშვეობით ემხობოდა, მაგრამ მარკუზე დარწმუნებული იყო, რომ სექსი და ნარკოტიკები ბევრად უფრო მოქმედი იარაღია. საკუთარ წიგნში „ეროსი და ცივილიზაცია“ მან უკვე საკმაოდ ცნობილი ლოზუნგი წამოყენა: სიყვარულით დაკავდით და არა ომით. ახალი მარქსისტებისთვის უმთავრესი მიზანი ოჯახის ინსტიტუტის განადგურება იყო, რასაც დიქტატურის მაგალითად, შოვინიზმისა და სოციალური უთანასწორობის ინკუბატორად განიხილავდნენ“.**

# ამერიკული «კულტურული იმპერიალიზმი»



**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკული კულტურული ექსპორტის პრობლებამ აკადემიურ წრეებში ფართო დისკუსიები გამოიწვია. გერმანელი მკვლევარის — გინოუ ჰეხტის (Gienow-Hecht) აზრით, აღნიშნულმა დისკურსმა თავის განვითარებაში 3 თანმიმდევრული ფაზა გაიარა. პირველი ფაზის არსი „ცივი ომის“ თეორიტიკოსების უკმაყოფილების გამოხატვაში მდგომარეობდა, ამერიკული ხელისუფლების მხრიდან დაუინტერესებლობის გამო, აქტიური კულტურული პოლიტიკის გატასატარებლად. შემდგომ გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის თანახმად კულტურული იმპერიალიზმის კრიტიკოსები ამერიკული კულტურის ექსპორტს გლობალური ეკონომიკური ექსპანსიისა და ექსპლუატაციის ფარულ ინსტრუმენტად მიიჩნევდნენ. საბოლოოდ მეცნიერებმა, რომლებიც საწინააღმდეგო აზრზე იყვნენ, სავსებით უარყვეს კულტურული იმპერიალიზმის კონცეფცია და მიიჩნევენ, რომ გარე კულტურული ზემოქმედების წინააღმდეგობის გაწევა ამცირებს ან შეუძლებელს ხდის კულტურული პროდუქციის იმპორტს.**

დისკუსიის შინაარსი განსახილველი საკითხების ჩარჩოებს გაცდა. კამათი, რომელიც პოლიტიკური რაკურსით დაიწყო, დროთა განმავლობაში მეცნიერულ დისკუსიაში გადაიზარდა კულტურის, როგორც ძალისა და ზეგავლენის ინსტრუმენტის, განხილვისკენ. ავტორების მიერ ხშირად გამოყენებული სიტყვათაწყობა „კულტურული იმპერიალიზმი“ გარკვეულ ფასეულობათა პარადიგმის დომინირების გლობალურ იდეას წარმოადგენდა. მსგავსი მიდგომა ახლოსაა ნეომარქსიზმთან, რომლის თანახმად მოდელირება „ცენტრი-პერიფერიის“ კატეგორიით ხდება:

დასავლური კულტურა განიხილებოდა, როგორც „ჩრდილოელი ქვეყნების შეჭრის ინსტრუმენტი განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების დამარცხების მიზნით“.

1960-იან წლებში აშშ-ის ინტელექტუალური ელიტა კარდინალურად ცვლის ქვეყნის საგარეო კულტურული პოლიტიკის შეფასებას და მის შედეგებს. როგორც ჰოლენდერი (Hollander) აღნიშნავს, ეს ათწლეული გამოირჩეოდა ანტიამერიკული განწყობების ძლიერი ზრდით აშშ-ის შიგნით, რომლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ზიზღი ამერიკული კულტურის და მისი გავლენის საზღვარგარეთ გავრცელების მიმართ.

1960-იანი წლების ამერიკელი საზოგადოებისთვის მიუღებელი ხდება აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გავლენის მოპოვების იმპერიალისტური ზრახვები. მეტწილად ეს დაკავშირებული იყო ამერიკულ აგრესიასთან ვიეტნამის წინააღმდეგ და მისწრაფებასთან — გაეფართოებინათ გავლენის არეალი საბჭოთა კავშირთან დაპირისპირების პერიოდში. აღნიშნულ ისტორიულ კონტექსტში ამერიკელი მეცნიერების წრეში ჩნდება და აქტიურად მკვიდრდება ტერმინი ამერიკული „კულტურული იმპერიალიზმი“ და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

მაგრამ ეს თემა სიახლეს არ წარმოადგენდა. კონსერვატორი ევროპელები დიდი ხნის განმავლობაში სერიოზულ საფრთხეს გრძნობდნენ ამერიკული მასკულტურის მხრიდან. 1920-იან წლებში ბრიტანელი მწერალი დევიდ ლოურენსი (Lawrence) ააშკარავებდა ამერიკულ მატერიალიზმს, ცრუ მორალიზმს და ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითშეგნების არარსებობას; გერმანელი ჰალფელდი (Halfeld), თავის მხრივ, ასევე უარყოფდა ამერიკულ ცივილიზაციას მისი უსულო კულტურის გამო. **1940-50-იან წლებში მემარცხენე იდეების მქონე ევროპელები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ამერიკული გავლენის გავრცელების გამო როგორც პოლიტიკაში, ასევე კულტურისა და ხელოვნების სფეროებში. ფრანკფურტის სკოლამ უმთავრესი როლი ითამაშა აშშ-ში „ახალი მემარცხენეების“ თეორიული ფუნდამენტის უზრუნველყოფაში.**

პატრიკ ბიუკენენი თავის ყველაზე გახმაურებულ წიგნში „დასავლეთის სიკვდილი“ კრიტიკას „ახალი მემარცხენეების“ წინააღმდეგ მიმართავს, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე ამერიკული საზოგადოების მორალურ, სოციალურ-პოლიტიკურ და ეთნოკონფესიურ ასპექტებზე და აქედან გამომდინარე სუბიექტურ დასკვნებზე.

**პატრიკ ბიუკენენი აღნიშნავს: „ამერიკული მასმედია კულტურათა შორის ბრძოლაში იარაღად იქცა და ყველაზე საიმედო ხერხად მოგვევლინა ახალგაზრდების გამოსათაყვანებლად. წარსულში საზოგადოებრივი სიმტკიცე წიგნებისა და სიტყვების მეშვეობით ემხობოდა, მაგრამ მარკუზე დარწმუნებული იყო, რომ სექსი და ნარკოტიკები ბევრად უფრო მოქმედი იარაღია. საკუთარ წიგნში „ეროსი და ცივილიზაცია“ მან უკვე საკმაოდ ცნობილი ლოზუნგი წამოყენა: სიყვარულით დაკავდით და არა ომით. ახალი მარქსისტებისთვის უმთავრესი მიზანი ოჯახის ინსტიტუტის განადგურება იყო, რასაც დიქტატურის მაგალითად, შოვინიზმისა და სოციალური უთანასწორობის ინკუბატორად განიხილავდნენ“.**

აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ კულტურული იმპერიალიზმის კონცეფცია არ გულისხმობს რაიმე განსაზღვრული კრიტერიუმების არსებობას, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა მისი იდენტიფიცირება, მაგრამ **კულტურული იმპერიალიზმის შესახებ აკადემიურ დისკუსიებში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიმართულების გამოყოფა: მედია-იმპერიალიზმის დისკურსი, ერთი სახელმწიფოს მსოფლიო ჰეგემონია, დისკუსია კაპიტალიზმის გლობალურ დომინირებაზე და თანამედროვეობაზე.**



პატრიკ ბიუკენენი





## მედია იმპერიალიზმი

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მედია, ერთი მხრივ, ამერიკული კულტურის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს; ხოლო, მეორე მხრივ, — თანამედროვე ამერიკული კულტურის ბოროტებას, რადგან სწორედ ის ქმნის გამოუვალ სიტუაციას. **ამერიკული კულტურა საკუთარი თავის ტყვე ხდება, მედიის მიერ კულტურული და სხვა ტენდენციების გავრცლების შედეგად ამერიკული კულტურა იძულებულია, წინასწარ შეთანხმებული წესებით ითამაშოს, რასაც ბაზრის კონიუნქტურა ეწოდება.**

ასე თუ ისე, შესაძლებელია, კულტურული იმპერიალიზმის აპოლოგეტებს დავეთანხმოთ, რომ კულტურული პოლიტიკის ის სეგმენტი, რომლის რეალიზებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება, თავიდან ბოლომდე პასუხობს მედია მაგნატების ინტერესებს, რომლებიც აკონტროლობენ ამა თუ იმ მედიას.

სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხდება საზოგადოებრივ აზრზე წინასწარ დაგეგმილი და შემუშავებული მანიპულაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.



„მედია-იმპერიალიზმის“ კონცეფციამ საკმაოდ სწრაფად მონახა მხარდამჭერები ამერიკელ მეცნიერებს შორის. უოტერგეიტის სკანდალმა, რომელიც რიჩარდ ნიქსონის წინაასარჩევნო კამპანიასთან იყო დაკავშირებული, იმ ეჭვის პროვოცირება მოახდინა, რომლის თანახმად არსებობდა ფარული კავშირი აშშ-ის ხელისუფლებასა და მედიას შორის. ასევე აშკარა გახდა აღმასრულებელი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების გადაჭარბების მცდელობები. ამერიკული მედიამკვლევარისა და სოციოლოგის — ჰერბერტ შილერის ნაშრომებში ვხვდებით მჭიდრო კავშირის ფაქტებს, ერთი მხრივ, აშშ-ის უმაღლეს და ბიზნეს ეშელონებს, სამხედროებსა და მთავრობის წევრებს შორის — ე.წ. გონების მანიპულატორებს შორის, ხოლო მეორე მხრივ — წამყვანი ამერიკული მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს შორის. შილერის მიხედვით, ამ ორ ძალას შორის არსებობს ფარული ურთიერთკავშირი, რომელიც დაფუძნებულია საიდუმლო შეთანხმებაზე, რომლის მიზანია ადამიანებით მანიპულაცია როგორც ქვეყანაში, ასევე მის გარეთ.

ამერიკელები, კერძოდ ჯოზეფ ნაი და ზბიგნევ ბჟეზინსკი აშშ-ის „ცივ ომში“ გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად აშშ-ის დომინირებასა და მიმზიდველობას ასახელებენ პოპ-კულტურის დონეზე. ზემოხსენებული ამერიკელი ინტელექტუალების აზრით, მასკულტურის სათავისოდ გამოყენება აშშ-ს დაეხმარა საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევაში. მაგალითისთვის საკმარისი იქნება მხოლოდ 2 მომენტის დასახელება: „ევროპის დემოკრატიული რეკონსტრუქცია“ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ და „ცივ ომში“ გამარჯვება. ჯოზეფ ნაი შემდეგნაირად აყალიბებს საკუთარ აზრს: „საბჭოთა კავშირს გააჩნდა მნიშვნელოვანი სამხედრო პოტენციალი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, დასავლეთ ევროპას დამუქრებოდა, მაგრამ ადრეულ ომისშემდგომ პერიოდში მას „რბილი ძალის“ საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსებიც გააჩნდა, რაც კომუნისტური იდეოლოგიის მომხიბვლელობასთან და საბჭოთა კავშირის გამარჯვებასთან იყო დაკავშირებული ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ.

მაგრამ შემდგომ წლებში მან საკმაოდ იზარალა საკუთარ ქვეყანასა და აღმოსავლეთ ევროპაში რეპრესიების და სულელური ეკონომიკური პოლიტიკის გამო (თუმცა მისი სამხედრო პოტენციალი იზრდებოდა). საბჭოთა კავშირის მიერ მართულმა პროპაგანდამ და კულტურულმა პროგრამებმა ვერ გაუწია კონკურენცია ამერიკულ კომერციულ პოპ-კულტურას თავისი მოქნილობითა და მიმზიდველობით. დანგრევამდე დიდი ხნით ადრე დასავლური ტელევიზიებისა და დასავლური ფილმების მიერ ბერლინის კედელში საკმაო რაოდენობით ხვრელები გაჩნდა. ჩაქუჩი და ბულდოზერები თავის საქმეს ვერ გააკეთებდნენ, რომ არა დიდი ხნის განმავლობაში დასავლეთის პოპ-კულტურის იმიჯის ტრანსლირება“.

**შეგვიძლია დავეთანხმოთ „კულტურული იმპერიალიზმის“ არსებობას ან უარვყოთ ის, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩება — ამერიკული საგარეო კულტურული ექსპანსია, რომელიც ამერიკელთა ოფიციალური და არაოფიციალური საგარეო კულტურული პოლიტიკის ნაწილია, საერთოდ არ დასუსტებულა და დღესაც გვევლინება ამერიკული გავლენებისა და ნაციონალური ინტერესების (ასევე ამერიკული მსხვილი ბიზნესის ინტერესების) გავრცელების ინსტრუმენტად.** რა გავლენას ახდენს ის სხვადასხვა დამოკიდებელი ქვეყნების და მათში არსებული საზოგადოების ფორმირებასა და შემდგომ განვითარებაზე, კარგად ჩანს თუნდაც საქართველოს მაგალითზეც.

არც თუ ისე შორეულ წარსულში გაჩნდა სპეციალური ტერმინი — **ვესტერნიზაცია** (გულისხმობს ეროვნული ცხოვრების გადაყვანას დასავლურ რელსებზე. მსგავსი განმარტება აქვს ამ ტერმინს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც), რაც კულტურული იმპერიალიზმის მიერ მოტანილ შედეგს გულისხმობს.

**POLITICANO**

**უკვე ცნობილია, რომ რუსეთის მხარემ კორეელ პარტნიორებს შესთავაზა სამმხრივი შეხვედრის გამართვა. სააგენტო RT იუწყება, რომ ვლადიმერ პუტინისა და მისი სამხრეთკორეელი კოლეგის — მუნ ჩჟე ინის თანდასწრებით კრემლში ხელი მოაწერეს ტრასციმბირის მაგისტრალისა და ტრანსკორეის რკინიგზის ინტეგრაციის პროექტს.**

მსოფლიოს ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რკინიგზა, როგორც ინტეგრაციის ინსტრუმენტი, კორეის ნახევარკუნძულისთვის



**უზარმაზარ ევრაზიულ კონტინენტზე არის ერთი წერტილი. სწორედ იქ მწიფდება ახალი სტრატეგიული გარღვევა, რომელსაც მსოფლიო გლობალურ პროცესებზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია. რუსეთი (ჩინეთთან ერთად) სისხლხორცეულად არის დაინტერესებული, რომ, ინტეგრაცია თუ არა, კეთილმეზობლური დამოკიდებულება მაინც დამყარდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მაქსიმალურად მოკლე დროში.**

ახლახან რუსეთისა და სამხრეთ კორეის რკინიგზებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს ევროპაში გადაზიდვების ორგანიზაციის პირობების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ტრანსკორეისა და ტრანსციმბირის პროექტს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობით. ცხადია, რომ ეს პროექტი ორივე კორეისთვის მომგებიანი იქნება: ისინი, მინიმუმ, მიიღებენ აზიიდან ევროპაში კონტეინური გადაზიდვების საერთო სახმელეთო დერეფანს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რუსეთიდან უშუალოდ ნახევარკუნძულზე იმპორტირებისთვის. ამას დაემატება სასოფლო-სამეურნეო და ხეტყის პროდუქცია, ლითონი და ლითონკონსტრუქციები, პლუს ქვანახშირი.

**კორეელებს რუსეთში ბევრი რამ აინტერესებთ, მათ შორის, ევრაზიული ბაზრები თავიანთი წარმოებული საქონლის გასასალებლად.** შემთხვევითი არ იყო, რომ სამხრეთ კორეა წლეუს, ივნისში, ბიშკეკში გამართულ შეხვედრაზე რკინიგზების კავშირის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი გახდა. ეს მას საშუალებას მისცემს, სამართლებრივ რეჟიმში თავისი სარკინიგზო მაგისტრალები შეუერთოს ტრანსსიბს კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით.

**საინტერესო გეგმები აქვს „გაზპრომსაც“, რომელიც ითვალისწინებს გაზსადენის გაყვანას სამხრეთ კორეაში ჩრდილოეთ კორეის გავლით. ამ შემთხვევაში ნახევარკუნძული რუსეთთან ერთად ერთიან ენერგოპლატფორმად ჩამოყალიბდება. ასეთ პროექტს მხარს დაუჭერს ჩინეთიც, რადგან ენერგეტიკული კუთხით სამხრეთ კორეა, მინიმუმ, ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებს რეგიონის მოწყობის რუსეთ-ჩინეთის პროექტის მიმართ.**

უკვე ცნობილია, რომ რუსეთის მხარემ კორეელ პარტნიორებს შესთავაზა სამმხრივი შეხვედრის გამართვა. სააგენტო RT იუწყება, რომ **ვლადიმერ პუტინისა** და მისი სამხრეთკორეელი კოლეგის — **მუნ ჩჟე ინის** თანდასწრებით კრემლში ხელი მოაწერეს ტრასციმბირის მაგისტრალისა და ტრანსკორეის რკინიგზის ინტეგრაციის პროექტს.



# ანატოლი პეშკო: უკრაინას ხურდა ფულად გადააქცევენ ტრამპისა და პუტინის მოლაპარაკებისას

## კიევში განაცხადეს, რომ უკრაინელებს სასიხარულო არაფერი აქვთ

**უკრაინამ არც რაიმე იმედები არ უნდა დაამყაროს და არც ილუზიები არ უნდა შეიქმნას ტრამპისა და პუტინის მოსალოდნელ შეხვედრაზე. რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს — ვლადიმერ პუტინსა და დონალდ ტრამპს 16 ივლისს ჰელსინკში დაგეგმილ შეხვედრაზე უკრაინის საკითხზე ბევრად მნიშვნელოვან თემებზე ექნებათ სალაპარაკო. ამის შესახებ უკრაინის ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ანატოლი პეშკომ კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

პეშკოს აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ისედაც ბევრი პრობლემა აქვს, უკრაინაზე არ იფიქროს, მაგრამ, თუკი მართლაც იქნება პუტინსა და ტრამპს შორის უკრაინაზე საუბარი, „უკრაინას ხურდა ფულად გადააქცევენ ტრამპისა და პუტინის მოლაპარაკებისას“, რათა შეძლონ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. ამიტომ არ ღირს, უკრაინელებს ამ შეხვედრის დიდი იმედი ჰქონდეთ. „ასე რომ, უკრაინელებს სასიხარულო არაფერი გაქვთ,

ნუ უჯერებთ უკრაინულ მასმედიას,“ — განაცხადა ანატოლი პეშკომ პრესკონფერენციაზე.

# «დასავლელი პარტნიორების» «გულწრფელობა» და ფარისევლობა



**უკრაინელმა ჟურნალისტმა დიმიტრი გორდონმა (სხვათა შორის, ცნობილმა რუსოფობმა და სააკაშვილის თანამოაზრემ) ამა წლის 6 ივლისს საინტერესო კომენტარი გააკეთა ტრამპი-პუტინის მოსალოდნელ შეხვედრაზე. მის ნათქვამს საინფორმაციო სააგენტო „ხარკოვი“ (nahnews.org ) ავრცელებს.**

აი, რა თქვა გორდონმა: „ტრამპისა და პუტინის შეხვედრიდან უკრაინა კარგს არაფერს არ უნდა ელოდოს. გვეყოფა სულ ვიღაცის ფარვატერში ყოფნა (ალბათ ევროპა — ამერიკას გულისხმობს). ჩვენ ჩვენი ძლიერი ეკონომიკა უნდა ვაშენოთ და მხოლოდ ჩვენს ინტერესებს უნდა ვითვალისწინებდეთ...

მგონია, ტრამპი და პუტინი დიდ გარიგებას დადებენ უკრაინის თაობაზე, მაგრამ უკრაინა ამაზე არასოდეს არ წავა... ტურჩინოვმა (უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი, მანამდე — პარლამენტის თავმჯდომარე) პირადად მითხრა, როგორ ურეკავდნენ მუდმივად დასავლელი პარტნიორები და ეუბნებოდნენ, რომ ნუ იბრძვიან ყირიმისთვის. **იმავეს მეუბნებოდა ადრე სააკაშვილიც, რომ მასაც ურეკავდნენ ამერიკელები და ევროპელები და კატეგორიულად მოითხოვდნენ, არ ებრძოლა და მიეცა რუსებისთვის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. გაუშვი, წაილონო, ეუბნებოდნენ...“**

„დონბასის ძალით გათავისუფლება შეუძლებელია... ვთვლი, რომ საამისოდ საჭიროა პუტინთან შეხვედრა.. ერთიერთზე უნდა ველაპარაკოთ... გავიგოთ, რა უნდა პუტინს, ვუთხრათ, რა გვინდა ჩვენ. მართალია, არ მგონია, აქედან რამე გამოვიდეს, მაგრამ ესეთი შანსი უნდა გამოვიყენოთ... ჩვენ უკრაინაში მბრწყინავი ეკონომიკა უნდა შევქმნათ, რომ ჩვენგან კი არ გარბოდნენ, ყველა აქეთ მოისწრაფვოდეს. აი, მაშინ ყველაფერს დავიბრუნებთ“, — ასკვნის გორდონი.

**რედაქციისგან: ისღა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ მწარე რეალობამ ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთ გააფთრებულ რუსოფობსაც კი აუხილა თვალი, ოღონდ ეს უკრაინაში. ნეტავ, ჩვენთან თუ გაახელენ თვალს?**

**და კიდევ: გორდონის ნათქვამი კიდევ ერთხელ ნათელს ჰფენს ვითომ ჩვენი კეთილმოსურნე ევროპა-ამერიკის ნამდვილ სახეს, გვიჩვენებს, რამდენად ორპირი და ფლიდები არიან ჩვენი დასავლელი „პარტნიორები“.**

# მორიგი განხეთქილება ნატო-ევროკავშირში

## ფული ჩვენ თვითონ ვაკეთოთ, რაღა ამერიკელებს მივცეთ, — ასე მსჯელობენ ევროდეპუტატები



**ივლისის დასაწყისში ევროპარლამენტის დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ევროკავშირის 500 მლნ ევროს მოცულობის ფონდის შექმნას, რომელიც ევროკავშირის თავდაცვითი პროექტების დასაფინანსებლად უნდა გამოიყენონ.**

ევროდეპუტატებს განზრახული აქვთ, 2019-2020 წლებში თავდაცვითი პროგრამის ფარგლებში ამ ფონდიდან დააფინანსონ ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების წარმოება-განვითარება, რათა გაიზარდოს ევროკავშირის დამოუკიდებლობა (წაიკითხე: აშშ-ისგან და ნატო-სგან, რომლის ბიუჯეტის დაფინანსებას ტრამპი დაჟინებით მოითხოვს ევროპის ქვეყნებისგან).

ალსანიშნავია, რომ ამ ფონდს შევსება სჭირდება, ამიტომ ცალკე საკამათო თემაა ევროპარლამენტში, — რომელმა ქვეყანამ რამდენი უნდა შეიტანოს და რისთვისაა საჭირო ამხელა ხარჯები. ამასთანავე, თვით თავდაცვის პროგრამა მხოლოდ ზერელე მონახაზის სახით არსებობს, მაგრამ მისთვის ბიუჯეტიც გაამზადეს და ხარჯვის პროგრამასაც ადგენენ. ევროკავშირში ბოროტი ენები ხუმრობენ, რომ ევროდეპუტატები ცდილობენ, მანდატის ამოწურვამდე მოასწრონ მათ უკან მდგარი კორპორაციებისთვის მსუყე სამხედრო შეკვეთების განაწილება, რათა თვითონაც მოითბონ ხელი.

russian.rt.com

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ამერიკას გერმანიიდან თავისი ჯარები გაჰყავს



**29 ივნისს გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა ანალიტიკური სტატია, რომელშიც თითქმის სენსაციურ ამბავზე მოგვითხრობს. აღმოჩნდა, რომ ამერიკის თავდაცვის უწყებამ დაიწყო გერმანიიდან ჯარების გამოყვანის გეგმების შედგენა და საამისო ფინანსური გაანგარიშებების წარმოება.**

საგულისხმოა, რომ პენტაგონის ოფიციალური პირები ამ ფაქტს კი არ უარყოფენ, არამედ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტზე საუბრობენ.

ცნობილია, რომ ტრამპი ევროპას და მათ შორის, გერმანიასაც, სამხედრო ხარჯების გაზრდას სთხოვს, რომელიც ნატოს ბიუჯეტში უნდა წავიდეს. გინდათ, ამერიკამ დაგიცვათ? ამაში ფული გადაიხადეთ! – ეს ტრამპის ჯერ კიდევ წინასაარჩევნო ლოზუნგია და ის ასრულებს თავის დაპირებას. ნატოს შეიარაღებაც და სამეთაურო-სახელმძღვანელო კადრებიც 80%-ით ამერიკულია და ამდენად, ტრამპის მოთხოვნა გასაგებია — გაზრდილი სამხედრო ხარჯები, უპირველესად, ამერიკულ კომპანიებსა და ამერიკელ სახელმწიფო მოხელეებს მოუტანს მოგებას.

გერმანია კი სხვაგვარად ფიქრობს – ის უარზეა, გაზარდოს შენატანები ნატოს ბიუჯეტში. სამხედრო ხარჯებს კი გაზრდის, მაგრამ ამ ფულს, პირველ რიგში, საკუთარი წარმოების სამხედრო ინვენტარისა და ტექნიკის განახლებაზე ფიქრობს, რომ დახარჯოს, ამერიკელებს ამ ფულიდან არაფერი არ შეხვდებათ.

ამას გარდა, გერმანია მის ტერიტორიაზე განლაგებული ამერიკის სამხედრო კონტინგენტის შესანახად მხოლოდ მესამედს ხარჯავს და ისიც ნატურით – ისევ და ისევ საამისოდ საჭირო ფულს სათავისოდ ხარჯავს და ამერიკელებს არაფერს არ აძლევს.

გერმანიას არც ევროკავშირი ჩამორჩა და, ნატოს ბიუჯეტის გაზრდის ნაცვლად, საკუთარი, ნატოსგან სრულიად დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე დაიწყო საუბარი. ასეთი სამხედრო ძალების შექმნა რომ თითქმის დაუძლეველი თავის ტკივილია ევროპისთვის, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ გადაუჭრელი პრობლემები აშშ-ნატო-ევროკავშირს შორის რომ სულ უფრო ღმავდება, ესეც აშკარაა.

ითხოვს, მაგრამ ვერ იღებს. პენტაგონმა დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეინარჩუნოს სახე და გერმანიაში განთავსებული თავისი ბაზისთვის ახალი დისლოკაციის ადგილს ეძებს. აულო რა ალღო შექმნილ სიტუაციას, პოლონეთმა ამერიკას შესთავაზა, მათთან განათავსოს სამხედრო ბაზა. პოლონელების გათვლა მარტივია: ბაზის შესანახი უზარმაზარი თანხა, გერმანიის ნაცვლად, ახლა პოლონეთში დაიხარჯებოდა. პოლონელებს ხელს აძლევს ეს ვარიანტი, მაგრამ ამერიკელებს უნდათ ფული, ამიტომ პოლონეთს უარი უთხრეს. პენტაგონმაც დაიწყო გერმანიიდან ჯარების გაყვანის ტექნიკური და ფინანსური გაანგარიშება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ, როცა სამხედრო ბაზების შექმნაზე ან გაყვანაზეა საუბარი, იქ ფინანსები მხოლოდ ტექნიკური საკითხია, მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებებია. სამხედრო ბაზა წარმოადგენს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების რეალიზაციის ძალისმიერი უზრუნველყოფის ინსტრუმენტს და, თუ არსებობს პოლიტიკური გადაწყვეტილება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საამისო ფულიც მოიძებნება. ამიტომ, **როცა პენტაგონი ლაპარაკობს გერმანიიდან (და მაშასადამე, ევროპიდან) სამხედრო ბაზების გაყვანაზე, ამას პოლიტიკური გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად. ამერიკელების გადაწყვეტილება — წავიდეს ევროპიდან, მოასწავებს იმას, რომ ძველი მსოფლიო და ძველი წესრიგი აღარ იარსებებს;** მსოფლიო გამალებული იცვლება, საქართველოს ხელისუფლება კი ისევ წარსულშია ჩარჩენილი, ისევ ნატო-ამერიკა-ევროკავშირს გაიძახის და ისევ ანაქრონიზმად ქცეული შაბლონებით ცხოვრობს და აზროვნებს. ამაზე ჩვენი გაზეთი ხშირად წერს.

**მომზადებულია საინფორმაციო სააგენტო iarex.ru-ს მიხედვით**



# ლალი კობახიძის ხსოვნას

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სარედაქციო კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ლალი კობახიძე.**

ქალბატონი ლალი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თბილისის ორგანიზაციას. დიდი მონდომებითა და სიყვარულით ილვწოდა კოლეგებისთვის შესაფერისი სამუშაო და ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, იყო ბევრი კარგი საქმის წამომწყები და ორგანიზატორი, პრინციპული და სამართლიანი კონფლიქტურ სიტუაციებში, რომლებიც კავშირის საქმიანობაში დროდადრო იჩენდა თავს.

ქალბატონი ლალი ყურადღებას არ აკლებდა ახალგაზრდა ჟურნალისტებს, პროფესიულ დახვეწასა და დაოსტატობაში ეხმარებოდა მათ, საჭირო რჩევას უშურველად აძლევდა, დასაქმებაშიც უწყობდა ხელს.

კეთილი ბუნების ადამიანი იყო — სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ამიტომაც უყვარდათ იგი.

წავიდა ჩვენგან ღირსეული და კეთილშობილი ქალბატონი, მეგობარი, კოლეგა. ამ მოკლე დროში კიდევ ერთი შესანიშნავი ჟურნალისტი გამოაკლდა ჩვენს ამქარს.

ღმერთმა გაანათლოს მისი მართალი სული!

**გამოსვენება 12 ივლისს, 14 საათზე. მისამართი: ირაკლი აბაშიძის №24.**

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სარედაქციო კოლეგია**

# 20 არაბული სიბრძნე

**ხალხური ანდაზები და აფორიზმები ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას შეიცავს. მოდი, დღეს გავეცნოთ არაბულ გამონათქვამებს, რომლებიც გამოირჩევა მხატვრულობითა და ლაკონურობით. ამ ფრთიან გამონათქვამებს არაბები საუკუნეების მანძილზე იყენებენ.**

**1.** გონიერი ქალი შაქარს ამატებს ყველაფერში, რასაც კაცს ეუბნება, და სიმწარეს აცლის ყველაფერს, რასაც კაცისგან ისმენს;
**2.** ერთი შეძენილი გამოცდილება შვიდ ბრძნულ წესზე უკეთესია;
**3.** ჭკვიანს თავისი შრომისა და გამოცდილების იმედი აქვს, სულელი იმედების იმედადაა;
**4.** ჭკვიანი მინიშნებასაც გაიგებს, ბრიყვს გასაგებად მუჯლუგუნი სჭირდება;
**5.** სხვისას ხელს ნუ ახლებ და შენსას ნუ დათმობ;
**6.** როცა ლაპარაკობ, შენი სიტყვები დუმილზე უკეთესი უნდა იყოს;
**7.** ტკბილი სიტყვითა და კეთილი მოპყრობით სპილოს თმის ღერზე გაატარებ;
**8.** გამოხედვა სიტყვაზე მრავლისმთქმელია;
**9.** შენს სულში ერთი აყვავებული ტოტი მაინც თუ დარჩა, მასზე ყოველთვის ჩამოჯდება მგალობელი ჩიტი;
**10.** მარტო მზიანი დღეები უდაბნოს გააჩენს;
**11.** ვინც უნაკლო მეგობარს ეძებს, ყოველთვის მარტო დარჩება;
**12.** ადამიანი, რომელიც სიამაყეს დაძლევს, ხდება სასიამოვნო. ადამიანი, რომელიც მრისხანებას დაძლევს, ხდება მხიარული. ადამიანი, რომელიც ვნებას მოერევა, ხდება წარმატებული;
**13.** სული თუ დაგეღალა, ძილი ვერ გიშველის;
**14.** საუკეთესო მბრძანებელი ისაა, ვისაც საკუთარი თავის მბრძანებლობა შეუძლია;
**15.** თუ გეშინია — არ თქვა, თუ იტყვი — ნუღარ გეშინია;
**16.** შეცდომების უარყოფა ორმაგი შეცდომაა;
**17.** გამარჯვება გვაჩვენებს, რა შეუძლია ადამიანს, დამარცხება გვაჩვენებს, რა ფასი აქვს მას;
**18.** კაცები, რომლებიც არ პატიობენ ქალებს მათ მცირე ნაკლს, ვერასოდეს ვერ დატკბებიან მათი დიდი ღირსებებით;
**19.** თუ ყველაფრის მიღწევა არ შეგიძლია, მცირედზე მაინც უარი არ უნდა თქვა;
**20.** ერთ ისარს ორ სამიზნეს ვერ მოახვედრებ.

რეპლიკა

# ყველას თვალში რომ ეჩხირება და ვერავინ ამჩნევს



**ეს უბედური ქალი, წლებია, ქუჩაშია დღე და ღამე. სულიერი ავადმყოფია. უსახლკარო. კაცმა არ იცის, რით არსებობს, რა აცოცხლებს.**

ერთი დრო იყო, ვარაზის ხევის თავში, ომში დაღუპული მებრძოლების მემორიალის მარადიულ ცეცხლთან მიფიცხებულს გადაუტანია ზამთარი. იქიდან რომ გააგდეს, საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ გადაინაცვლა: კოსტავას ქუჩაზე ტელევიზიის, პოლიციისა და ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსის წინ შენიშნავთ, ცელოფნის ბოღჩებით დატვირთული რომ დაბორიალობს; ხშირად სანაგვეებშია თავჩარგული და მონდომებით „ამდიდრებს“ ახალი ნარჩენებით საკუთარ „ავლადიდებას“.

ან სძინავს პარაპეტზე წამოწოლილს.

ან „სადილობს“.

ან... უხერხულია იმის თქმაც კი, რასაც აკეთებს.

საცოდავია, მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, ინფექციის პოტენციური გავრცელების „მოარული კერაა“: ხუთი მეტრის რადიუსში ჰაერი მის გარშემო მოწამლულია, დაუბანლობით გაშავებულია, ძონძები აცვია და, როგორც ჩანს, ჰორმონული მოშლილობით არის დაავადებული — აბურძგვნილ თმა-წვერით პირ-სახე სრულად აქვს დაფარული.

კოსტავას ქუჩის ეს მონაკვეთი ყოველდღიურად სტუდენტებით, ბავშვებით (ზოოპარკში რომ მიჰყავთ ახალგაზრდა მშობლებს) არის გადატვირთული.

ძვირფასო, პატივცემულო, ხალხის კეთილდღეობაზე გადამკვდარო და ადამიანის უფლებების დამცველო არასამთავრობოებო, სად ხართ? ასეთი „ჭუჭყიანი“ ფაქტებით არ იბინძურებთ მოვლილ და ფაფუკ ხელებს? იმიტომ ხომ არა, რომ თქვენი დამფინანსებლები ამისთვის ფულს არ გიხდიან?

მოლაყბენი!

კატებისა და ძაღლების დამცველები გვყავს, არასამთავროებიც თავზესაყრელია, ახალგაზრდა იურისტების ასოციაცია ხომ გაფეტიშებულია და ასეთი ბოგანოსთვის, გაუბედურებული ავადმყოფისთვის ვერავინ მოიცალა.

მერიას ყველა ხელს ახოცავს, და რამდენიც გინდა უსაყვედურე, ვერ იგრძნობენ იქაური მოღვაწენი.

საქართველოში იყო ასეთი ტრადიცია: სულიერ ავადმყოფს სოფელი ინახავდა.

იყო! ინახავდა!

დღესაც ვინახავთ, როგორც ხედავთ...

**ზერო ბომჟელი**


# ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894